ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ავთანდილ სონღულაშვილი

აფხაზი თუ აფსუა?

გამომცემლობა „უნივერსალი“

Tbilisi 2007

UDC (უაკ) 94 (479.224)+94 (=352.2)
ს – 677

ნაშრომში ქართული და უცხოური ნარატიული წყაროების, ახალი საარქივო დოკუმენტებისა და მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით, შესწავლილია აფხაზთა ეთნოგენეზი. წარმოჩენილია დღევანდელი „აფხაზების“ ჩრდილო კავკასიელ აფსუებთან იდენტურობის პრობლემები. ტოპონიმიური, ფოლკლორული, ენობრივი, რელიგიური და სხვა ფაქტობრივი მასალების გათვალისწინებით, ნაჩვენებია ძველი აფხაზების, როგორც ქართული ეთნოსის შემადგენელი ნაწილის და ე. წ. „ახალი აფხაზების“ ვინაობის დამადასტურებელი მონაცემები.

ნაშრომი გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორი: პროფ. **გ. გელაშვილი**

რეცენზენტები: პროფ. **დ. ჭუმბურიძე**
პროფ. **გ. საითიძე**

ავტორი მადლობას უხდის ბატონ **კობა მძევაშვილს** წიგნის გამოცემაში დახმარებისათვის.

gamomcemloba `**universali~, 2007**

Tbilisi, 0179, i. WavWavaZis gamz. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

© a. sonRulaSvili, **2007**

ISBN 978-99940-965-8-9

შინაარსი

შესავალი 4

ისტორიოგრაფიული „ომი“ 10

ვინ არის აფხაზი? 23

აფსუების ჩამოსახლება – ექსპანსია 61

რუსები და აფსუები 61

ავტონომია 69

დაპირისპირება 83

რატომ აფსუა და არა აფხაზი? 110

დასკვნის მაგიერ 150

შესავალი

გამარჯობა, აფხაზეთო, შენი! –
ლურჯო მთებო, თეთრო სანატორია.
მომენატრა მზე, სინათლის მფენი;
მომენატრა ზღვა, რომელიც შორია.

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

კვლავ დღის წესრიგში დადგა „ბედი ქართლისა“. ქართველი ხალხის მტრები ვერ იტანენ საქართველოს დამოუკიდებლობას, ცდილობენ ამისთვის სასტიკად დასაჯონ საქართველო, – წაართვან აფხაზეთი და შიდა ქართლის დიდი ნაწილი, ცხინვალ-ჯავის რეგიონი. ამიტომ ყოველი ქართველი ვალდებულია გაიცნობიეროს აღნიშნული კუთხეების საქართველოსაგან განუყოფლობა, როგორც მისი ძირძველი მიწა-წყალისა. სხვაგვარად იგი ვერ მოიხდის პატრიოტულ ვალს სამშობლოს წინაშე საქართველოს

ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმეში[1].

საბჭოთა იდეოლოგიური სამსახურები მეცნიერებს აიძულებდნენ ეწერათ სიცრუე, პარტიის პოლიტიკისათვის მისაღები სიცრუე. ცენტრიდან მოდიოდა დირექტივა, რომ სსრკ-ს ტერიტორიაზე ყველა ხალხი ადგილობრივი, ავტოქტონური წარმოშობისაა. ეს სჭირდებოდათ იმისათვის, რომ 100-ზე მეტი ერისა და ეროვნების კონსოლიდაციის (გარუსების) პროცესი უმტკივნეულოდ, ყოველგვარი ეთნოკონფლიქტების გარეშე წარმართულიყო. ამით ისარგებლეს არამკვიდრმა ხალხებმა (აფსუებმა, ოსებმა...) და თავი ს ძველ აბორიგენულ მოსახლეობად გამოაცხადეს, ტერიტორიები მიისაკუთრეს და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაც განიზრახეს, ცხადია, დიდი რუსეთის უშუალო დახმარებით. ქართველმა მეცნიერებმა სხვა რომ ვერაფერი მოახერხეს, აფსუათა მონოაბორიგენობის ცრუ თეორიას ორაბორიგენობის ცრუ თეორია დაუპირისპირეს, აქაოდა, აფხაზეთში აფსუებთან ერთად ქართველებიც ცხოვრობდნენო. ცრუ

---

[1] **დ. გოგოლაძე**, „აფხაზთა“ საერთისთავოს, დღევანდელი აფხაზეთის ძველ ეთნოსთა ვინაობისა და ეთნოსის მკვიდრობის საკითხი, თბ., 1995, გვ. 4.

თეორიების „ჯირითმა“ საბოლოოდ ყველაზე მეტად მაინც ქართული მხარე დააზარალა[1]. იგივე იქნებოდა გვეთქვა: ქართულ-კახური, ქართულ-იმერული, ქართულ-მეგრული მიწა და ა. შ.

ეს მითი სათავეს იღებს იდეაფიქსიდან „აფხაზეთი – საქართველო არ არის“[2]. ამიტომ დღევანდელი ვითარება აიძულებს ქართველ მკვლევარებს ყურადღება მიაქციონ „ქართულ-აფხაზური“ ურთიერთობის ჭეშმარიტ ისტორიას. დოკუმენტური წყაროების ანალიზის საფუძველზე გაეცეს პასუხი აფხაზი სეპარატისტებისა და მათი დემოგოგი აპოლოგეტების აბსოლუტურად უსამართლო „თეორიებს“.

დღეისათვის მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ ანტიკურ და შუასაუკუნოვან წერილობით წყაროებში მოხსენიებული დასავლეთ საქართველოს მცხოვრები „აფხაზები“ ჩრდილო კავკასიური წარმოშობის არიან. ამ თვალსაზრისის მომხრეთაგან ერთნი თვლიან, რომ ისინი უძველესი დროიდან სახლობენ შავი ზღვის სანაპიროზე. მეორენი

---

[1] შუმერი, 1999, №28.

[2] **Г. Жоржолиани**, Исторические и политические корни конфликта в Абхазии/ Грузия, Тб., 2000, с. 7.

ფიქრობენ, რომ აფხაზები აქ მოვიდნენ I-II საუკუნეებში, სხვები კი – XVII საუკუნიდან ჩამოსახლებულად მიიჩნევენ.

მკვლევართა ნაწილის აზრით, ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში ამ ტერიტორიაზე მოსახლე აფხაზები ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორიც მათ ირგვლივ მცხოვრები ქართები, ეგრები, სვანები. ხოლო ისინი, ვინც თავის თავს „აფხაზებს“ უწოდებენ, XVII საუკუნის შემდეგ არიან ჩამოსახლებულნი და რადგან ისტორიული აფხაზეთის (საქართველოს) მიწა-წყალზე დასახლდნენ, ქართველები მათ აფხაზებს უწოდებდნენ, ხოლო ისინი თავის თავს აფსუებს“[1].

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას კვლევის შედეგებიდან აშკარად ჩანს, რომ აფხაზთა ეთნიკური ისტორიისა და ეთნიკური პროცესების შესწავლაში გასათვალისწინებელია ერთ შემთხვევაში წყაროები მათ წინაპრებად საგულვებელი აფსილების (// აფშილების) თუ აბაზგების შესახებ, ხოლო მეორე შემთხვევაში მონაცემები უმთავრესად გვიანფეოდალურ ხანაში ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში ჩამოსახლებული და ადგილობრივ ტომებთან

[1] **მ. ლორთქიფანიძე**, რა საფუძველზე ვდგავართ, რა მოგვდევდა ძველთაგან, „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, 22 აგვისტო.

სინთეზირებული მუსლიმანური ადიღეურ-ჩერქეზული მოდგმის ეთნიკური მასივის შესახებ. ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, შეუძლებელია აფხაზთა შორეულ წინაპრებად ნავარაუდევი აფსილების ყოფა-ცხოვრების დახასიათება. სამაგიეროდ დიდი მსგავსება შეინიშნება „აფხაზებსა“ და ადიღეურ-ჩერქეზული მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში. ეს კარგად გამოჩნდა სხვადასხვა ეპოქაში წარმოებული შედარებითი კვლევა-ძიების შედეგებიდან, რაშიაც უსათუოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ს. ჯანაშიამ[1].

კოლხეთის სახლემწიფოს გაჩენიდან რვაასი წლის შემდეგ, სახელდობრ, ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში ძველი კოლხეთის სახლემწიფოს ტერიტორიაზე იხსენიებიან აბაზგები, რომელნიც მოძრაობის შემდეგ სახლდებიან ბზიფსა და გუმისთას შორის, ანუ იმ ტერიტორიაზე, სადაც 800 წლის წინათ სახლობდნენ კოლხური ტომები – კოლები და კორაქსები, ხოლო შემდგომ, ასევე – სანიგები (სანები, ჭანები). აბაზგები რიგ ქართველ მეცნიერებს მიაჩნიათ დღევანდელი აფსუების წინაპრად, რაც არ მტკიცდება. მაგ-

[1] **ვ. ითონიშვილი**, სიმონ ჯანაშიას ღვაწლი ქართულ ეთნოგრაფიაში, თბ., 1991, გვ. 105.

რამ, რომც ვთქვათ, და დავუშვათ, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები აფსუები არიან აბაზგების შთამომავალნი, სულერთია, ასეთ შემთხვევაშიც აფსუები ვერ ჩაითვლებიან დღევანდელი აფხაზეთის მკვიდრ აბორიგენ ეთნოსად, რადგან მათი შესაძლო წინაპრები, აბაზგები საქართველოში, კოლხეთში, მოვიდნენ დიდი ხნის შემდეგ, როცა, როგორც ითქვა, აქ უკვე რვა საუკუნე იყო გასული, რაც **ქართული სახლემწიფო, კოლხეთი** არსებობდა, სახელმწიფო, რომლის წამროქმნის დრო არის ეთნოსის მკვიდრობის ამოსავალი და განმსაზღვრელი ნიშანი[1].

სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ ეთნოსს უკვე თავისი ტერიტორიული სამშობლო გააჩნია და ის ეთნოსი ითვლება ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიის აბორიგენ მკვიდრად, რომელიც სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესში ამ ტერიტორიაზე სახლობდა და ამ სახელმწიფოს ქმნიდა, ხოლო შემდგომ ამ სახელმწიფოში მოსულ-დასახლებული უცხო ტომები და ეთნოსები აქ აბორიგენ მკვიდ-

[1] **დ. გოგოლაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

რად არ ჩაითვლებიან და მათ აქ ცალკე სახელმწიფოს შექმნის უფლება არა აქვთ.

სახელმწიფოს შექმნის დრო რომ არ იყოს ეთნოსის მკვიდრობის განმსაზღვრელი ნიშანი, მაშინ საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს მოსული ყველა ხალხი მკვიდრად გამოცხადდება და საერთაშორისო სამართლით დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება ექნებათ: ებრაელებს, სომხებს, ბერძნებს, აზერბაიჯანელებს, რუსებს, ოსებს და ვის გინდა რომ არა, რომელნიც საქართველოს რომელიმე კუთხეში კომპაქტურად სახლობენ.

შეიძლება აფსუებმა თქვან: ჩვენ აქ, აფხაზეთში, ორი ათასი წელია ვცხოვრობთო. ეს არ მტკიცდება, მაგრამ დავუშვათ და, ვთქვათ, ეს ასეა. მერედა რა? ორი ათასი წლის შემდეგ საქართველოში ცხოვრების ორი ათასზე მეტი წლის სტაჟი ექნებათ რუსებს, ოსებს, აზერბაიჯანელებს და სხვებს, თუ აქ დარჩებიან და ყველა მათგანმა რომ ცალკე სახლემწიფო ჩამოაყალიბონ საქართველოში, რაღა დარჩება საქართველოდან? კიდევ მეტი, აფსუებზე გაცილებით მეტი ხნის ცხოვრების სტაჟი აქვთ საქართველოში ებრა-

ელებს, მაგრამ მათ აქ ცალკე სახელმწიფოს შექმნა ან ავტონომია არ მოუთხოვიათ.

მაშასადამე, აფსუები ძველი აბაზგების შთამომავალნიც რომ იყვნენ, ისინი მაინც არ ჩაითვლებიან საქართველოს უძველესი კუთხის, აფხაზეთის მკვიდრ აბორიგენ მოსახლეობად, რადგან აღნიშნულ შემთხვევაში აქ აფსუები მოვიდნენ მას შემდე, რაც რვაასი წელი უკვე არსებობდა ქართული სახელმწიფო – კოლხეთი. ამიტომ მათ საქართვლოში ცალკე სახელმწიფოს შექმნის იურიდიული უფლება არა აქვთ, ისე როგორც საქართველოში მცხოვრებ სხვა ხალხებს – ებრაელებს, ბერძნებს, ქურთებს, აზერბაიჯანელებს, რუსებს, სომხებს და სხვებს[1].

მეცნიერებაში ყოველთვის იყო და იქნება კიდეც აზრთა სხვადასხვაობა ნებისმიერ საკითხზე მსჯელობის დროს. გამონაკლისს არ წარმოადგენს, ამ შემთხვევაში, აფხაზეთის ძველი და შუა საუკუნეების პერიოდის ისტორიაც, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში აღნიშნული ხანის აფხაზეთის ისტორიული წარსული საკმაოდ მაღალ დონეზეა შესწავლილი.

---

[1] **დ. გოგოლაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

ყოველივე ეს სრულადაც არ ნიშნავს იმას, რომ ისტორიკოსებმა კვლევა მიატოვონ და მიღწეულით დაკმაყოფილდნენ. პირიქით, დღეს, როდესაც ყველა სფეროში ბოლო ეღება სტერეოტიპულ აზროვნებას, სულ უფრო მეტი პერსპექტივები იშლება საისტორიო მეცნიერების წინაშეც, მაგრამ ახლის ძიების წყურვილმა, მით უფრო პოლიტიკურმა ამბიციებმა, არ უნდა გამოგვიყვანოს წონასწორობიდან და არ გვათქმევინოს უარი იმ პოზიტიურ ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობაზე, რომელიც რჩება და კვლავაც დარჩება სწორი მეცნიერული კონცეფციების საფუძვლად[1].

რთული და პასუხსაგები პრობლემის სრულებით ახალი თვალსაზრისით განხილვისა და დებულებათა წარმოყენების დროს, შეცდომებისაგან თავის დაღწევა ძალიან ძნელია. მეცნიერებამ მრავალი მაგალითი იცის, როდესაც არამც თუ თვით ავტორის მიერ შეუმცდარად აღიარებული, არამედ ფართოდ განმტკიცებული მოძღვრებაც კი მცდარი გამომდგარა და წინათ ურყევ ჭეშმარიტებად მიჩნეული სრულებით უკუგდებული ყოფილა[2].

---

[1] **ზ. პაპასკირი**, აფხაზეთი საქართველოა, თბ., 1998, გვ. 42.
[2] **ივ. ჯავახიშვილი**, თხზ. ტ. X, თბ., 1992, გვ. XV.

და რაც მთავარია ჩვენმა ერმა არ დაივიწყოს ცნობილი სასულიერო და საზოგადო მოღვაწის, ეპისკოპოსის პეტრე კონჭოშვილის ანდერძი, სადაც აღნიშნავს: „სამწუხარო იქნება, თუ საქართველოს მამულები გადავიდა სხვა ტომთა ხელში და ჩვენი ერი კი შემდეგ დარჩა ბოგანოდ... უკეთუ ჩვენმა ერმა, დაიცვა თავისი არსებობა აქამდის, ეს სხვათა მიზეზთა შორის იმისთვის, რომ თავის მამულზედა, მის წინაპართა სისხლით მორწყულზედ, იყო იგი მტკიცედ დამკვიდრებული... დროა გამოვიღვიძოთ და განვიფრთხოთ ღრმა ძილი!“[1]

[1] **ვ. კიკნაძე,** ცხოვრება და ღვაწლი ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილისა, თბ., 2003, გვ. 123.

ისტორიოგრაფიული „ომი“

დღეს რასაკვირველია, ძნელია ყოველ-მხრივ გაანალიზებულ იქნას აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის მიზეზები, მაგ-რამ ერთი რამ აქედანვე ცხადია: აფხაზური ნაციონალ-სეპარატისტული მოძრაობის ლი-დერებმა ყველაფერი იღონეს, და მიაღწიეს კიდეც იმას, რომ აფხაზს ქართველში დაენა-ხა არა მოძმე და მოყვარე, არამედ მტერი, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, „არ-თმევს“ მას სამშობლოს და, საერთოდ, ყო-ველგვარ ისტორიულ პერსპექტივას „უკარ-გავს“. ბუნებრივია, ეს ერთბაშად არ მომხდა-რა. ეს არის შედეგი იმ აღვირახსნილი ანტი-ქართული პროპაგანდისა, რომელსაც ასე გა-მიზნულად და თანმიმდევრულად ეწეოდნენ აფხაზი ნაციონალ-სეპარატისტები ათწლეუ-ლების განმავლობაში.

ამ ფართო მასშტაბის ანტიქართულ კამ-პანიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენი-ჭებოდა ისოტრიის ფალსიფიკაციას. სწორედ ისტორიული სიმართლის გაყალბებას ეკავა გამორჩეული ადგილი სეპარატისტთა პოლი-

ტიკურ და იდეოლოგიურ არსენალში[1]. მოკ-ლედ, აფსუებს რაც უნდა ეწერათ, მთავარია ეწერათ და თეთრზე შავი ეთქვათ, საკუთარი ტყუილი თვითონაც დაეჯერებინათ და თვისტომსაც ასე ერწმუნა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არის გა-მოთქმული მოსაზრება, რომ პოლიტიზირე-ბული სამეცნიერო კამათის საფუძველი და სათავე ყოფილა XX საუკუნის 50-იან წლებში პავლე ინგოროყვას მიერ წამოყენებული „ან-ტიმეცნიერული თეორია“, რომ თითქოს თა-ნამედროვე აფხაზები მოვიდნენ ჩრდილო კავკასიიდან XVII საუკუნეში აფხაზეთში, სა-დაც აქამდე ცხოვრობდა მხოლოდ ქართველი მოსახლეობა[2].

სინამდვილეში სეპარატიზმის იდეოლო-გიური მომზადება და ისტორიის გაყალბება დაიწყო XX საუკუნის დამდეგს. სწორედ მა-შინ გამოჩნდა ვინმე ნ. ვორონოვის ბროშურა საკმაოდ გამომწვევი სათაურით: „Абхазия – не Грузия“ (М., 1907), რომელიც შეიცავდა ქარ-თულ-აფხაზური ურთიერთობების აშკარა და-მახინჯებასა და ცილისმწამებლურ თავდას-

---

[1] **ზ. პაპასკირი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

[2] **გ. ანჩაბაძე**, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხები, თბ., 2006, გვ. 27-28.

ხმებს ქართველი ხალხის მიმართ. ასეთ არაობიექტურ მკვლევართა მონოგრაფიებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში, უარყოფილი იყო აფხაზეთში ქართული ეთნიკური თუ კულტურული ელემენტების ისტორიული არსებობა და მისი როლი; ტენდენციურად იხილავდნენ შუა საუკუნეების აფხაზეთის ადგილს საქართველოს ისტორიაში. მათ მიზანს შეადგენდა „მეცნიერული“ საფუძველი შეექმნათ აფხაზეთის საქართველოსაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ არსებობას[1].

აფხაზეთთან მიმართებაში, სამწუხაროდ, ზოგიერთი ქართველიც აღმოჩენილა კარიერისტი და ქართული ინტერესების მოღალატე. რად ღირს თუნდაც XX საუკუნის დასაწყისში ეპისკოპოს დიმიტრი (დავით) აბაშიძის მაგალითი, რომელიც განთქმული იყო ანტიქართული გამოსვლებით და რომელიც ფარულად წერდა სინოდს იმის შესხებ, რომ საერთოდ უნდა აკრძალულიყო ქართული წიგნების ბეჭდვა და წირვა-ლოცვა, რადგან ქართულ წარწერებში თურმე ბევრი ყოფილა ღვთისმგმობელი და სეპარატისტული აზრები.

---

[1] **ბ. ხორავა**, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1996, გვ. 7.

რუსეთში გადახვეწის შემდეგ (იგი საქართველოდან ჩოხაში გადაცმული გაიქცა 1905 წელს რევოლუციის დაწყებისთანავე), მას ასეთი საოცარი რამეც აქვს ნათქვამი: „სოხუმი არასოდეს ყოფილა საქართველოს ნაწილი. ხალხიც იქ უმეტესად აფხაზობა და რუსებია... სასაცილო იქნებოდა რუსებს აფხაზეთის გაქართველება რომ მოესურვათ...“ კერძო წერილში, კირიონი დიმიტრი აბაშიძეს ასე ახასიათებდა: „რძენაწყენი რენეგატი დიმიტრი აბაშ-ოღლი...“[1].

1925 წელს საყოველთაოდ ცნობილმა აფხაზმა „სწავლულმა“ ს. აშხაწავამ გამოსცა „საპროგრამო“ ნაშრომი „Пути развития Абхазской истории“, რითაც სათავე დაუდო ე. წ. „აფხაზურ ისტორიოგრაფიას“, სეპარატისტულ იდეოლოგიას[2]. მისი საქმის ღირსეული გამგრძელებლები გახდნენ აფხაზი და რუსი სწავლულები: მ. ტრაპში, შ. ინალ-იფა, გ. გულია, მ. გუნბა, გ. ტურჩანინოვი, ი. ვორონოვი, მ. კოროსტოვცევი, ვ. კოჟინოვი, ვ. არძინბა და სხვ.[3] ჩამოთვლილ ავტორთა ნააზრევზე დაყრდნობით სეპარატისტთა ლიდერები

---

[1] **ვ. კიკნაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

[2] **ზ. პაპასკირი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

[3] **გ. გასვიანი**, აფხაზეთი ძველი და ახალი აფხაზები, თბ., 1998, გვ. 24.

ურცხვად გაიძახოდნენ, რომ მათი სახელმწიფოებრივი ისტორია სულ მცირე 1200 წელს ითვლის. უფრო მეტიც, ამ ბოლო დროს, სეპარატისტთა ცნობილმა იდეოლოგმა ი. ვორონინმა ესეც არ იკმარა და ისტორიული მეცნიერება თავისი ახალი სენსაციური „აღმოჩენით“ განაცვიფრა. მისი ატვორიტეტული მტკიცებით, აფხაზური სახელმწიფოებრიობა, თურმე, არც მეტი, არც ნაკლები – 2500 წლის ყოფილა[1]. საპირისპირო მოსაზრება სეპარატისტი იდეოლოგებისათვის ყოვლად მიუღებელია და მათი ავტორები მკაცრად ისჯებიან. მაგალითად, პროფესორ ხ. ბღაჟბას – „აფხაზური ენის ბზიფური დიალექტის“ ავტორს თავის დროზე არ „აპატიეს“ მეცნიერული კეთილსინდისიერება და წიგნი აკრძალეს, ხოლო მეცნიერი პარტიიდან გარიცხეს[2].

ქართველმა ეთნოგრაფებმა, არქეოლოგებმა, ისტორიკოსებმა, ფილოლოგებმა ენათმეცნიერებმა აღზარდეს და სამეცნიერო მუშაობის ფართო ასპარეზზე გამოიყვანეს აფხაზი სპეციალისტები, რომელთა ერთი ნაწილი რადიკალურად გაემიჯნა სოლიდარული

---

[1] **ზ. პაპასკირი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 122.

[2] **ი. კვესელავა**, საქართველოს ისტორიის ქრონიკები (1970-1990), I, თბ., 2004, გვ. 226.

თანამშრომლობის ადრინდელ ტრადიციას. ამგვარმა ტენდენციამ განსაკუთრებით იჩინა თავი ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის სფეროში. ისტორიული წარსულის მრუდე სარკეში ჩვენება დღეს აფხაზური ისტორიოგ-რაფიის თვითმიზნად იქცა. პირველ რიგში ეს ჩანს ეთნიკური ისტორიის მაგალითზე[1]. ამ საქმეში ერთ-ერთ აღიარებულ ლიდერად მოგვევლინა (აწ განსვენებული) პროფესორი შალვა ინალ-იფა. განსაკუთრებით, 1976 წელს გამოქვეყნებული კიდევ ერთი ანტიქართული ნაშრომით (Ворпосы этно-культурной истории абхазов, сухуми).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ შ. ინალ-იფას წიგნის გამოქვეყნების წელს და მის შემდგომ ხანაშიც ქართველ მეცნიერებს ფაქ-ტიურად ეკრძალებოდათ ანტიქართული გამ-ოხდომების მხილება. ჯერ კიდევ 1978 წელს დაწერილი ზოგიერთი რეცენზია (ა. ბაქრაძის, დ. მუსხელიშვილის...) მხოლოდ 1989 წელს გამოქვეყნდა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ შ. ინალ-იფა აკად. გიორგი ჩიტაიას ასპირანტი იყო მაშინ, რო-დესაც ისტორიისა და ენათმეცნიერების ინ-

[1] **ვ. ითონიშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

სტიტუტებს ერთდროულად ხელმძღვანელობ-
და აკად. ს. ჯანაშია. შ. ინალ-იფას ქართველი
კოლეგები ისტორიის მეცნიერებათა დოქტო-
რები თინათინ ოჩიაური და ჯულიეტა რუხა-
ძე იხსენებენ იმ ძნელ პერიოდს, როდესაც
ასპირანტებს ძალზე უჭირდათ. როგორც ისი-
ნი წერენ, „სხვებზე მეტად შ. ინალ-იფას
უჭირდა, რომელსაც აქ ოჯახი არ ჰქონდა და
აკადემიის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობ-
და. განსაკუთრებით ზრუნავდნენ მასზე ბა-
ტონი გიორგი და მისი მეუღლე პროფ. ვერა
ბარდაველიძე. როდესაც შალვამ ასპირანტურა
დაასრულა და დისერტაცია დაიცვა, ვ. ბარ-
დაველიძემ ერთ თანამშრომელს ფული მისცა
და დაავალა შალვასთვის, დაცვის აღსანიშნა-
ვად წვეულება მოეწყო“[1].

აფხაზეთის ხელმძღვანელობა და საზოგა-
დოება მტრულად შეხვდა სახელოვანი ქარ-
თველი მეცნიერის, პავლე ინგოროყვას შრო-
მის „გიორგი მერჩულეს“ გამოქვეყნებას 1954
წელს. ის შეაფასეს, როგორც ისტორიის ფალ-
სიფიკატორი და პოლიტიკურად საშიში, ბო-
როტი მწერალი, რომ მის ნაშრომში გაყალბე-

[1] **ვ. ითონიშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

ბულია აფხაზი ხალხის ისტორია და კულ-
ტურა[1].

აფხაზეთის ხელმძღვანელობა აღშფოთე-
ბას ვერ მალავდა, რომ ინგოროყვას ნაშრომი
საქართველოს პარტიულ პრესასა და სამეცნი-
ერო წრეებში აღინიშნა, როგორც „ბოლო ის-
ტორიული სიტყვა საქართველოს ისტორიის
კვლევის მხრივ“[2]. „გიორგი მერჩულეს“ გა-
მოქვეყნებას მოჰყვა აფხაზთა მხრიდან საპრო-
ტესტო აქციები: უარის თქმა აფხაზეთის
კულტურის დღეების ჩატარებაზე თბილისში,
ქართული ეროვნების წარმომადგენელთა აფ-
ხაზეთში დასახლებაზე წინააღმდეგობა და
სხვ.[3]

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მასობრივი
რეაქცია მოჰყვებოდა ხოლმე აფხაზთა მხრი-
დან ქართველ მეცნიერთა გამოქვეყნებულ ნე-
ბისმიერ სტატიასა და წიგნს, თუ ის აფხაზ-
თა ისტორიის მათ მიერ შემუშავებულ ნორ-
მებს სცილდებოდა. ქართულ-აფხაზური ურ-
თიერთობების ისტორიის საკამათო საკითხებ-
ში, მის განხილვაში რთავდნენ მთელ აფხა-

---

[1] საქართველოს პრეზიდენტის არქივი (შემდეგში სპა), ფ. 14, ანაწ. 30, საქ. 374. ფურც. 3.
[2] იქვე, ფურც. 4.
[3] იქვე, ფურც. 18.

ზურ მოსახლეობას, მაშინ, როცა ქართველების მხრიდან ეს საკითხები განიხილებოდა მხოლოდ პარტიულ-სამთავრობო წრეებში.

სამაგიეროდ თავისი მეცნიერული დასკვნების გამოსატანად უფრო ახალი წყაროთი სარგებლობდა აფსუათა აღიარებული ისტორიკოსი შ. ინალ-იფა. იგი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ აფხაზები უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ არა მხოლოდ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოში. შ. ინალ-იფა დასავლურ-ქართულ კოლხთა ტომს აფხაზებად აცხადებს. 1952 წლის ივნისში ეშერაში – წერს იგი – 70 წლის დიხაირ ხიბბასაგან ჩავიწერე შემდეგ თქმულება: კავკასიის მთელი ზღვის სანაპირო იწოდებოდა კალხად. კალხას მოსახლეობა ლაპარკობდა აფხაზურ ენაზე. მისი საზღვრები შორს ვრცელდებოდა ჩრდილოეთით და სამხრეთით. ამ სამეფოს მართავდა აფხაზი მეფე, რომელსაც ძლიერი ჯარი და 360 ციხე ჰქონდა[1].

კოლხების აფხაზებად მონათვლის შემდეგ შ. ინალ-იფა აფხაზებად ნათლავდა კოლხების შთამომავლებს – ლაზებსაც. შემ-

[1] **შ. ინალ-იფა**, აფხაზთა ეთნო-კულტურული ისტორიის საკითხები, თბ., 1976, გვ. 202.

დეგი „ენათმეცნიერული გამოკვლევის“ საფუძველზე ასკვნიდა: „ჩრდილო-დასავლეთ აფხაზთა შორის დღესაც გვხვდება გვარი გუბაზი, რომელიც, როგორც ცნობილია, ლაზების მეფეთა სახელი იყო. აქ ბგერა „ძ“ აფხაზური ენის ბზიფური დიალექტის დამახასიათებელი სისინა-შიშინა ბგერა არის“[1]. მაგრამ „აღმოჩენები“ ამით არ მთავრდება. ქართველებისათვის იქ ადგილი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან „აფხაზეთი იმდენად მჭიდროდ იყო დასახლებული აფხაზებით, რომ აფხაზური თქმულების მიხედვით „კატას სახლების სახურავზე სირბილით, მიწაზე ფეხის დაუდგმელად შეეძლო ზღვის სანაპიროდან კავკასიონის ქედის მწვერვალზე მისვლა“[2].

შ. ინალ-იფას ამ მონაჩმახზე არც კი ღირდა ლაპარაკი, პროვოკატორები ამ „აზრებს“ რომ არ იყენებდნენ სხვადასხვა ანტიქართული თეორიების შესათხზავად. ის, რომ თურმე აფხაზები ოდესღაც თითქმის მთელ კავკასიაში და კავკასიის გარეთაც მცხოვრები დიდი ხალხი იყო, მაგრამ უცებ გამოჩნდნენ

[1] იქვე, გვ. 180.
[2] იქვე, გვ. 404.

ქართველები, გაანადგურეს აფხაზები და დღესაც მოსპობით ემუქრებიან.

ფალსიფიკატორი ინალ-იფა ყოველნაირად იფართოებდა „მოღვაწეობის“ ასპარეზს. 1980 წელს იგი აფხაზეთის საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარედ დაინიშნა.

ცნობილია, რომ გარკვეული წრეები მოსკოვიდან ხელს უწყობდნენ მსგავსი დეზინფორმაციის გავრცელებას და პატარა ერის „დაცვის“ საბაბით ამხედრებდნენ და ამხედბრებენ აფხაზებს ქართველების წინააღმდეგ. როდესაც შ. ინალ-იფას ნაშრომი ქართველმა მეცნიერებმა პრესაში გააკრიტიკეს, „დაჩაგრულმა მეცნიერმა“ დახმარებისათვის მოსკოვს მიმართა, სადაც მას მყის გამოუჩნდნენ ქომაგნი. თუ რა მიზანი ამოძრავებდათ ამ შემთხვევაში აფხაზი ხალხის მოსკოველ „მეურვეებს“ ნათლად გამჟღავნდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივნის, ტრაპეზნიკოვის მიერ 1979 წელს სოხუმში წაკითხულ საჯარო ლექციაზე, რომელზედაც მან საქვეყნოდ განაცხადა: „ბერია რომ არ დაეხვრიტათ, აფხაზებს გადაასახლებდნენ და მათ მიწაზე ქართველები დასახლდებოდნენ“. იქვე მან მაღალი შეფასება მისცა შ. ინალ-

იფას წიგნს, რომლის გასაგებად თურმე ქართველ მეცნიერებს „ძალა არ შესწევდათ“. აღნიშნულ პერიოდში აფხაზეთში უაღრესად რთული პოლიტიკური ვითარება შეიქმნა[1].

შ. ინალ-იფას „მონაცემებით“ „ჩვ. წ. აღმდე II საუკუნის ბოლოს აფხაზეთი შედიოდა პონტოს მეფე მითრიდატეს დაქვემდებარებაში, ხოლო I საუკუნის შუა ხანებში რომაელი სარდლის პომპეუსის მიერ განადგურებული მითრიდატე 66 წელს შეიჭრა აფხაზეთში“[2]. აღნიშნულ პერიოდში კი, აფხაზების და აფხაზეთის ხსენება საერთოდ არ არის ბერძენ და რომაელ ავტორებთან.

იგივე ავტორი სხვა ნაშრომში ცდილობს აფხაზეთი წარმოადგინოს როგორც დამოუკიდებელი ისტორიის სახელმწიფო. მისი აზრით, „აფხაზეთი მიეკუთვნება სწორედ ისეთი ქვეყნების რიცხვს, რომლებიც პირველყოფილი თემური წყობილებიდან, მონათმფლობელობის გვერდის ავლით, პირდაპირ ფეოდალიზმში გადავიდნენ“[3].

---

[1] **ა. სონღულაშვილი**, საქართველოს პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 2004, გვ. 190.

[2] Ш. Инал-ипа, Абхазы, Сухуми., 1960, с. 40-41.

[3] Ш. Инал-ипа, Очерки по истории брака и семи у Абхазов, изд. «Абгиза», 1954, с. 10.

კ. ს. შაკრილისა და ზ. ვ. ანჩაბაძის მოსაზრებას თუ გავიზიარებთ, ჩვ. წ. აღრიცხვამდე მეორე ათასწლეულის ბოლოს აფხაზების წინაპრები აბეშალას ტომია. ტერმინი აბეშალა – იგივე აფსილი – აფსუა ყოფილა. ამ დროს აფხაზები (აბეშალები ლაპარაკობდნენ აფხაზურ (აბეშალურ) ენაზე (კ. შაკრილი)[1].

სინამდვილეში „ასურული ლურსმული წყაროების „ქაშქებსა“ და „აბეშლაელებში“ შეიძლება დავინახოთ დასავლურ-ქართული წარმოშობის ტომები, რომელთა იდენტურობა უნდა იყოს ნაგულისხმევი ტიგლათფილასარ I-ის წარწერებში“. აბეშლაელთა სახით საქმე გვაქვს კოლხური (დასავლურ-ქართველური) წარმოშობის ტომებთან[2]. სიტყვა „აფსილის“ სუფიქსი –ილ შეიძლება განვიხილოთ, როგორც პროტოხეთურ-ქართველური წარმომავლობის აღმნიშვნელი –ელ სუფიქსი, ხოლო „აფსილ“ ქართულად შეიძლება ვთარგმნოთ, როგორც „აფს-ელი“ „აფს-იდან მომდინარე“

---

[1] З. В. Анчабадзе, Очерки этнической истории Абхазского народа, Сухуми, 1976, с. 22.

[2] **გ. გიორგაძე,** ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაელების ეთნიკური წარმომავლობისათვის, ახალციხე, 2000, გვ. 70.

(შდრ. ქასქების საკუთარი სახელი „ქასქაილ“, ე. ი. „ქასქელი“ და ა. შ.)[1].

დასახელებული მკვლევრები საქმეს ისე წარმოადგენენ, რომ აფხაზთა სამეფო, როგორც დამოუკიდებელი ერთეული არსებობდა და მოქმედებდა ანტიკურ ხანაში. „თუ ადრეულ ელინისტურ პერიოდში აფხაზეთის სანაპირო ზონა – აღნიშნულია ნაშრომში – კერძოდ, მისი ქალაქები აყვავებას განიცდიდნენ, ჩვ. წ. აღ-მდე II საუკუნეში იწყება მეურნეობისა და პოლიტიკური ცხოვრების თანდათანობითი დაცემა...“[2] ე. ი. ის, რაც დამახასიათებელი იყო საქართველოსა და კერძოდ, დასავლეთ საქართველოსათვის, მკვლევარი აფხაზთა სამეფოს მიაწერს. მართალია, ტერმინს – სახელმწიფო – არ ახსენებს, მაგრამ კონტექსტში ასე გულისხმობს.

ასეთი „აღმოჩენები“ დიდი ხანია გასცდა აფხაზეთის საზღვრებს. 1972 წელს მოსკოვში გამოცემულ აფხაზეთის კულტურის ძეგლთა ღია ბარათების სერიის „წინასიტყვაობაში“ გ. გულია წერს, რომ თურმე ძველი ქართული

---

[1] **გ. გიორგაძე**, ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაელების ეთნიკური წარმომავლობისათვის, ახალციხე, 2000, გვ. 71.

[2] **ზ. ანჩაბაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

წარწერებით შემკული ქართული არქიტექტურის სტილით აგებული ტაძრები – ბედია, მოქვი, დრანდა, ლიხნი და ბიჭვინთა, რომლებშიც წირვა-ლოცვა ქართულად მიმდინარეობდა და მწიგნობრობაც მხოლოდ ქართული იყო „ძველი აფხაზური კულტურის“ ძეგლები ყოფილა, რადგან ამ ამბავს ხშირად მოუთხრობდა მას მისი 118 წლის ბებია ასინეთი.

აკად. ნ. ბერძენიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1966 წელს გამოქვეყნდა მის მიერვე მომზადებული „საქართველოს ისტორიის საკითხების“ III წიგნი. ამ წიგნში მრავალ სხვა ნაშრომთან ერთად დაიბეჭდა მისი ორი სტატია: „მცირე შენიშვნა დიდი საკითხის გამო“ და „აფხაზეთის შესახებ“. ასე დაიწყო კიდევ ერთხელ, თუ შეიძლება ითქვას, ე. წ. „აფხაზეთის პრობლემა“. „აფხაზ“ ისოტრიკოსთა ერთი ნაწილის პროტესტი გამოიწვია ნიკო ბერძენიშვილის აზრმა, რომ ქართული შუა საუკუნეების სახელმწიფოს, ქართული კულტურის, რუსთაველის კულტურის შექმნაში ერთნაირად მონაწილეობდნენ ქართები, კახები, ეგრები, აფხაზები... უკმაყოფილება გამოიწვია სახელდობრ იმან, რომ აფხაზები მოხსენიებული იყვნენ ქართების, კახების ე. ი.

საკუთრივ ქართველების გვერდით და არ იყო აღნიშნული, რომ აფხაზები არ არიან ქართველები. ნიკო ბერძენილშვილს არასოდეს დაუყენებია აფხაზთა ეთნიკური კუთვნილების საკითხი, რადგან მიაჩნდა, რომ არსებული წყაროთმცოდნეობითი ბაზის ვითარებაში ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ვერ მოხერხდებოდა. მაგრამ მისთვის აშკარა იყო (ის გარკვევით მიუთითებდა ამას), რომ შუა საუკუნეებში აფხაზები ისტორიულ-კულტურულად ქართველები იყვნენ. სტატიაშიც სწორედ ეს თვალსაზირისი იყო გამოთქმული. საქმე მხოლოდ „აფხაზი“ ისტორიკოსების უკმაყოფილებით არ დასრულებულა. ქალაქ სოხუმში, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის შენობის წინ, მოედანზე, შეიკრიბნენ ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი რაიონებიდან ჩამოსული ადამიანები, დაანთეს კოცონი, დაწვეს ეს წიგნი და მოითხოვდნენ მის მიმოქცევიდან ამოღებას. საკითხი გაიტანეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე, რომელსაც უნდა მიეღო დადგენილება ამ წიგნის ამოღების შესახებ. ქართველ ისტორიკოსთა ერთმა ჯგუფმა, რომელთაც მიეცათ ბიუროს სხდომაზე დასწრებისა და აზრის გამოთქმის საშუალება,

გადაარჩინეს ეს წიგნი კანონგარეშედ გამოცხადებას, მის ამოღებას წიგნთსაცავებიდან და განაგდურებას.

„აფხაზეთის საკითხი“ ამით არ დამთავრებულა. გამოსაცემად მომზადდა „საქართველოს ისტორიის საკითხების“ VIII წიგნი, რომელშიც წარმოდგენილი ოყო ნიკო ბერძენიშვილის ზოგადი დებულებები „ქვეყნის“ ქართლი, ეგრისი, აფხაზეთი და ერთიანი საქართველოს ჩამოყალიბების შესახებ, სადაც კრიტიკულად იყო განხილული ისტორიოგრაფიაში გამოთქმული თვალსაზრისი VII-VIII სს.-ში აფხაზი ხალხის, როგორც ისტორიული კატეგორიის შესახებ. სამწუხაროდ, საგანგებოდ დაბეჭდილი წიგნიდან მთელი ის ნაწილი, რომელიც აფხაზეთის პრობლემას ეხებოდა, ამოღებულ იქნა. ეს მაშინ ისე ოპერატიულად გაკეთდა (1975 წ.), რომ ისტორიკოსებს არაფერი გაუგიათ. საბედნიეროდ, ბატონი ნიკოს არქივში შემორჩა ამ წიგნის ერთი, დაუჭრელი ცალი, რომელიც 1990 წელს თავდაპირველი, სრული სახით გამოქვეყნდა. ამ წიგნში ნიკო ბერძენიშვილი წერს: „ქართული ფეოდალური აზროვნება მუდამ ერთ სამყაროდ სთვლიდა კავკასიას (ლეონტი), კიდევ უფრო „საქართველოს“ რომლის სწორუფლე-

ბიანი წევრები იყვნენ, ჰეროსის, ქართლოსისა და ეგროსის ხვედრი ქვეყნები – მათ შორის სვანეთი, აფხაზეთი... ყველა ესენი ქართველები იყვნენ და არა მარტო კონფესიური თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისით, ამდენადვე აქ არ შეიძლება სხვადასხვა ეროვნებაზე, როგორც ეთნო-კულტურულ ცნებაზე, საუბარი. როგორც ფეოდალური ქვეყანა, აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო, და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ჰერეთი და ჰერი, როგორც ქართლი და ქართლელი". ხოლო რაც ნაგვიანევ საუკუნეებში მოხდა, ნიკო ბერძენიშვილი, ისტორიული ქართული აფხაზეთის მიწა-წყალზე ჩრდილო კავკასიიდან მომთაბარეთა ჩამოსახლებით ხსნის, საგანგებოდ განიხილავს ამ ჩამოსახლების ეტაპებს და დამხდურ მოსულთა ურთიერთობის ფორმებსა და საკითხებს[1].

როდესაც „აფხაზები" გვსაყვედურებდნენ, რომ ისინი საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის დროს იჩაგრებოდნენ, ამასთან დაკავშირებით თავად ფაქტები ღაღადებენ:

აფხაზეთის ასსრ ერთადერთი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ავტონომიური რეს-

---

[1] **მ. ლორთქიფანიძე**, ნიკო ბერძენიშვილი, „საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები", VIII, თბ., 2005, გვ 14-15.

პუბლიკებიდან, რომელსაც კონსტიტუციაში ჰქონდა მუხლი აფხაზურის, როგორც სახ-ლემწიფო ენის შესახებ.

თუ XX საუკუნის 70-იან წლებში ყაბარ-დო-ბალყარეთის, ჩრდილო-ოსეთის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, კალმიკიის ასსრ, ადიღეს, ყარა-ჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქებში ად-გილობრივი მოსახლეობის ბავშვებს უფლება არ ჰქონდათ მშობლიურ ენაზე ესწავლათ, აფხაზეთში ფუნქციონირებდა 25 აფხაზური სკოლა. ბოლო პერიოდში კი 73 (აფხაზური და შერეული), რომელშიც „აფხაზურ ენაზე“ (ე. ი. აფსუების) სწავლობდა ოთხი ათასზე მეტი მოსწავლე.

სოხუმში ფუნქციონირებდნენ: აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აფხაზეთის ეროვნული ტელევიზია, რომელიც მხოლოდ აფხაზურ ენაზე გადიოდა ეთერში; აფხაზე-თის სახელმწიფო მუზეუმი, დ. ი. გულიას სახ. ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუ-მი, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელ-მწიფო ანსამბლი, მოცეკვავეთა ანსამბლები „შარათინი“ და „ერცახუ“, სახელმწიფო სიმ-ფონიური ორკესტრი, აფხაზეთის სახელმწი-ფო საგუნდო კაპელა, ქალთა ვოკალურ-ინ-სტრუმენტული ანსამბლი „გუნდა“, ხანდაზ-

მულთა სიმღერისა და ცეკვის ეთნოგრაფიული ანსამბლი „ნართაა“, რომელიც მრავალჯერ იყო საზღვარგარეთ საგასტროლოდ და საერთაშორისო პრიზიც მოიპოვა (უნგრეთში).

ფუნქციონირებდა მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, არქიტექტორთა კავშირები, სახელმწიფო სამხატვრო გალერეა, სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, თეატრალური საზოგადოება. საკუთარ გამომცემლობაში „ალაშარა“ მშობლიურ ენაზე იბეჭდებოდა მხატვრული, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ლიტერატურა.

დ. ი. გულიას სახ. ისტორიის, ენისა და ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გარდა ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედებდა 20-ზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. მრავალ მათგანს საკავშირო და მსოფლიო მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად აირჩიეს (ამჟამად გარდაცვლილი) ცნობილი აფხაზი მეცნიერები გიორგი ძიძარია და ზურაბ ანჩაბაძე. საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობის თხოვნით აფხაზი პოეტი ბაგრატ შინქუბა წარდგენილ იქნა სკკპ ცკ-ში „სოციალისტური შრომის გმირის“ წოდებაზე. ანალოგიური

გზით მიიღო სსრკ სახალხო არტისტის წოდება შ. ფაჩალიამ[1].

აფხაზეთის ინტელიგენციის ათობით და ასობით წარმომადგენელმა – ცნობილმა მწერლებმა, პოეტებმა, მხატვრებმა, სახალხო მეურნეობის მოღვაწეებმა პროფესიული ცოდნა მიიღეს თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში...[2]

დღეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისტორიული მეცნიერება არ უნდა იქცეს პოლიტიკის მონად, მსახურად, როგორც ეს იყო საბჭოთა ეპოქაში, მაგრამ ის აუცილებლად უნდა გახდეს ეროვნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის საფუძველი, ერთ-ერთი საყრდენი. ე. ი. ოფიციალური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერებას და არა მეცნიერება – პოლიტიკიას[3].

---

[1] **Л. В. Маршания**, Трагедия Абхазии, Тб, 1995, с. 11.

[2] იქვე, გვ. 5.

[3] **ჯ. გამახარია**, აფსილ-აბაზგთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, თბ., 1998, გვ. 5.

ვინ არის აფხაზი?

ტერმინ-ტოპონიმ „აფხაზის“ ფუძე (ძირი) „აფხა“ და „ფხა“ ასოციაციას იწვევს ქართულ ტერიტორიულ ტოპონიმებთან, როგორიცაა: სოფელი „აფხავი“ (ანანურთან), „ფხოვი“, ასევე სოფელი „აფხაზეთა“ (XII ს.) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში[1]. საინტერესოა, რომ „აფხა“ მეგრულად მარჯვენა მხარს აღნიშნავდა[2].

ტერმინებს „აფხაზი“ და „აფხაზეთი“ სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ჰქონდა თავისი როგორც ვიწრო, ასევე ფართო მნიშვნელობა (თუ დატვირთვა). თავდაპირველად „აფხაზეთად“ (ძველი, გვიანანტიკური ხანის „აბაზგია“) იწოდებოდა მდინარეების ბზიფის, აგრეთვე ფსოუსა და მზიმთის მთიანი ნაწილი. სწორედ ესაა საკუთრივ აფხაზეთი. საკუთრივ აფხაზეთი (ძირითადად, ბზიფის აუზის შუა და ზემო წელი) მოქცეული იყო დიდი კავკასიონის, ბზიფისა და გაგრის ქედებს შიგნით[3].

---

[1] **დ. გოგოლაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

[2] **გ. გაბუნია**, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შექმნის ისტორიიდან, „კლიო“, №15, 2002, გვ. 66.

[3] იქვე.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ყველაზე უძველესი ცნობები აინტიკურ ხანაში აქ მოსახლე ტომების (ხალხების) შესახებ აქვთ ძველ ბერძენ მწერლებს: ჰეკატე მილეტელსა (ძვ. წ. აღ.-ის VI ს.) და ფსევდო სკილაქს კარიანდელს (ძვ. წ. აღ.-ის IV ს.). მათი ცნობებით დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ძველი დროიდანვე და მათი მოღვაწეობის დროს ცხოვრობდნენ კოლხური ტომები – თვით **კოლხები**, **კოლები** და **კორაქსები**. კერძოდ, კორაქსების შესახებ ჰეკატე მილეტელი წერდა: „კორაქსები – კოლხთა ტომია“. კოლებსა და კორაქსებს ეჭირათ მდ. ბზიფსა და სოხუმს შორის მდებარე ტერიტორია, ხოლო ქ. დიოსკურია (ცხუმი, სოხუმი) სკილაქს კარიანდელის ცნობით, კოლხთა მიწაწყალზე მდებარეობდა[1]. მოგვიანებით კი ცხუმი აფშილების ადმინისტრაციული ცენტრი ხდება.

შეიძლება ერთმნიშვნელოვნად აღინიშნოს, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ანტიკურ ხანაში დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომელიც შედიოდა კოლხეთის სამეფოში, წყროებით ძვ. წ. აღ.-ის VI-I საუკუნეებში

[1] **დ. გოგოლაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

იხსენიებიან: კოლხები, კოლები, კორაქსები, ჰენიოხები, მესხები, სანიგები და აფშილები. აბაზგები (აფხაზები) კი აქ ძვ. წ. აღ.-ის VI-I საუკუნეებში არ იხსენიებიან, არ ჩანან. მხოლოდ ახ. წ. აღ.-ის II საუკუნეში დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე იხსენიება აბაზგებიც[1].

საკმაოდ ავტორიტეტული ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი (ძვ. წ. 64-63 – ახ. წ. 23/24 წწ.), რომელსაც ხელთ ჰქონდა წინა საუკუნეების სანდო წყაროები (მაგ., ძვ. წ. II საუკუნის არტემიდორე ეფესელი და სხვ.), და თვითონაც გააჩნდა პრეტენზია შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ტომების ღრმა ცოდნისა, – ვერ ასახელებს აბაზგების (აფხაზების) სახელს[2].

სტრაბონის ცნობებიდან საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ სვანები აფხაზეთის მობინადრეები იყვნენ, სხვანაირად გაუგებარი და აუხსნელი იქნება ის გარემოება, რომ სვანებს ეპყრათ დიოსკურიის ზემოთ კავკასიის

---

[1] **დ. გოგოლაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

[2] **დ. ლეთოდიანი**, აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII სს-ში, თბ., 1991, გვ. 4.

მწვერვალები[1]. თუ რამდენად მჭიდრო ურთიერთობაშია ორი ცნება: „სვანი“ და „კოლხი“, ამაზე კარგად მეტყველებს პტოლემაიოსთან (100-178 წწ.) დადასტურებული სახელწოდება სუანოკოლხები[2].

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, ლეონტი მროველის მიერ მოცემული კავკასიის ხალხთა ეთნიკურ სქემაში არ არის აფხაზ-აბაზგების ეთნონიმი და თვით ეთნოსი. ლეონტის სქემა: ჰაოსი, ქართლოსი, ჰეროსი, მოვაკან, ბარდოსი, კავკასოსი, ლეკოსი, ეგროსი. მის სქემაში „აფხაზოსი“ არაა, მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „აფხაზეთი“ XI საუკუნეში ფართოდაა გავრცელებული ქართულ ენობრივ-პოლიტიკურ სამყაროში. იგი ეგროსის წილი ქვეყანაა. ლეონტი წერს: თარგამოსმა „ეგროსს მისცა ქვეყანა“ ლიხის ქედიდან ზღვამდე, სადაც არს „მდინარე მცირისა ხაზარეთისა“, ანუ მდ. ყუბანი. როგორც ვხედავთ, „აფხაზეთი“ ეგრისის წილია. მთავარი ისაა, რომ ლეონტიმ იცის, – მისი დროინდელი „საკუთრივ აფხაზეთი“

---

[1] **გ. გასვიანი**, სვანთა განსახლება ჩრდილო კავკასიის მთიანეთში, ჟურნ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1993, № 3-4, გვ. 5.

[2] **რისმაგ გორდეზიანი**, ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემები, თბ., 1993, გვ. 27.

ძველი კოლხეთის განუყოფელი ნაწილი იყო. ანდა, სხვაგვარად, ლეონტისთვის „აფხაზეთი ეგრისია“[1].

ლეონტის მოცემული ეგრისის წილი ქვეყანა ეს იგივე ძველი კოლხეთის სახელმწიფოა, ძვ. წ. აღ.-ის VI საუკუნეში შექმნილი, რომლის საზღვრები იყო: აღმოსავლეთით – ლიხის მთა, დასავლეთით – შავი ზღვა, სამხრეთით – ჭოროხ-აფსარონის რეგიონი, ჩრდილო-დასავლეთით კი – ანაპა – ნოვოროსიისკის რეგიონი, სადაც იყო ქართველ ტომთა საცხოვრისი – „ძველი ლაზიკა“, სადაც გვიან ხანაში ბერძნებმა ახალშენი ნიკოფსისი გააშენეს. ცხადია, კოლხეთის სახელმწიფოში მთლიანად შედიოდა დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაც, სადაც ძვ. წ. აღ.-ის VI საუკუნიდან ახ. წ. აღ.-ის II საუკუნემდე, აქ არც „აბაზგ“ – აფხაზები იხსენიება და, მითუმეტეს, არც „აფსუები“[2].

ჩვენი წ. აღ.-ის II საუკუნის ცნობილი რომაელი მოღვაწე ფლავიუს არიანე, რომელიც იმპერატორ ადრიანეს დროს სამსახურებრივი მოვალეობის გამო იმყოფებოდა რომის გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე,

---

[1] **მ. ლორთქიფანიძე**, აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990, გვ. 27.
[2] **დ. გოგოლაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 32-33.

მათ შორის დასავლეთ საქართველოში, ჩამოთვლის მთელ რიგ ქართველ ტომებს. სხვა ქართველ ტომებთან ერთად აღნიშნავს სვანებს. არიანე მიუთითებს, რომ ზიდრიტების გვერდით ცხოვრობენ ლაზები. მათი მეფე მალასა ყოფილა, რომელსაც სამეფო ტახტი რომის იმპერატორისაგან ჰქონია მიღებული. ლაზების მეზობლად არიანე ასახელებს აფსილებს და აბასკებს, რომელთა მეფეებს იულიანესა და რესმაგს მეფის ხელისუფლება ასევე ადრიანესაგან ჰქონიათ მიღებული. აბასკთა მეზობლად ცხოვრობდნენ სანიგები. „მათ მიწაზე იმყოფება სებასტოპოლისი“. სანიგთა მეფეს სპადაგას ასევე მიუღია მეფობა რომისაგან[1].

როგორც დავინახეთ, სანიგების ტერიტორიაზეა დღევანდელი სოხუმი ანუ მაშინდელი სებასტოპოლისი, რაც ანგარიშგასაწევი ფაქტია.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი ისტორიული ქარტეხილების მიუხედავად, აფხაზეთის ქალაქების საკუთარმა სახელებმა ჩვენამდე თითქმის უცვლელად მოაღწია. ასე-

---

[1] ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, V, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო **თ. ყაუხჩიშვილმა**, თბ., 1983, გვ. 158, 159.

თებია მაგ.: ბიჭვინთა, გაგრა, სოხუმი (ცხუმი), ოჩამჩირე, ანაკოფია, ილორი და სხვ. ქვეყანაში ისინი თავისი სოციალურ-ეკონომიკური, რელიგიური, საშიანო და საგარეო სავაჭრო ურთიერთობებით გამოირჩეოდნენ[1].

სოხუმს ძველმა ბერძნებმა დიოსკურია უწოდეს, შემდეგ ბერძენ-რომაელმა ავტორებმა – სებასტოპოლისი, რომლის ადგილობრივი სახელწოდება იყო ცხუმი, რაც დადასტურებულია ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში VIII საუკუნიდან (ჯუანშერის მატიანეში) და ამ სახით გვხვდება მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. ქალაქის სახელი ფორმით „ცხუმი“ გამოიყენებოდა XIX საუკუნის შუა წლებამდე. არაბულ და თურქულ წყაროებში „ცხუმ“ ფორმის ნაცვლად გვხვდება მისი ვარიანტები – სუხ̈მუ და სუხუმ. თურქული ენა სიტყვის დასაწყისში თანხმოვანთა თავმოყრას ვერ გუობს და არც „ც“ აფრიკატი მოეპოვება. ამიტომ „ცხუმ“ „სუხუმად იცვლის სახეს[2].

ცხუმი//ცხომი (უკანასკნელი ვარიანტი დასტურდება „ქართლის ცხოვრების“ მარია-

---

[1] **ს. ბახია-ოქრუაშვილი**, აფხაზეთის ტოპონიმია და ანთროპონიმია, კრ. „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“, თბ., 2005, გვ. 65.
[2] იქვე, გვ. 73.

მისეულ, თეიმურაზისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებში) სვანურში ცხუმ//ცხვიმ//ცხ̣ᲛᲐ ცხმელა[1].

„ცხუმი“, რომ დღევანდელი „სოხუმია“ არ უარყოფს აფსუა ისტორიკოსი შალვა ინალ-იფა, მაგრამ ამავე დროს მიაჩნია, რომ „თუმცა სოხუმს აქვს კიდევ სხვა სახელი, თავისი ადგილობრივი **ძველაბხაზური სახელი აკვა** (აკუა) (ხაზგასმა ჩემია ა. ს.), რომელიც წარმოადგენს ქალაქის ერთადერთ გამოყენებით სახელწოდებას მკვიდრ მოსახლეობას შორის“[2].

რომელია ეს მკვიდრი მოსალხეობა, რომელმაც სოხუმს „აკუა“ შეარქვა? კი მაგრამ, რაღა გვიან პერიოდში გაახსენდა ამ დალოცვილ მკიდრ მოსახლეობას, რომ „აკუა“ იყო ნამდვილი სახელი და არა ბერძენ-რომაელ-ქართველ ავტორთა მიერ შერქმეული მეტსახელი.

ევროპული წყაროების მონაცემებით, XIV საუკუნის პირველ ნახევარში სოხუმში (ცხუმში) ცხოვრობდნენ ქართველები, ლათინები,

---

[1] **თ. გვანცელაძე**, ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური კვლევისათვის, კრ. „აფხაზეთის ისტორიის პრობლემები“, თბ., 1998, გვ. 52.

[2] Ш. Инал-ипа, Абхазы, Сухуми., 1960, с. 41.

მაჰმადიანები და ებრაელები[1]. აფხაზი რომ სხვა ეროვნებისა ყოფილიყო და არაქართველი, ბუნებრივია, წყაროები დააფიქსირებდნენ. აფსუები კი ქართულ „სარბიელზე“ ჯერ არ გამოჩენილიყვნენ.

აბაზა – აბაზგია – აფხაზი ტერმინის ღრმა ლინგვისტური ანალიზის შემდეგ აკად. თ. გამყრელიძე ასეთ დასკვნამდე მიდის: „შავიზღვისპირეთის ეთნოკულტურული ვითარება ახ. წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში გვკარნახობს შესაძლებლობას „აფხაზ“/„აბაზგ“-ებში საკუთრივ დასავლურ-ქართველური წარმომავლობის ტომები დავინახოთ, რომლებიც ახლო მონათესავენი უნდა ყოფილიყვნენ ძველ კოლხეთში მობინადრე სვანური და მეგრულ-ლაზური ტომებისა. თვით უძველესი სახელწოდება ამ ტომებისა „აფხაზ“ – რომელიც ბერძნულ მეტყველებაში „აბაზგ“ – /„აბაზღ“ ფორმად გარდაიქმნა, აგებულების თვალსაზრისით სავსებით „ქართველურია“, ამ ენებში გავრცელებული (მაგრამ ბერძნულისათვის დაუშვებელი) ფხ ჰარმონიული კომპლექსის შემცველი და ა-ხმოვნით დაწყებული. შდრ. ამ მხირვ უძველესი ქართული ტოპონიმი „აჭარა“, რომელიც უკვე „ქართლის ცხოვრებაში“ დასტურდება.

ძველი კოლხეთის ძირითად მოსახლეობას წარმოადგენდნენ ამ დროს სწორედ ეს დასავლურ-ქართველური ტომები[2].

---

[1] ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, I ნაწილი, თბ., 1998, გვ. 501.

[2] **თ. გამყრელიძე**, „აფხაზ“ – „აბაზგ“-ი და „აბაზა – აფსუა“ (ვინ იყვნენ ეთნიკურად და ენობრივად ამ სახელებით აღნიშნული ხალხები?), გაზ. „ერი“, 1991, 10 აპრილი.

თავის დროზე აკად. ნ. მარიც აღნიშნავდა, რომ ხალხი, რომელიც სვანური ტომებისაგან შედგებოდა, თავდაპირველად არ ატარებდა „სვან“ სახელწოდებას, არამედ მისი ეთნიკური სახელწოდება იყო „აბასხი“. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ „აბასხ“ ტერმინის თავდაპირველი ფორმა ყოფილიყო ბასხ//ბასყ (შდრ. „ბასკ“-ი), რაც სვანურია და მარწყვს ნიშნავს.

ამგვარად, ებზე მომდინარეობს აბაზა ტერმინიდან და ისტორიულად დასავლეთ საქართველოს ძირძველ, სუანო-კოლხურ ტომებს აღნიშნავდა. აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბებიდან (VIII ს.) ეს ტერმინი უფრო ფართო მინშვნელობით გაიგება რუსი და სხვა ევროპელი ავტორებისათვის. ისინი ებზეობეზ-ის ხშირად მთელი საქართველოს აღმნიშვნელადაც ხზმარობენ. VIII-XII საუკუნეებში ზოგჯერ ანალოგიურ ფაქტს ვაწყდებით აღმოსავლურ წყაროებშიც.

საისტორიო წყაროებში სახელმწოდება „აფხაზები“ VIII საუკუნეზე ადრე არ არის დადასტურებული. ეს ტერმინი ქართულ მწერლობაში ჩნდება იმ ხანიდან, როდესაც იგი აღნიშნავს არა მხოლოდ საკუთრივ აბაზგებს, არამედ საერთოდ აფხაზეთის მიწა-

წყლის მკვიდრთ, რომლებშიც მეგრულ-ზანური, სვანური და აღმოსავლეთ-ქართველური ტომებიც იგულისხმება[1].

საისტორიო წყაროებში სახელწოდება „აფხაზები“ VIII საუკუნეზე ადრე არ არის დადასტურებული. ეს ტერმინი ქართულ მწერლობაში ჩნდება იმ ხანიდან, როდესაც აღნიშნავს არა მხოლოდ საკუთრივ აბაზგებს, არამედ საერთოდ აფხაზეთის მიწა-წყლის მკვიდრთ, რომლებშიც მეგრულ-ზანური, სვანური და აღმოსავლურ-ქათველური ტომებიც იგულისხმება[2].

დასავლეთ საქართველო იცვლიდა ხოლმე თავის სახელწოდებას იმისდა მიხედვით, თუ ამ ქვეყანაში – დასავლეთ საქართველოში, რომელ ტომს ჰქონდა მოპოვებული უპირატესობა. დასავლეთ საქართველოში რამდენიმე სხვადასხვა ქართული ტომი ცხოვრობდა. ესენი იყვნენ: კოლხები, სანიგები, ლაზები, აბაზგები და სხვები.

როდესაც დასავლეთ საქართველოში ეკონომიკური და პოლიტიკური უპირატესობა

---

[1] **თ. მიბჩუანი**, სვანი და სვანეთი ტერმინთა ეტიმოლოგიისათვის, კრ. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბ., 1993, გვ. 466, 467.

[2] **მ. ინაძე**, ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, ჟურნ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1992, №2, გვ. 65.

მოიპოვეს კოლხებმა, თვით სახელმწიფოსაც ერქვა **კოლხეთი** ანუ **კოლხიდა**. როდესაც შემდგომ საუკუნეებში (დაახლოებით პირველი საუკუნიდან) პოლიტიკური უპირატესობა მოიპოვეს ლაზებმა, მთელ სახელმწიფოსაც ეწოდებოდა **ლაზეთი** ანუ ბერძნულად **ლაზიკე**. მერვე საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში გაძლიერდა **აბაზგების ქართული ტომი** და ქვეყნის სათავეში აბაზგთა ტომის მთავარი მოექცა. ამიტომაც მთელ დასავლეთ საქართველოს ეწოდებოდა **აბაზგია** ანუ აბაზგეთი, ე. ი. აფხაზეთი[1].

ნიშანდობლივია ვახუშტი ბატონიშვილის აზრი დასავლეთ საქართველოს შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ „ქვეყნისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამი: პირველად ეგირისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი“.[2]

ჯერ კიდევ ლეონ აფხაზთა ერისთავი, რომელსაც ქვეყანა **კლისურითგან ხაზარეთის მდინარემდე** მამულობით სამკვიდრებლად უპყრია (ეს რეალური ცნობაა, ასე სწამთ XI საუკუნის სახელმწიფო და პო-

---

[1] **ს. ყაუხჩიშვილი**, რას გვიამბოენ ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1964, გვ. 14.

[2] **ვახუშტი ბატონიშვილი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართული პროზა“, თბ., 1983, V, გვ. 451.

ლიტიკურ მოღვაწეებს) არჩილ მეფეს ყმობას შესთხოვს იმ პირზე: „შემრთე მეცა მონათა შენთა თანა, რომელნი ესე დღეს ღირს ყვენ შვილად და ძმად შენდა, არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენადვე იყოს“.

ცხადია ჯუანშერის აზრთა მსვლელობა შემდეგია: არჩილმა განსაკუთრებული მნიშვნელობის პოლიტიკური ღონისძიება გაატარა: აქამდე მოხელე ერისთავები მემკვიდრე მფლობელებად აქცია, ქვეყნის ნახევარი მათ ნამზითვად დაუმტკიცა და ეს სიძე-ერისთავები მეფის „**შვილებად და ძმებად**“ გაიხადა. აი, ასეთ ერისთავობას, ე. ი. მეფის ასეთ ყმობას ხალისით იზიარებს აფხაზთა ერისთავი, რომელიც თვით შესძღვნის პატრონს თავის ქვეყანას[1].

VIII საუკუნეში აფხაზეთის ტერიტორია ბიზანტიის ხელდებული ხდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქართლის ერისმთავარს არავითარი უფლებები არ ჰქონდა ამ ძირძველ ქართულ მიწაზე. როდესაც ლეონ მეორე სარგებლობს ბერძენთა დაუძლურებით და ხაზარების დახმარებით მათ განუდგება, ამავე დროს, ითვალისწინებს რა ქართლის ერის-

[1] **ნ. ბერძენიშვილი**, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 157-158.

მთავართა სისუსტეს, ბედავს აფხაზეთის მეფედ თავის გამოცხადებას. „მატიანე ქართლისაის“ ავტორის ცნებით, როდესაც ლეონმა „დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე და სახელ იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ **მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერი** (ხაზგასმა ჩემია ა. ს.) და შემდგომად ამისა ჯუანშერცა მიიცვალა“[1].

გამოდის, რომ ლეონი აფხაზთა მეფე ვერ გახდებოდა, თუ ქართლის ერისმთავრებიდან იოანე – გარდაცვლილი და ჯუანშერი მოხუცებული არ იქნებოდა. ქართლში ამ დროს ძლიერი ხელისუფლება რომ ყოფილიყო, კუთვნილ მშობლიურ მიწას თვითონვე შემოიერთებდა და ბერძენთა მიერ დასმული ერისთავის შთამომავლის ანაბარა არ მიატოვებდა.

ფეოდალური საქართველოს ერთ მონარქიად გაერთიანებისათვის ბრძოლა სწორედ აფხაზთა სამთავროში იწყება. ე. ი. ამ დიდი ეროვნული მოძრაობის ინიციატორები აფხაზთა ფეოდალური წრეები იყვნენ აფხაზ მთავართა წინამძღოლობით; ის, რომ აფხაზთა

[1] **მატიანე ქართლისაი**, ქართული პროზა, თბ., 1982, ტ. 3, გვ. 65.

მთავარ ლეონს, რომელმაც VIII საუკუნის 70-იან წლებში საკუთრივ აფხაზეთი დანარჩენ ეგრისთან გააერთიანა, თავისი რეზიდენცია კი ანაკოფიიდან ქუთაისში – ქართულ კულ-ტურულ და პოლიტიკურ ცენტრში – გადმო-აქვს; ის, რომ ამიერიდან ორასი წლის გან-მავლობაში „აფხაზთა მეფეები“ ყველაზე აქ-ტიურად იბრძვიან საქართველოს გაერთიანე-ბისათვის; ის, რომ „აფხაზთა მეფეები“ იმთა-ვითვე IX-X საუკუნეებში ქართული მონას-ტრებისა და საეპისკოპოსო კათედრების დამ-ფუძნებლებად გვევლინებიან, და ბოლოს ის, რომ იმავე IX-X საუკუნეებიდან საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორიაზე (საერთოდ დასავ-ლეთ საქართველოზე რომ არაფერი ვთქვათ) ქართული ეპიგრაფიკა ვრცელდება...

ყველაფერი ამის შედეგად სრულიად ბუ-ნებრივია, რომ აფხაზთა წრიდან გამოსული პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეები, რომლებიც ქართულ კულტურულ-პოლიტი-კურ სარბიელზე მოღვაწეობდნენ, „ქართვე-ლები“ იყვნენ და „ქართველებად“ გრძნობ-დნენ თავს სწორედ იმ ზოგადეროვნული მნიშვნელობით, როგორც ამ საუკუნეებში შე-

იძინა ამ ეთნონიმმა[1]. შემთხვევითი არ არის, რომ „ლეონიდების“ გარდა „აფხაზთა სამეფოს„, IX საუკუნის მეორე ნახევარში, სვანი შავლიანები განაგებდნენ[2].

აფხაზთა სამეფო ქართული საელმწიფო რომ არ ყოფილიყო, მისი დედაქალაქი იქნებოდა არა ქართული მოსახელობის შუაგულში მყოფი, ძველი ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ცენტრი ქუთაისი, არამედ ანაკოფია (აფხაზეთის საერისთავოს ცენტრი), ეკლესია ან არ გამოეყოფოდა კონსტანტინოპოლის სამწყსოს და თუ გამოეყოფოდა, ჩამოყალიბდებოდა საკუთრივ აფხაზეთის ეკლესია, არ დამკვიდრდებოდა წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე და არ შეუერთდებოდა მცხეთის საკათალიკოსოს[3].

მას შემდეგ, რაც დასავლეთ საქართველო აფხაზეთის ერისთავთა დინასტიის მეთაურობით ერთ სამეფოდ გაერთიანდა, ბუნებრივია, თუ ამ სამეფოს ეწოდა „აფხაზეთი“ და ბუ-

---

[1] **დ. მუსხელიშვილი**, ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის, ჟურნ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1992, №3, გვ. 15-16.

[2] **გ. გასვიანი**, აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, კრ. „აფხაზეთის ისტორიის პრობლემები“, თბ., 1998, გვ. 113.

[3] **მ. ლორთქიფანიძე**, არა უწყიან თუ..., „ლიტერატურული საქართველო“, 1990, 16 თებერვალი.

ნებრივია ისიც, რომ XI საუკუნის მეორე ნახევრის მემატიანე, რომელიც ამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებით იწყებს ფაქტობრივად თავის ისტორიას, ამის შემდეგ დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოს მხოლოდ „აფხაზეთს“ უწოდებს, თუმცა მისთვის, როგორც ვიცით, „ეგრისიც“ არ არის უცნობი[1]. VIII საუკუნის 70-იან წლებში და შემდგომ „აფხაზეთი“ ეწოდებოდა არა მხოლოდ საკუთრივ აფხაზეთს, არამედ მთელს დასავლეთ საქართველოს (ჩვენ ეს უკვე ვიცით „მატიანე ქართლისაიდან“ და აგრეთვე „აბო ტფილელის მარტვილობიდან“)[2].

დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შემდეგ „მეფე აფხაზთა“ მუდმივად დარჩა ქართველ მეფეთა ტიტულატურაში: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, კახთა...“ და ა. შ. აქ უნდა გავითვალისწინოთ მიმართულებაც – დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ისტორიული სამართლიანობაც: ქართული სახელმწიფოს გაერთიანება დაიწყო აფხაზეთიდან, როცა იქ გამეფდა ბაგრატ III და, რაც მთავარია,

---

[1] **დ. მუსხელიშვილი**, „ქართლის ცხოვრების უძველესი ნაწილის შედგენილობა და ჯუანშერის თარიღი, კრ. „საქართველო ვახტანგ გორგასლის ეპოქაში, თბ., 1999, გვ. 80.

[2] იქვე. გვ. 86.

მეფეთა და იმპერატორთა ტიტულატურა არასდროს იწყება დაპყრობილი მიწებიდან. გავიხსენოთ რუსი იმპერატორების ტიტულატურა: „ხელმწიფე იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მოსკოვისა, კიევისა, ვლადიმირისა, ნოვგოროდისა, მეფე ყაზანისა, მეფე ასტრახანისა, მეფე ციმბირისა...“ და ა.შ.

განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ეს ტიტულატურა დაწყებულიყო არა სიტყვებით „სრულიად რუსეთისა, მოსკოვისა“, არამედ „ყაბარდოსი“, რომელიც აგრეთვე იხსენიება იმპერატორის სამფლობელოში? აქ გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ რუსეთის იმპერიის შექმნა დაიწყო მოსკოვიდან და არა კიევიდან, ხოლო შემდეგ მოხსენიებულია დაპყრობილი მიწებიც. ან გავიხსენოთ შაჰაბასის რეგალიები, რომ ის იყო შაჰი სრულიად ირანისა და შემდეგ იყო მფლობელი ლურისტანის, არაბისტანის, ქურთისტანის, ავღანისტანის, გურჯისტანის და ა. შ.

შეიძლებოდა სხვაგვარად მოქცეულიყვნენ ქართველი მეფეები? არა, არ შეეძლოთ მათ თავი გამოეცხადებინათ ჯერ სხვა ხალხთა მეფედ, შემდეგ კი საკუთარი ხალხისა! აფხაზთა მეფობა არა მარტო მათი გაგებთ, არა-

მედ თვით იმდროინდელ აფხაზთა, ქართველთა (ანუ აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლის) მოსახლეობის), კახთა და სხვათა, აგრეთვე ქართველ მეფეთა უცხოელი კოლეგებისა და მეზობელი ხალხების გაგებით ნიშნავდა იმავე ქართველთა (დასავლეთ საქართველოს ქართველთა) მეფობას.

ამიტომაც, თუ XIII საუკუნეში არა „აფხაზურ-ქართული გაერთიანებული სახელმწიფო“, არამედ ქართული სახელმწიფო სხვადასხვა ისტორიულ წყაროებში მოიხსენიება როგორც „აფხაზეთი“, ე. ი. „აფხაზეთი“ და „საქართველო“ სინონიმებად ითვლება, ამაში არაფერია უჩვეულო და გასაკვირი[1]. ანუ კიდევ ერთხელ გავიმეოროთ აკად. ნიკო ბერძენიშვილის შეფასება, რომ „აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო, და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როოგრც ეგრისი და მეგრელი, როგორც ჰერეთი და ჰერი, როგორც ქართლი და ქართლელი...“[2]

ამრიგად, უცხოური წყაროების მიერ საქართველოს აფხაზეთად მოხსენიება ფგაქტობრივად ქართული სინამდვილიდან მომ-

---

[1] **რ. მიმინოშვილი, გ. ფანჯიკიძე,** სიმართლე აფხაზეთზე, თბ., 1990, გვ. 32-33.

[2] **ნ. ბერძენიშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 608.

დინარეობს, სადაც გაერთიანებული საქართველოს მეფეებიც, დაწყებული ბაგრატ მესამით, რომლითაც მთავრდება აფხაზთა მეფეთა დივანი, დავით აღმაშენებლის ჩათვლით „სამეფო აფხაზეთისა“-ს, იგივე საქართველოს, მეფეებად იყვნენ მიჩნეული[1].

და კიდევ, ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურა ქართული ქვეყნების პროცესს ასახავს და არ არსებობს საფუძველი თვალსაზრისისათვის, რომ ტიტულატურაში პირველ ადგილზე „აფხაზთა“ მეფის არსებობა აფხაზთა ან აფხაზეთის რაიმე განსაკუთრებულ როლზე მიუთითებდეს საქართველოს გაერთიანებაში. გაერთიანება გამოჩენილი პოლიტიკოსის, ეროვნული მოღვაწის იოანე მარუშისძის ხელმძღვანელობით, ქართლისა და დასავლეთ საქართველოს ძალებით განხორციელდა და შეიქმნა სახელმწიფო „საქართველო“, ე. ი. ქართველებით დასახლებული ქვეყანა[2].

XII საუკუნის პირველ ნახევარში, უცნობი სპარსელი ავტორის მიერ შედგენილ საის-

---

[1] **გ. ალასანია**, ქართული წყაროების – „სამეფო აფხაზეთისა“-ს მნიშვნელობის დაზუსტებისათვის, „სამეცნიერო სესია მიძღვნილი ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნისადმი“, თბ., 2003, გვ. 59.

[2] **მ. ლორთქიფანიძე**, აფხაზეთის სტატუსის საკითხისათვის საქართველოში, „ანალები“ №1, 2005, გვ. 10.

ტორიო თხზულებაში ქართველისა თუ საქართველოს აღსანიშნავად გამოჩნდა ტერმინი „აფხაზი“. ხოლო თუ რა უნდა იყოს ამის მიზეზი, უმლავე ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ ამ თხზულებას დიდი დავით აღმაშენებლის მეფობის მომსწრე ადგენდა[1]. ასევე გრძელდება დემეტრე პირველის მეფობის პერიოდში. დავითისა და თამარის წინა ეპოქაში სხვადასხვა სახის სპარსულ წყაროებში საქართველო და ქართველობა მოიხსენიება „გორჯესთანისა“ და „გორჯების“ სახელწოდებით[2].

სპარსელი ისტორიკოსები „აფხაზს“ ანუ აფხაზეთს მიიჩნევენ საქართველოს განუყოფელ ნაწილად[3]. აფხაზეთი რომ საქართველო იყო და ქართული სულის განსახიერება, კარგად ჩანს XII საუკუნის სპარსელი პოეტის ხაკანის სიტყვებიდან: „მშვენიერი ქალის სიყვარულის გამო გავხდი აფხაზეთის მკვიდრი და ქართულად ვიწყე ლაპარაკი“[4].

---

[1] **კ. ტაბატაძე**, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები X-XV სს. სპარსული წყაროების მიხედვით, კრ. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი...“, გვ. 218.
[2] იქვე, გვ. 219, 222.
[3] იქვე, გვ. 245.
[4] **რ. მიმინოშვილი, გ. ფანჯიკიძე**, დასახელებული ნაშრომი, გვ. 37.

ზოგიერთი სპარსელი ავტორი სიტყვა საქართველოს საერთოდ არ ახსენებს. მათ საქართველოს აღმნიშვნელ ტერმინად აფხაზეთი მიაჩნიათ. მაგალითად, ჰამდალაჰ ყაზვინი გიორგი მესამის ლაშქრობასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „აფხაზთა მეფე შეესია ისლემობის მიწა-წყალს... აფხაზები უკუქცეულნი დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში... არას დროს ისლემობას აფხაზებთან ასეთი ბრძოლა არ ჰქონიათ...“[1] ასევე, XII საუკუნის საომარ ოპერაციებთან დაკავშირებით, სადრად-დინ... ალ ჰუსაინის თქმით, „აფხაზთა (ე. ი. ქართველთა ა. ს.) მეფე აიძულეს, გაქცეულიყო“[2]. ან კიდევ, „არაბთა ისტორიკოსები – აღნიშნავდა აკად. ივ. ჯავახიშვილი – ზოგჯერ მთელ საქართველოს სამეფოსაც კი აფხაზეთად უწოდებდნენ და საქართველოს მეფეს აფხაზთა მეფედ იხსენიებენ“[3].

რუსული ტერმინი „ობეზ“ ეტიმოლოგიურად უკავშირდება „აბაზგ“, „აფხაზ“ სახელწოდებას, სავსებით შესაძლებელია, რომ იგი „აბაზა“-დან ან „აბაზინი“-დან წარმოიშვა,

---

[1] **ჯ. სტეფნაძე**, მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, თბ., 1999, გვ. 62.
[2] იქვე, გვ. 74.
[3] **ივ. ჯავახიშვილი**, თხზ. ტ. II, თბ., 1983, გვ. 50.

მაგრამ შინაარსობრივად საქართველოსა და ქართველებს ნიშნავდა[1].

მეტად საინტერესო, რომ ყარაჩაელები და ბალყარელები სვანების აღმნიშვნელ ეთნონიმად ებზეს ხამარობენ. ს. ჯანაშიას აზრით, „ებზე“ მომდინარეობს „აბაზა“ ტერმინიდან[2].

ახლა შევეხებით კიდევ ზოგიერთ სადავო საკითხს. კერძოდ, თავის ძეს თამარი თიკუნად „ლაშას“ უწოდებს. „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორი გვეუბნება – ლაშა, აფსართა ენითა, განმანათლებლად სოფლისა ითარგმნებაო. მკვლევართა ნაწილის აზრით: იმიერკავკასიის მოსახლეობის გულის მოსაგებად მომავალ ხელმწიფეს ორი სახელი ჰქვია – ქართველთა სადიდებელი წმინდანისა და იმიერკავკასიელთა წარმართული ღვთაების: ლაშა-გიორგი ანუ ნათელი გიორგი, რაც თეთრი გიორგის ასოციაციას იწვევს[3]. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ფრაზა – „ლაშა“ „აფსართა ენით“ „ითარგმნაო“, „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში ჩნდება XVIII საუკუნიდან. ად-

---

[1] **გ. პაიჭაძე**, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები რუსულ წყაროებში, კრ. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი...“, გვ. 286.

[2] **ს. ჯანაშია**, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 300.

[3] **ა. ბაქრაძე**, რწმენა, თბ., 1990, გვ. 57.

რე კი თამარის ისტორიის ტექსტებში ეს სიტყვები არსად ყოფილა და, ცხადია, არც უნდა იყოს ამ ავტორის კუთვნილება. ეს დამატება „ქართლის ცხოვრებაში“, ეტყობა, მას შემდეგ შეუტანიათ, რაც „ქართლის ცხოვრების“ ტექსტები საფუძვლიანად გაასწორეს და შეავსეს ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის დროს XVIII საუკუნის დამდეგს.

ის ფაქტი, რომ სიტყვები „აფსართა ენითა“ „ქართლის ცხოვრებაში“ XVIII საუკუნიდან გაჩნდა, იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ თავდაპირველ ტექსტში ისინი გვიანაა ჩართული. ამდენად, ჩამატებული სიტყვები ვეღარ გამოდგება იმის საბუთად, თითქოს XII საუკუნეში, თამარის ისტორიკოსის ცნობით, „ლაშა“ ნიშნავს „განმანათლებელს სოფლისა“ „აფსართა“, ე. ი. „აფსუების“? ენაზეო.

ვის უნდა დასჭირვებოდა ამ სიტყვების ჩამატება და რას უნდა ნიშნავდეს სახელწოდება „აფსარნი“? ვინ უნდა იყვნენ ისინი?

ეტყობა, „ქართლის ცხოვრების“ მკითხველებს კარგა ხანს არ ესმოდათ თუ ვის ენაზე ნიშნავდა სიტყვა „ლაშა“ „განმანათლებელს სოფლისა“. თამარის ისტორიაში ხომ მარტივად ჩაწერეს „ითარგმნებაო“.

და აი, ვიღაცამ განიზრახა მკითხველებისათვის განემარტა, რომ „ლაშა“ „განმანათლებელს“ ქვეყნისა ნიშნავს აფხაზების ენაზე. მაგრამ როგორ მოქცეულიყო კომენტატორი? ქართველების ტრადიციული წარმოდგენებით აფხაზეთი თავისი მოსახლეობითურთ ძველთაგანვე საქართველოს და ქართული სამყაროს განუყოფელი ნაწილი იყო. ახლა კი, კომენტატორის დროს, აფხაზეთის მოსახლეობის გვარიანი ნაწილი უკვე ახალი აფხაზები, არაქართული მოდგმის, მათივე გამოთქმით, აფსუები იყვნენ. გაითვალისწინა რა ეს, კომენტატორმა მეტი სიზუსტისათვის სწორედ ეს ფორმა – აფსუა იხმარა და განმარტებამაც ამგვარი იერი მიიღო: „განმანათლებლად სოფლისა აფსართა ენით ითარგმნაო“. აფსართა, სახელობითში აფსარნი, ე. ი. აფსუ-ები, აფსუების ძველი ქართული ფორმაა, როგორც მაგალითად, სომხეთის, ქვემო ქართლის ერთი ნაწილის მცხოვრებთ აღნიშნავდნენ ტერმინით – „სომხით-არ-ნი“[1]. თუმცა მთლად ასეც არ არის საქმე.

მდინარე ჭოროხის მეორე სახელია აფსაროსი. „აფსარი“ (ბერძნულად ნიშნავს „თევ-

[1] **შ. ბადრიძე**, საქართველოს ისტორია, წიგნი I, თბ., 1994, გვ. 29-30.

ზი“)=„უთევზო“[1]. როდესაც ანტიკური პერიოდის ტერმინ აფსაროსზე მსჯელობენ, აფსუები თავის ძირებზე მიუთითებენ. სინამდვილეში კი, „როდესაც პროკოპი კესარიელი (V-VI სს.) კოლხეთის ქალაქ აფსარუსზე მსჯელობს, შემდეგს ამბობს: „ძველად მას ეწოდებოდა აფსირტოსი – კაცის სახელი, აქ გადატანილი უბედურების გამო. მკვიდრნი ამბობენ, რომ აქ მედეასა და იასონის ვერაგობით ადამიანებს გამოაკლდა აფსირტე და ამის გამო ადგილმა მისი სახელი მიიღო; ის ხომ ამ ადგილას მოკვდა და ეს ადგილიც მისგან იწოდა ასე... ამ აფსირტეს საფლავი არის ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში“[2].

„აფხაზურში“ არც აფსირტეს მსგავსი, ფონეტიკურად ახლო მდგომი რაიმე კულტის არსებობა დასტურდება. სამაგიეროდ სვანურ ღვთაებათა პანთეონში არსებობს ნადირთა და მონადირეთა მფარველი აფსასტ[3].

რაც შეეხება სახელი „ლაშას“ განმარტებას, რატომ მაინცდამაინც აფსუათა ანთროპონიმის მიხედვით უნდა ავხსნათ, მაშინ,

---

[1] **თ. მიბჩუანი**, აფხაზეთის ტოპონიმიკა, კრ. „აფხაზეთის ისტორიის პრობლემები“, თბ., 1998, გვ. 164.

[2] **რ. გორდეზიანი**, დასახელებული ნაშრომი, გვ. 32.

[3] **თ. მიბჩუანი**, დასახელებული ნაშრომი, გვ. 164.

როცა ტერმინი „ალაშა“ ქართულია და „ტა-იჭს“ ნიშნავს[1]. სულხან-საბას განმარტებით, ლაში პირის ქვედა ბაგეა[2].

ლაშარის ჯვარი ფშავის მთავარი სა-ლოცავია. საკულტო ცენტრი მდებარეობდა ფშავის არაგვის ხეობის ზედა წელში, სოფელ ხოშარის მომიჯნავე ე. წ. „ლაშარის გორზე“; ლაშარის ჯვარი ითვლებოდა მოლაშქრე ღვთაებად, რომელიც გიშრის ფაფარიანი ნის-ლა ცხენით წინ მიუძღოდა საყმოს ლაშქრო-ბებს. როგორც ფშავის თორმეტივე თემის მფარველს, მასვე შესთხოვდნენ სახნავ-ნათე-სის ბარაქიანობას, ადამიანთა კეთილდღეო-ბას, ავადმყოფობისაგან და ზიანისაგან დაც-ვას. ლაშარის ჯვარის კულტი, გარდა ფშავი-სა, გავრცელებული იყო თუშეთში, ხევსუ-რეთში, მოსაზღვრე ბარის რაიონებში, მეზო-ბელ ჩრდილო კავკასიის მთიელებში. ლაშა-რის ჯვარი ითვლებოდა ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ღვთაებად, რომელიც ფლობდა მრა-ვალ შემოწირულ განძეულობას (მაშასადამე, საქართველოს მეფეებისაგანაც), ადგილ-მა-მულს, ზვრებს კახეთში და სხვ.

---

[1] **ვახტანგ ითონიშვილი**, არაგვი და არაგველები, თბ., 1989, გვ. 25.
[2] **სულხან-საბა ორბელიანი**, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991, გვ. 408.

არსებობს შეხედულება (ვახუშტი), რომ ლაშარის ჯვარი აგებულია ლაშა გიორგის მიერ. ლაშა გიორგის სახელს უკავშირებს მას ხალხური გადმოცემაც. ისტორიული და ენობრივი მონაცემების მიხედვით, ლაშარის ჯვარი ძველი წარმართული, ასტრალური ბუნების ღვთაება უნდა იყოს, რასაც ქრისტიანობის ხანაში ლაშა გიროგის კულტი შეერწყა (ისევე როგორც თამარ-აქიმ დედოფლის კულტს თამარ მეფის კულტი). ქართულ ფოლკლორში ლაშარის ჯვრისადმი (ლაშარელასადმი) მიძღვნილი მრავალი ლექსი მოიპოვება: „ლაშარელაის ლურჯასა“!, „ლაშარის ჯვარი ჯავრობდა“, „დიდობდა ლაშარის ჯვარი“, „თამარ დედოფალი და ლაშარის ჯვარი“ და სხვ.[1]

დავით ჩუბინაშვილის განმარტებით, **ლაშა** ბალახს ნიშნავს[2], ხოლო იმრულ დიალექტში ლაშა ტუჩას, დიდტუჩიანის აღმნიშვნელია. ამასთანავე „ლაშა“ გვხვდება თურქულ და სპარსულ ლექსიკონებშიც. „ლაშას“ მსოფლიოს დაახლოებით” ოცდახუთ ენაზე მაინც აქვს სხვადასხვა მნიშვნელობა[3]. ცნობი-

---

[1] **ქსე**, ტ. 6, თბ., 1983, გვ. 148.
[2] **დ. ჩუბინაშვილი**, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984, გვ. 645.
[3] **რ. მიშველაძე**, რა გადაარჩენს საქართველოს, თბ., 1993, გვ. 237.

ლი ისტორიკოსი ზურაბ ანჩაბაძე მიიჩნევდა, რომ თამარის დროს ცხუმის ერისთავი შერვაშიძე იყო (ჩაჩბა)[1], მაგრამ თამარის ისტორიკოსთან არავითარი ჩაჩბა არ არის მოხსენიებული. ცნობილია, რომ აფხაზეთთან დაკავშირებული პირველი გვარსახელი (და ისიც ქართული წარმოშობისა) – შერვაშიძე „ქართლის ცხოვრებაში“ მხოლოდ XIII საუკუნეში ჩნდება, ფეოდალური გვარსახელების ნაწილი XVI-XVII საუკუნეებიდან, ხოლო „აფხაზური“ გლეხური გვარები XVIII-XIX საუკუნეებში[2]. წყაროებში მითითებული დოთაღო შარვაშიძე ქართველია, ხოლო XVII-XIX საუკუნეების შერვაშიძეები აფსუები არიან.

შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენს, რომ აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შერვაშიძე მშობლებმა აღსაზრდელად ეროვნებით უბიხს – ჰაჯი დამომუყვა ბარზეგს მიაბარეს. ამ სკოლაში უნდა მიეღო მომავალ მთავარს ის თვისებები, რომლებიც იმდროინდელ უბიხსა და ჩერქეზს ახასიათებდა[3]. საერთოდ, აფხაზები (აფსუები) გაძიძა-

---

[1] **ზ. ანჩაბაძე**, დასახელებული ნაშრომი, გვ. 57.

[2] **სალომე ბახია-ოქრუაშვილი**, დასახელებული ნაშრომი, გვ. 66.

[3] **ს. ჯანაშია,** გიორგი შარვაშიძე, შრომები, ტ. VI, თბ., 1988, გვ. 29, 30.

ვებას მიმართავდნენ არა მხოლოდ ერთმანეთში, არამედ ჩერქეზთა სხვადასხვა ტომებში. ამ მხრივ უბიხთა ტომი, რომელიც დასავლეთ კავკასიაში მესამე დამოუკიდებელი ეთნიკური ერთეული იყო, ამავე დროს წარმოადგენდა აფხაზებსა და ჩერქეზებს შორის დამაკავშირებელ რგოლს[1]. ბუნებრივია, რომ ჩამოსახლებულ აფსუებს მამამძუძეობისაკენ სწრაფვა თავისი მოძმე მთიელებისაგან ჰქონდათ მიღებული. საგულისხმოა, რომ ს. ჯანაშია ადიღეს ავტონომიური ოლქის, სოფელ ულაფში მცხოვრებ აბაზებს პირიქითელ აფხაზებს უწოდებს[2].

ადიღეურ ტომებთან ამ გზით კავშირის არსებობის ფაქტი ახალი აფხაზების მათთან ეთნიკური მონათესაობის მანიშნებელია და მისი განმტკიცების საშუალებაც. გენეტიკური და ყოფითი სიახლოვე რომ არა, „აფხაზური“ აღზრდის სისტემაში არ იქნებოდა გათვალისწინებული ადიღეურ-ჩერქეზული ადათ-წესების ცოდნა. „აფხაზის“ შეგნებით, მოზარდი იმ ხალხის ტრადიციებსაც უნდა ზიარებოდა, რომელთანაც სისხლით და მოყვრობით ნათე-

---

[1] **Ш. Инал-ипа**, Очерки по истории брака и семи у Абхазов, изд. «Абгиза», 1954, с. 28, 29.

[2] **ს. ჯანაშია,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 28.

საობასთან ერთად ყოფა-ცხოვრებისა და სულიერი კულტურის იდენტურობითაც იყო დაკავშირებული. ურთიერთშორის აღსაზრდელად გაბარება საერთო ტრადიციების შენარჩუნების აუცილებელ პირობად ითვლებოდა[1].

საერთოდ, ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების საფუძველზე დადგენილია, რომ „აფხაზი“ ფეოდალები შვილებს (ვაჟებსაც და ქალებსაც) აღსაზრდელად აძლევდნენ ჩერქეზებსა და ჯიქებს[2].

ახლა დავუკვირდეთ კვლავ ზემოთ აღნიშნულ ფაქტს: მიხეილის აღმზრდელი ქართველი კი არ არის, არამედ აფსუების სისხლი და ხორცი, მათი თანატომელია. ე. ი. მომავალ მთავარს აქ უნდა ესწავლა „ადიღეხაბზ“ ანუ ადიღეური რჯული, „აფხაზურ“-ჩერქეზული (ადიღეური) ტომებისათვის საერთო მოქცევის წესების ურთულესი სისტემა... და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, **უბიხური** და **ჩერქეზული ენები**.

რუსი ოფიცერი ტორნაუ, რომელიც მთავრობის საიდუმლო დავალებით მუშაობდა დასავლეთ კავკასიის მთიელთა შორის

---

[1] **ვ. ითონიშვილი,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 90.
[2] იქვე, გვ. 92.

და პირადად იცნობდა მიხეილს, წერს: „მიხ. შერვაშიძე... მაშინ (1835 წ.) იყო დაახლოებით ოცდაოთხი წლის ლამაზი ჭაბუკი. **მას ჰქონდა ყველა თვისება, რომელსაც დიდ ფასს აძლევენ ჩერქეზები“**[1] (ხაზგასმა ჩემია ა. ს.).

აქედან ჩანს, რომ მიხეილი თვისტომის – ჩერქეზ-აფსუას შეფასების მიხედვით იზრდება და არა ქართული ტრადიციით.

როდესაც 1854 წლის მარტში მეფის ნაცვლის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალმა რეადმა საჭიროდ მიიჩნია რუსი ჯარების გამოყვანა აფხაზეთიდან შემთხვევით არ იყო, რომ ამ უაღრესად ძნელი ოპერაციის შესრულება მან აფხაზეთის მთავარს გენერალ-ადიუტანტ მიხეილ შერვაშიძეს მიანდო. შერვაშიძეს ჩრდილო კავკასიის ტომებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და დიდი გავლენით სარგებლობდა მათ შორის. მიხეილმა ყოველი ღონე იხმარა ამ დავალების წარმატებით შესასრულებლად და, მართლაც, მოახერხა სრულიად უდანაკარგოდ გადმოეყვანა რუსის ჯარი აფხაზეთიდან სამეგრელოში[2].

---

[1] **ს. ჯანაშია,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 30.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 201-202.

გვიანი ფეოდალიზმის დროს „შესაძლოა ვიფიქროთ – აღნიშნავდა აკად. ს. ჯანაშია, – რომ მაშინდელი შარვაშიძეები გენეალოგიურად არ იყვნენ დაკავშირებულნი ამ გვარის სახელის უძველეს მატარებლებთან. ფოედალური ძალმომრეობის ხანაში რა გასაკვირია, რომ მთავრის უფლება ერთი საგვარეულოდან მეორეში გადასულიყო თვით „შარვაშიძის“ სახელთან ერთად, რომელსაც ამ შემთხვევაში სამთავრო ტიტულის მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთ მოვლენას მეზობელ სამეგრელოშიც ვხედავთ, სადაც გვარის სახელი „დადიანი“ ოდიშის მფლობელის წოდებად იქცა და სადაც დადიანობას სხვადასხვა გვარი ითვისებდა სხვადასხვა დროს. (უკანასკნელი დადიანები ჩიქოვანთა საგვარეულოდან არიან)“[1]. ასე რომ, გვარი-წოდება-თანამდებობად იქცა.

როგორც ცნობილია, საქართველოში ისიც ხდებოდა, რომ წოდება, თანამდებობა გვარად იქცეოდა ხოლმე. მაგალითად, სხვადასხვა დროს სხვადასხვა გვარი ფლობდა ერისთავის, ამირეჯიბის, მეღვინეთუხუცესის და

[1] **ს. ჯანაშია,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 28.

სხვა სახელოებს, რაც შემდეგ გვარებად აქციეს.

„თვით აფხაზებში ფორმა „შარვაშიძე“ სრულიად უხმარებელია: ადგილობრივ ეს საგვარეულო ჩაჩ-ის („ჩაჩბა“) სახელით არის ცნობილი და თუმცა აფხაზურს ძირების უაღრესად გაცვეთა სჩვევია, მაინც აფხაზური ფორმა ქართულს იმდენად არის დაშორებული, რომ შესაძლებელია ეს სახელები სხვადასხვა წარმოშობისაც იყოს. აფხაზეთის უკანასკნელ მფლობელთა ნამვდილ საგვარეულო სახელწოდების შესახებ ხხოვნის შენარჩუნება ადგილობრივ იმიტომაც უნდა ყოფილიყო ადვილი, რომ მთავრის უფლების აღსანიშნავად აფხაზურში არსებობდა და იხმარებოდა სპეციალური ტერმინი (აჭ-მთავარი, აჭრა-მთავრობა), თან ისიც საგულვებელი ხდება, რომ ჩაჩბებზე ადრე „შარვაშიძეობა“ ანჩაბაძეთა საგვარელოს ხელში უნდა ყოფილიყო. ამაზე მიუთითებს აფხაზური თქმულება, რომ წინათ აფხაზეთში ანჩაბაძეთა (აჩბების) საგვარეულო პირველობდა და ისეთი ანდაზებიც, როგორც მაგ.: „აჩბა უმჭüაკîა, ჩაჩბა

უზჰüომ“, ე. ი. „ჯერ აჩბა თქვი და შემდეგ ჩაჩბაო“[1].

ჩვენი აზრით, აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩამოსულმა მომძლავრებულმა აფსუებმა და მათმა ლიდერებმა მდგომარეობისათვის ლეგიტიმური ელფერი რომ მიეცათ და ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის მხრიდან ნაკლები წინააღმდეგობა ყოფილიყო, შერვაშიძეთა გვარ-წოდება მიითვისეს. მოგვიანებით აფსუათა სხვადასხვა გვარის ხელში გადადიოდა შერვაშიძეობა.

საერთოდ, ყურადღებას იქცევს შერვაშიძეთა საგვარეულოს ქართული და „აფხაზური“ სახელოწოდებების ურთიერთმიმართება. ქართულ წყაროებში ეს გვარი **შერვაშისძე**, **შარვაშისძე**, **შერვაშიძე** ვარიანტების სახით დასტურდება, რომელთაგან ზოგს ამოსავლად შარვაშისძე მიაჩნია და უკავშირებს მას შირვანშაჰების აღმნიშვნელ შარვანშა ფორმას, რაც არ არის მართებული, ვინაიდან ემყარება ფორმათა მხოლოდ ფონეტიკურ მსგავსებას, მაგრამ არა აქვს მყარი ისტორიოგრაფიული საფუძველი, რაკიღა ვერ საბუთდება, თუ კონკრეტულად როდის და რა მი-

[1] იქვე.

ზეზით აღმოჩნდნენ შირვანშაჰთა შთამომავლები ამჟამინდელ აფხაზეთში, ან როგორ მოხდა მათი გააფხაზება. რაც მთავარია, დღემდე არავის გაურკვევია, რომელი ფორმაა ამოსავალი – დასახელებული ქართული ვარიანტები თუ აფხაზური ჩაჩბა ← ჩაჩ-იფა, ანდა როგორ მივიღეთ **ჩაჩბა** → საგან **შერვაშიძე**, გინდაც **შერვაშიძე** ფორმისაგან **ჩაჩბა**.

აფხაზური ფეოდალური გვარის წარმომადგენელი აჩბა (ანჩაბაძე) 1948 წელს მხარეთმცოდნე ა. ლ. ლუკინს არწმუნებდა, რომ მათი გვარი მოდის აბაზინთა ფეოდალური საგვარეულოდან – ლოოვებიდან[1].

ამ საკითხების გასარკვევად ჯერ უნდა დადგინდეს, თუ რომელი ფუძეები უდევს საფუძვლად როგორც ქართულ, ისე აფხაზურ ვარიანტებს, არის თუ არა გავრცელებული შერვაშ, შარვაშ, ან ჩაჩ ვარიანტები ადამიანის საკუთარ სახელად ქართველურსა და აფხაზურ ენებში (გვარ-სახელი აშკარად ანთროპონიმისაგან ჩანს მომდინარე). სავარაუდოა, რომ გვარის ქართულ ვარიანტს საფუძვლად უნდა ედოს მამაკაცის ქართული შაორშ (შდრ. შა-

[1] Л. И. Лавров, Этнография Кавказа, ленинград, 1982, с. 86

ორშაძე, შაოშაძე) სახელის სვანური შავერშ → შავრეშ ვარიანტი (შდრ. გვარსახელი შავრეშიანი). → სვანური შავრეშ სახელისაგან ბგერათა გადასმის გზით იოლად შეიძლებოდა მიგვეღო მამაკაცის სახელად შარვაშ//შერვაშ (შესაძლებელია მამაკაცის სახელად შავრაშ ფორმის არსებობაც, რაზედაც აშკარად მიუთითებს გვარსახელი შავრაშიძე). სწორედ შარვაშ//შერვაშ მამაკაცის სახელისაგან და არა შარვანშა ტიტულისაგან არის მიღებული გვარ-სახელი შარვაშის ძე//შერვაშის ძე. რაც შეეხება მეგრულ შარაშია ფორმას, ისიც კანონზომიერად არის მიღებული ქართული – ძე და მეგრული – ია დაბოლოებათა მონაცვლეობით, რაც არცთუ იშვიათი მოვლენაა (შდრ. აფაქიძე – აფაქია, დგებუაძე – დგებია, გახოკიძე – გახოკია...). თავის მხრივ, ვ თანხმოვნის დაკარგვით მიღებული შარაშია ფორმა მჭიდრო კავშირშია გვარსახელ შარაშიძე-სთანაც (აქაც – ძე და – ია დაბოლოებათა მონაცვლეობაა).

რაც შეეხება აფხაზურ ჩაჩბა ფორმას: ა) არც „აფხაზურში“, არც აბაზურში ადამიანის საკუთარ სახელად არ დასტურდება ფუძე ჩაჩ, რომლისგანაც შეიძლებოდა მიგვეღო ჯერ ჩაჩიფა, შემდგომ კი ჩაჩბა; ბ) აბაზურ ენაში ასევე არ დასტურდება არც გვარ-სახელები

*ჩაჩ, ან ჩაჩბა. აღნიშნული მიუთითებს, რომ ფორმა ჩაჩბა იმდროინდელი წარმონაქმნია, როცა „აფხაზები“ და აბაზები დაშორდნენ ერთმანეთს და ისინი ერთი პოლიტიკური ერთობის წევრები აღარ იყვნენ, სხვაგვარად, ჩაჩბას წარმოქმნის დროისათვის „აფხაზური“ და აბაზინური ტომები, ალბათ, ერთად აღარ ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში.

აქ ბუნებრივად დაისმის საკითხი: თუკი ჩაჩ ფუძე ადამიანის საკუთარ სახელად არ დასტურდება არც აფხაზურსა და არც აბაზურში, რომელი ფუძისაგან უნდა იყოს იგი მიღებული? თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მეგრულ მეტყველებაში შ თანხმოვანი ზოგჯერ იცვლება ჩ თანხმოვნით (შდრ. შენგელია – ჩენგელია...) და იგივე მოვლენა ცნობილია აფხაზურშიც (შდრ. ა – შამსია – ა – ჩამსია „ქოლგა“...), ძნელი არ იქნება ვივარაუდოთ შარაშია ფორმისაგან მეგრულში *ჩარაჩია → ჩარჩია. ახალ აფხაზებთან – ია დაბოლოების ნაცვლად მიიღებოდა იფა დაბოლოება „მისი ძე, მისი ვაჟი“: *ჩარჩია – *ჩაჩია – *ჩარ-იფა – *ჩაჩ-იფა – ჩაჩბა (შდრ. მეგრულში → აფხაზურიდან უკუნასესხები ჩაჩიბაია და გურული ჩანჩიბაძე). პირუკუ პროცესის, ე. ი. ჩაჩბა ფორმისა-

გან შერვაშისძე, შარვაშისძე, შარაშია ფორმების მომდინარეობის დაშვება ენობრივი თვალსახზრისით ყოვლად გაუმართლებელია, რადგანაც აუხსნელი რჩება, ერთი მხრივ, ხმოვანთა და, მეორე მხრივ, თანხმოვანთა ცვლილებანი. მაშასადამე, შერავაშიძეთა გვარსახელის ქართველურ და აფხაზურ ფორმათა კვლევას მივყავართ დასკვნამდე, რომ შერვაშიძეები გვიანდელ შუა საუკუნეებამდე ქართველები იყვნენ და შემდეგ მოხდა მათი გააფხაზება[1].

მინას ბჟიშკიანი, იგივე მინა მედიცი ანუ მედიჩი იყო ვენეციელი მხითარისტების კონგრეგაციის წევრი, რომელმაც XIX საუკუნის დასაწყისში იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში. აფხაზეთში ყოფნის დროს მოსახლეობაში აგროვებდა ეთნოგრაფიულ მასალებს. მედიჩი აღნიშნავს, რომ „აბაზებს (ასე უწოდებს აფსუებს ა. ს.) ჰყავთ ბელადები და ეთნარქები, რომლებიც არიან ხალხის მოსამართლეები. მათში მთავარს ეწოდება ჩაჩბა, ანუ შახი; აჩბა

[1] **თ. გვანცელაძე,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 56-57.

– ბეგი; ლაკირბა – აზნაური და ა. შ. ისინი ირჩევენ თავის ჩაჩბას – მთავარ ბეგს“[1].

[1] Л. М. Меликсет-Беков, Pontica transcoaucasica etnica (По данным миная медичи от 1815-1819 гг.), «Советская этнография», 1950, № 2, с. 171.

აფსუების ჩამოსახლება – ექსპანსია

ფაქტიურად უკვე XV საუკუნიდან ადიღეური (და აბაზური) ტომების თარეში შავიზღვისპირეთის მიმართულებით იმდენად ინტენსიური გახდა, რომ მან აფხაზეთში მოსახლეობის ცვლა გამოიწვია. აფხაზეთის ძველი მკვიდრი, ქრისტიანი და მიწათმოქმედი მოსახლეობის ნაწილი, ადიღეურ-აბაზური მოდგმის ტომებმა ან თურქეთის ბაზრებში გაყიდეს, ანდა მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა სახმრეთ-აღმოსავლეთით, ენგურს გამოღმა გადმოიწია. მოშიშვლებულ, გაპარტახებულ აფხაზეთის ტერიტორიას კი შემდეგ მიგრანტი ადიღეელები და აბაზები დაეუფლნენ, რომელთა მიგრაცია ორი მიმართულებით – ზღვის მხრიდან და მთიდან ხდებოდა[1].

XVI-XVII საუკუნეებში ადიღე-ჩერქეზებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოსთან. როგორც ჩანს ისინი ხშირად თავშესაფარს პოულობდნენ აფხაზეთში, სადაც ჩრდილო-დასავლეთიდან თანდათანობით მოიწევდნენ და უკაცრიელ ადგილებში (შესაძლებელია მასობრივი სენის შედეგად გაწყვე-

[1] **რ. თოფჩიშვილი,** კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბ., 2007, გვ. 32-33.

ტილ ტერიტორიებზე) სახლდებოდნენ კიდეც. ამის შედეგი უნდა იყოს არა მხოლოდ აბაზა-აფსუების ჩასახლება აფხაზეთში, არამედ ჩერქეზების (ჯიქ-უბიხების, შაფსუღების, ნატუხაელების და სხვ.) ჩამოსახლებაც ტუაფსე-სოჩა-ადლერის მხარეშიც. მართალია ქართული წყაროები დეტალურად არ იცნობენ ადიღე-ჩერქეზთა მრავალრიცხოვან ტომებს (მაგალითად, შაფსუღებს, ნატუხაელებს, აბაძეხებს, თემირგოველებს და სხვებს ისე, როგორც აბაზა-აფსუებს), რადგან ისინი აფხაზეთის არემარეში არ ჩანდნენ ადრე, მაგრამ ჩანს, მეზობელ ჩრდილო კავკასიელებს, სახელდობრ ჩერქეზებს თავიანთი ტერიტორიიდანაც ჰქონდათ ეს ურთიერთობა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ რაჭველები, სვანები და მეგრელები დიდი ხნის წინაც იცნობდნენ ჩერქეზებს, მაგალითად, სვანურმა ენამ დღემდე შემოინახა მათი უძველესი სახელი ქაშაგი, ქართული წყაროები იცნობს ჯიქს, კერკეტებს და სხვ.[1]

ჩრდილო-დასავლეთი კავკასია, მდინარე ყუბანის აუზი უძველესი დროიდან იყო ადიღეური მოდგმის ტომების საცხოვრისი.

---

[1] **გ. გასვიანი, თ. გასვიანი,** ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე, თბ., 2006, გვ. 146-147.

აფხაზეთი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა იმ ძირითად არტერიას, რომლის მეშვეობითაც საქართველოს სამეფო უკავშირდებოდა დასახელებულ ტომებს. პოლიტიკური სიტუაციები და ეკონომიკური კრიზისები, „აგრეთვე მეურნეობასთან დაკავშირებული აუცილებლობანი, ხშირად აიძულებდა ცალკეულ ადიღეელ ტომებს, გამოეცვალათ თავისი ადგილსამყოფელი და სხვაგან გადასახლებულიყვნენ“[1].

XVI საუკუნიდან უცხოელი ავტორები აფხაზებს „აბაზა“ ტერმინით იხსენიებენ. „აფხაზ“ და „აბაზა“ ტერმინების გაიგივებაში აფხაზეთში მთის ჩამოწოლის პროცესის დადასტურება უნდა დავინახოთ.

XVII საუკუნის უცხოური წყაროების მოწმობით, „აფხაზები“ კავკასიელი მთიელები არიან, რომელთაც ჯერ ვერ შეუთვისებიათ ფეოდალური მეურნეობა, ფეოდალური წყობა, ქრისტიანობა. ისინი თავიანთი პრიმიტიული ყოფითა და წარმართული რელიგიით აშკარად არ არიან იმ აფხაზთა შთამომავალნი, რომლებიც ერთიანი საქართველოს

---

[1] **მ. ცინცაძე,** საქართველო-ადიღეს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1982, გვ. 7.

სახელმწიფოს კულტურულ-პოლიტიკურ მშენებლობაში მონაწილეობდნენ ქართველ ტომებთან ერთად... ამ პერიოდის უცხოელი ავტორები აფხაზებს კავკასიელი მთიელებისაგან ვერ არჩევენ. მათი წარმოდგენით, აფხაზების ყოფა, ტანსაცმელი, ტრადიციები ჩერქეზებისას ჰგავს.

მთის ჩამოწოლის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური სახე. ჩამოსახლებულ მთიელთა ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა თანამედროვე აფხაზური (აფსუა) ეთნოსი. „აფხაზი“ უკვე არ არის კულტურულ-პოლიტიკურად ქართველი, აფხაზთა ტომი ახალი ეთნიკური სახით ჩამოყალიბდა. ამ ახალ ეთნიკურ ჯგუფს ქართველებმა მექანიკურად ისევ „აფხაზი“ უწოდეს, ისინი კი თავიანთ თავს „აფსუას“ უწოდებენ[1].

საგულისხმოა, რომ თვითსახელწოდება „აფსუა“ ეთნონიმ „აბაზას“ ფონეტიკური სახეცვლილებაა. ენათმეცნიერებაში აღიარებულია, რომ აფხაზური (აფსუა) ენა აბაზურ ენასთან ერთად ქმნის ერთ ენობრივ ერთეულს და მათ შორის მხოლოდ დიალექტური

[1] **ბ. ხორავა,** აფხაზთა მუჰაჯირობა, თბ., 2004, გვ. 89.

განსხვავებაა. საინტერესოა, რომ ჩრდილოკავკასიელი ხალხები „აფხაზებს“ თავიანთი მეზობელი მთის აბაზური თემების სახელებს უწოდებდნენ: ყაბარდოელები – აიბგას, უბიხები – ბასხიგს, ყარაჩაელები – აჰჭიფსს. ე. ი. ისინი ამ თემებსა და აფხაზებს (აფსუა) ერთ ხალხად მიიჩნევდნენ[1].

ტერმინ „აფხაზეთის“ და „აფხაზის“ დავიწროება-შეკუმშვა მოხდა ერთიანი პოლიტიკური საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ. XVII საუკუნის დასაწყისში კი სამეგრელოს სამთავროს გამოეყო აფხაზეთის საერისთავო და ცალკე სამთავროდ იქცა. სწორედ აფხაზეთის დამოუკიდებელ სამთავროდ გამოყოფის დროიდან უკვე სწრაფად უნდა მომხდარიყო ტერმინ „აფხაზი“-ს და „აფხაზეთი“-ს რეტირადა. გაფართოებული ტერმინი შეკუმშვისას ბუნებრივია დაუბრუნდა თავის მშობლიურ სახლს, „საკუთრივ აფხაზეთს“, თავის საწყის ნორმალურ ზომას – ანაკოფიასა და ბზიფს შორის მდებარე ტერიტორიას. დავიწროება-შეკუმშვისას, ანუ, უფრო სწორად, ნორმალურ საწყის მდგომარეობაში დაბრუნებისას სამი-ოთხი საუკუნის

[1] იქვე, გვ. 90.

შემდეგ, ტერმინ „აფხაზ“ – „აფხაზეთს“ თავისი მშობლიური – „საკუთრივ აფხაზეთი“ დახვდა ეთნო-დემოგრაფიულად სახეშეცვლილი. თავის სამშობლოში მას დახვდა არა მარტო აფხაზები, არამედ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ადიღეური ტომი – აფსუები[1].

ქრისტიანულ აფხაზეთში წარმართობა მომძლავრდა, ამასთანავე დამპყრობელი ოსმალების გავლენით ისლამი იკიდებს ფეხს. XV-XVI საუკუნემდე დასავლეთ საქართველოს საერთო ქართულ სოციალურ-კულტურულ სამყაროდ აღიქვამდნენ, განსაკუთრებით XVII საუკუნიდან მკვეთრად გამოყოფენ და განასხვავებენ ერთმანეთისაგან კოდორის სამხრეთით და მის ჩრდილოეთით მცხოვრებთა ყოფას. სწორედ XVII საუკუნიდან ჩნდება პირველი ცნობები კოდორის ჩრდილოეთით ქართულისაგან (მეგრულისაგან) განსხვავებული სალაპარაკო ენის არსებობის შესახებ (აბულ ფიდა, პიეტრო გერალდა, ჯოვა-

[1] **დ. გოგოლაძე,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 27.

ნი ჯულიანო და ლუკა, არქანჯელო ლამბერ-
ტი, ევლია ჩელები და სხვები)[1].

ამდენად, აფსუების ექსპანსიის შედეგად აფხაზი წარმართად ან მაჰმადიანად იქცა, აფ-ხაზეთი – ადრეფეოდალური ურთიერთობის ქვეყნად. ასე წარმოიშვა „ახალი აფხაზეთი“, რომლის მკვიდრი მოსახლე ქართველობა (ძი-რითადად მეგრელობა) გააქციეს ან გااააფსუ-ეს, რომელთაც ზურგს უმაგრებდნენ, რაოდე-ნობრივად ავსებდნენ და სულიერად ასაზრო-დებდნენ ჩრდილოელი ჩერქეზები: უბიხები, ჯიქები, ბჟედუხები, შაფსუღები, აბაძეხები, ყაბარდოელები, ყირიმელი თათრები, თურქ-ოსმალები და სხვა რჯულისა და სულის ხალხი. ასე წარმოიშვა ქრისტიანი საქართვე-ლოს მოძულე და დაუძინებლი მტერი – მაჰ-მადიანური აფხაზეთი, რომელიც თურქეთის შემდეგ რუსეთის ქვეშევრდომ და სტრატეგი-ულ პუნქტად იქცა[2]. მათმა მთავრებმა დაიკა-ვეს ტერიტორია კოდორიდან ენგურადმე. ამ ტერიტორიაზე მოსპეს ადგილობრივი მოსახ-ლეობის დიდი ნაწილი. ვინც შიმშილს, მახ-ვილსა და ავადმყოფობას გადაურჩა, ოსმა-

---

[1] **მ. ლორთქიფანიძე,** არა უწყიან თუ..., „ლიტერატურული საქართველო“, 1990, 16 თებერვალი.

[2] **გ. გასვიანი,** აფხაზეთი ძველი და ახალი აფხაზები, თბ., 1998, გვ. 45.

ლეთში გაყიდეს, ხოლო მათ ადგილას აფუ-სები დაასახლეს[1].

XVII საუკუნის პირველ ნახევარში სამეგ-რელოს მთავარმა ლევან II დადიანმა რამ-დენჯერმე დაარბია აფხაზეთი. პარალელუ-რად აქ, ადიღეელები და განსაკუთრებით აბაზინები კვლავ უწყვეტ ნაკადად მოედინე-ბოდნენ მთებიდან და ავსებდნენ აფხაზთა სამთავროს დანაკლისს. ამან აიძულა ლევან II დადიანი, რომ „ანაკოფიის აღმოსავლეთ ზღვიდამ მთამდე შეავლო ზღუდე დიდი... აფხაზთა გადმოუსვლელობისათვის“[2].

პარადოქსია, რომ ლევან II დადიანის მი-ერ „აფხაზთაგან“ დასაცავად ამართულ ზღუ-დეებს აფსუა ისტორიკოსები „Великая абхазская стена“-ს უწოდებენ[3].

შემთხვევითი არ არის, რომ აფხაზებად „მონათლული“ გამაჰმადიანებული აფსუა ფე-ოდალები მათთვის უცხო ქართველებზე თითქმის ნადირობდნენ. ვახუშტი ბატონიშვი-ლის ცნობით, XVIII საუკუნის დასაწყისში აფხაზები „დაუხვდებიან ოსმალთა ნავითა

---

[1] **თ. მიბჩუანი,** აფხაზური სეპარატიზმის სისხლიან ნაკვალევზე, თბ., 1994, გვ. 19.

[2] **მ. ცინცაძე,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 41.

[3] **ილია ანთელავა,** ლევან II დადიანი, თბ., 1990, გვ. 124.

და ლაზ-ჭანთა და უფრორად ოდიშ-გურიასა“. აფსუები დიდი ნავებით მოულოდნელად მიადგებოდნენ ნაპირს, ვისაც მოახელებდნენ იტაცებდნენ და თურქებზე ყიდდნენ ან აფხაზეთში ყმებად ასახლებდნენ.

აფსუა მეკობრეებს თურქებიც კი უფრთხოდნენ. 1715 წლის მაისში ჭანმა რაისმა სულხან-საბა ორბელიანი ქობულეთში არ წამოიყვანა, რადგან „გურიას ხომალდს ვერ წამოვიღებო, აფხაზი აშლილია, მეშინიანო“[1].

ამ პერიოდში აფხაზეთში აღარ შენდებოდა ქრისტიანული ეკლესიები, არსებული კი ინგრეოდა, ნადგურდებოდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ასეთი პირობების გამო „აფხაზეთის კათალიკოსი“, რომლის რეზიდენცია ბიჭვინთაში მდებარეობდა, იძულებული გახდა XVI საუკუნეში ქუთაისთან ახლოს გელათში გადმოსულიყო[2]. იგივე ლევან დადიანის ერთი საყურადღებო საბუთის მიხედვით: „...მას ჟამსა უღმრთოდ და უსჯულოებად მიიქცეს აფხაზნი... აფხაზთა გარყუნეს სჯული და კათალიკოზობა“[3].

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 460-461.

[2] Э. В. Хоштария – Броссе, история и современность. Абхазская проблема в конфликтологическом аспекте, Тб., 1996, с. 86.

[3] **მ. რეხვიაშვილი,** იმერეთის სამეფო 1462-1810 წწ. თბ., 1989, გვ. 48.

ამ მოვლენამ კიდევ უფრო მწვავედ იჩინა თავი კათალიკოსების დავით ნემსაძისა (1673-1696 წწ.) და გრიგოლ II ლორთქიფანიძის (1696-1742 წწ.) პერიოდში. აფსუების ექსპანსიის შედეგად მდინარე ენგურს გაღმა მდებარე ტერიტორიები ქართული მოსახლეობისაგან დაიცალა. განადგურდა საკათალიკოსო სოფლები. როდესაც კათალიკოსი გრიგოლ II მდინარე ენგურს გაღმა გადავიდა, რათა „აფხაზისაგან“ აყრილი საკათალიკოსო ყმები შეენარჩუნებინა, სოფელ ნაჟანეულში ადრე საკათალიკოსოს კუთვნილი 60 კომლი ყმიდან მხოლოდ ექვსიღა დახვდა, ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა სოფლებშიც. კათალიკოსმა გრიგოლმა ყველა გადარჩენილი საკათალიკოსო ყმა მდინარე ენგურის გამოღმა გადმოიყვანა და ოდიშის სოფლებში დააასახლა.

სრულიად საკათალიკოსო მამულის დავთარში, რომელიც XVIII საუკუნის ვითარებას აღწერს, ასევე ამ პერიოდის სხვა წერილობით წყაროებში არსად მდინარე ენგურს გაღმა მდებარე არცერთი საკათალიკოსო სოფელი უკვე აღარ იხსენიება[1].

---

[1] **თ. ქორიძე,** აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს საზღვრები XVI-XVIII საუკუნეებში, „კლიო“, №12, 2001, გვ. 59.

ჩრდილო კავკასიიდან აფსუების ჩამოსახლებაზე აფხაზეთში პირდაპირი წერილობითი წყაროებიც მოგვეპოვება, კერძოდ, რუსი ისტორიკოსების მამად წოდებული, პეტრე პირველის თანამედროვე წყაროთმცოდნე-ისტორიკოსი (სახელმწიფო მოღვაწე, გენერალი, რუსეთის ისტორიის ხუთტომეულის ავტორი) ვ. ნ. ტატიშჩევი, რომელიც წერს, რომ აფხაზეთის მოსახლეობა „ობეზები“ – არიანო, ის ობეზად მიიჩნევს აფხაზს, ხოლო ყუბანისპირეთიდან მოსულ „აფსუას არა „ობეზად“ და არა აფხაზად თვლის. როგორც ვხედავთ, ყოველმხრივ გათვითცნობიერებული ტატიშჩევი, რომელიც დაინტერესებულია შავი ზღვით და საერთოდ სამხრეთის ქვეყნებით (ბუნებრივია მათი მოსახლეობით), თვითმხილველია აფხაზეთში მიმდინარე ეთნიკური პროცესების, იქ ჩრდილო კავსკასიის ხალხის მიგრაციის[1].

საერთოდ, ჩრდილო კავკასიიდან პერმანენტულმა მიგრაციებმა განაპირობეს შიდა მიგრაციული პროცესებიც. მთაში დამკვიდრებული მოსახლეობა ჩრდილო კავკასიელი, უკვე მეზობელი, მთიელი ტომების თავდას-

[1] **გ. გასვიანი,** ქართველი მეცნიერები პავლე ინგოროყვას შეხედულებებზე აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ, თბ., 2003, გვ. 39.

ხმების გამო ქვეყნის მთისწინა და ბარის რეგიონებისაკენ ინაცვლებდა; მკვიდრ მოსახლეობას, რომელიც მას გზაზე ხვდებოდა, ავიწროებდა და გაქცევას ან „გააფხაზებას“ აიძულებდა. XVIII საუკუნეში დოკუმენტურადაა დადასტურებული შემთხვევები, როდესაც ფსხუელები თარეშით ხშირად ქვეყნის შიდა რაიონებამდე აღწევდნენ და ზოგჯერ სოხუმამდეც ჩამოდიოდნენ; ბზიფის მხრიდან ჯიქები, კოდორის ხეობიდან კი წებელდელები იჭრებოდნენ.

ჩამოსახლებული კავკასიელების ახალ-ახალი ნაკადები ადრე ჩამოსახლებულ მოსახლეობას ფეხის მოკიდებასაც არ აცდიდნენ თანდათანობით ისე მიერეკებოდნენ მთისწინეთსა და ბარში[1]. ქართველების ის ნაწილი, რომელიც საცხოვრებლად იქვე რჩებოდა, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და სხვადასხვა უპირატესობის მოსაპოვებლად საკუთარ ეროვნულ მრწამსს უცხო ეთნიკური ჯგუფის ეთნორელიგიურ მრწამსზე ცვლიდა[2].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფხაზეთში აფსუების მოძალებამ ფეოდალური ურთიერ-

---

[1] **ს. ბახია-ოქრუაშვილი,** აფხაზთა ეთნოგენეზის საკითხისათვის (საგვარეულო სალოცავები), „კლიო“, № 7, 2000, გვ. 21.
[2] **ს. ბახია-ოქრუაშვილი,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 21.

თობის კანონზომიერი პროცესი შეაფერხა. აქედან გამომდინარე, საქართველოს ყველა დანარჩენი კუთხისაგან განსხვავებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე XVIII საუკუნეშიც კი გლეხთა დიდი ნაწილი ერთი მებატონიდან მეორესთან თავისუფლად გადასვლის უფლებით ჯერ კიდევ სარგებლობდა, იგი მიწაზე საბოლოოდ არ იყო მიმაგრებული. ამიტომაც იზიდავდა დასავლეთ საქართველოს სხვა ნაწილების მწარმოებელ მოსახლეობას აფხაზეთი; ამიტომ გარბოდნენ იქ, განსაკუთრებით სამეგრელოდან, ყმა გლეხები, რომლებმაც თანდათან დროთა განმავლობაში ჩამოაყლიბეს გააფხაზებული ქართველების მრავალრიცხოვანი მოსახლეობა[1].

აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის შვილი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი შერვაშიძე აიდეალებდა პატრიარქალური ცხოვრების წესს, რაც დამახასიათებელი გახდა გვიანი ფეოდალიზმის დროს აფხაზეთში აფსუათა „ჩამოწოლის“ შედეგად. ის აღნიშნავდა: „აფხაზეთში საზოგადოებრივი წყობა სულ სხვა იყო, ვიდრე რუსეთში. ყველა კმაყოფილი

[1] **ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი,** საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 356.

ცხოვრობდა, და არ იყო არც გაჭირვებული, არც მონები. თავადები და გლეხები მეგობრულად ცხოვრობდნენ, ერთმანეთს პატივისცემით ეპყრობოდნენ, რადგან აფხაზეთში არ არსებობდა ბატონყმური დამოკიდებულება...“[1]

სავსებით მართალია გ. შერვაშიძე ამ შეფასებაში, მაგრამ ბუნებრივია ავტორი არ ან ვერ განმარტავს ამ განსხვავებას. მაშინ, როცა მთელ საქართველოში სავსებით კანონზომიერად გვიანი ფეოდალიზმის დროს მთელი თავისი შედეგებით ვითარდებოდა ბატონყმური ურთიერთობა, მხოლოდ აფხაზეთში, როგორც „ოაზისი უდაბნოში“ პატრიარქალობისა და წარმართობისაკენ დაბრუნება ხდებოდა.

დოკუმენტური წყაროების მიხედვით, აფხაზეთში ქართველების დევნა და შევიწროება გრძელდებოდა XIX საუკუნეშიც, რადგან კავკასიის მთებიდან და დასავლეთიდან ახალ ნაკადად მოედინებოდა ჯიქების, უბიხების, აბაზების, მედოველების, აჩიპსების, აიგბების და სხვათა აგრესიული მიგრაციის პროცესი. ესენი მოსვენებას უკარგავდნენ არა მხოლოდ აფხაზეთის მშვიდობიან მოსალხეობას, არამედ გაგრაში, გუდაუთაში, სოხუმსა და სხვა-

[1] Ж. С. Бгажба, Страницы из летописи дружбы, Тб., 1983, с. 73.

გან დაბანაკებულ რუსულ სამხედრო ნაწილებსაც.[1]

აფსუები აფხაზეთის ტერიტორიის გარდა კომპაქტურად დასახლდნენ აჭარაში. ისინი მოჰაჯირთა შთამომავლები არიან, რომლებიც XIX საუკუნის II ნახევარში გაასახლეს აფხაზეთიდან თურქეთში. „აჭარელი აფხაზები, ისევე როგორც მათი თანამემამულეები აფხაზეთში, თავის თავს აფსუას უწოდებენ“[2]. მათი ეთნოგრაფიული ჯგუფის ჩამოყალიბება მიმდინარეობდა თურქეთში გადასახლების პერიოდში[3].

აჭარის „აფხაზებიც“ წარმომავლობის თვალსაზრისით ფერიელ აფხაზებს ანსხვავებენ ანგისელებისაგან. ფერიელები ანგისელებს უწოდებენ ბზიფის აფხაზებს – „ბზიფაა აფსუაა“, ხოლო ანგისელი აფხაზები ფერიელებს ჩერქეზ აფხაზებს – „ჩერქეზ აფსუაა“. გარდა ამისა ყველა ესენი თავიანთ თავს უწოდებენ როგორც აბაზას ისე ჩერქეზს[4].

---

[1] **გ. გასვიანი**, აფხაზეთი ძველი და ახალი აფხაზები, თბ., 1998, გვ. 30-31.

[2] Г. Г. Копешавидзе, Культура и быт Абхазов проживающих в Аджарии, Тб., 1985, с. 3.

[3] იქვე, გვ. 4.

[4] **თ. აჩუგბა,** აფხაზთა დასახლება აჭარაში, ბათუმი, 1988, გვ. 35-36.

აფსუა მეცნიერები აცხადებენ, რომ დროთა განმავლობაში ხორციელდებოდა აფხაზთა ძალდატანებითი ასიმილირების პოლიტიკა, ქართველთა დემოგრაფიული ექსპანსია. ამის საპასუხოდ ყველაზე თვალნათლივ სტატისტიკა მეტყველებს. მაგალითად, 1886 წელს სოხუმში სამი „აფხაზი“ ცხოვრობდა: ერთი ქალი და ორი მამაკაცი. ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. ასევე იყო ოჩამჩირეში, გუდაუთაში და სხვ.

1926 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, აფხაზეთში ცხოვრობდა 67494 ქართველი ანუ 33,3% და 55918 „აფხაზი“, რაც 27,8%-ს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ აღწერის მიხედვით, 8920 აფხაზი ანუ თითქმის ყოველი მეექვსე მშობლიურ ენად ქართულს თვლიდა[1]. ბუნებრივია, ესენი ყველა „გააფხაზებული“ ქართველები იყვნენ. სხვა ეროვნებები ავტონომიურ რესპუბლიკაში აღნიშნულ წელს შემდეგნაირად გამოიყურებოდნენ: რუსები 12 ათასი ანუ 6,0%, სომხები 25 ათასი ანუ 12, 5%; დანარჩენი მოსახლეობა 41 ათასი ანუ 20,4%; სულ 201 ათასი ადამიანი.

---

[1] **ა. თოთაძე,** საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი, თბ., 1993, გვ. 65.

1928-1930 წლებში აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა 210 ათასზე მეტი სული. მათგან ყველაზე მეტი – 123412 ქართველები და აფსუები იყვნენ. დანარჩენი მოსახლეობა: სომხები, ბერძნები, ესტონელები, გერმანელები, თურქები და სხვ. შადგენდა 86588 კაცს[1].

ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს „აფხაზები“ ჯარში არ მიჰყავდათ, რის გამოც დაიწყო ქართული მოსახლეობის „გააფხაზება“, ამ პროცესმა განსაკუთრებით აქტიური სახე მიიღო XX საუკუნის 20-იანი წლებიდან. ამდენად, აფუსები აფხაზეთში გახდნენ არა მხოლოდ ერი, არამედ პრივილეგირებული კლასი, რომლის რიგებიდანაც ყალიბდებოდა ავტონომიური რესპუბლიკის მთელი ადმინისტრაცია საოლქო კომიტეტის პირველი მდივნიდან დაწყებული, დამთავრებული პატარ-პატარა საწარმოების დირექტორებით, მათი მოადგილეებით და დისპეტჩერებითაც კი. სხვა ერის შვილები თუ მუშაობდნენ დაწესებულებებში, ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ აფხაზი ხელმძღვანელები ვერ წვდებოდნენ მთელს ავტონომიურ რესპუბლიკას[2].

---

[1] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგში სუიცსა), ფ. 284, ანაწ, 2, საქ. 640, ფურც. 24, 25.

[2] **რ. მიმინოშვილი, გ. ფანჯიკიძე,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 77.

„აფხაზებს„, სხვა ეროვნებებთან შედარებით, ეძლეოდათ უპირატესობა მილიციაში, ნავსადგურში მუშად მიღების დროს.

ნაციონალიზმის თვალსაჩინო სურათს იძლევა კომკავშირის საოლქო კომიტეტის ცირკულარი ყველა კომკავშირული ორგანიზაციისათვის, სადაც ნათქვამია, რომ კომკავშირში უნდა მიეღოთ მხოლოდ აფხაზი ახალგაზრდები. მართალია, ეს ცირკულარი მოგვიანებით უარყოფილ იქნა, მაგრამ მისი ამ სახით გამოქვეყნება აშკარად აჩვენებს რამდენად იყო შოვინიზმი გაბატონებული ახალგაზრდებშიც[1]. „საბჭოთა აფხაზეთის“ ხელმძღვანელობამ თავისი ეროვნული პოლიტიკით აამხედრა მოსახლეობის სამი მეოთხედი.

რადგან აფხაზს ყველგან და ყოველთვის ენიჭებოდა უპირატესობა, არააფხაზური ეროვნების წარმომადგენელი იძულებული ხდებოდა თავი აფხაზად გამოეცხადებინა (გააფხაზებულიყო), რათა სამსახური ეშოვნა. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ 1926 წლის აღწერის დროს „რამდენიმე ათასმა კაცმა თავისი თავი აფხაზ ეროვნებას მიაკუთვნა. თუმცა მათი ენა იყო არა აფხაზური, არამედ

[1] **სპა,** ფ. 14, ანაწ. 2, საქ. 485, ფურც. 52.

ქართული (მეგრული)“[1]. მაგალითისათვის, აღარაფერს ვამბობთ ისეთ ქართულ გვარებზე, როგორიცაა გოგუა, ლომია, ნოდია, გულია (დიახ გულიაც), მაგრამ რა ვუყოთ „აფხაზ“ წერეთლებს, ახვლედიანებს, აბაშიძეებს, მაისურაძეებს და მრავალ მათ მსგავსთ?! ეს ფაქტი, უდავოდ ნიშნავს აფხაზების მხრიდან ქართველების ასიმილაციას და არა პირიქით, როგორც ამას ხშირად წერენ აფხაზი ავტორები[2].

აფსუების გვარების შესახებ არსებულ გადმოცემებში, ლაპარაკია მათ გადმოსახლებაზე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი მხრიდან, ანდა დასავლეთ კავკასიის აბაზურ-ადიღეურ ტომებთან ნათესაობაზე. ს. ბასარიას ჩაუწერია 145 წლის მაჟაგვ ადლეიბას ნაამბობი: „აფხაზეთის პირველ მოსახლეებს განეკუთვნებიან გვარები – აგრბა, ადლეიბა, ინაფშბა... ყველა ისინი გამოვიდნენ „ყირიმიდან“ (მხედველობაში აქვს ყარაჩაი)... ჩვენი წინაპრები გადმოსახლდნენ, როცა გაიგეს, რომ აფხაზეთის მოსახლეობა გაიფანტა და იგი უდაბნოდ იქცა“[3].

---

[1] Н. А. Лакоба, Статьи и речи, сухуми, 1987, с. 213.

[2] **რ. მიმინოშვილი, გ. ფანჯიკიძე,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 50-51.

[3] **ბ. ხორავა,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 141.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, რომელიღაც დასავლურ-ქართული ჯგუფის გადასვლა მოხდა ადიღეურ მეტყველებაზე. ამ ქართულ ეთნიკურ ჯგუფში იგულისხმება აფხაზთა ის 80%, რომლებიც დღემდე ქართულ გვარებს ატარებენ და იციან აფსუური ენაც, ხოლო „აფხაზი“, როგორც ეთნიკური ცნება, ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ ეროვნულობის აღმნიშვნელ ცნებად აქცია. ამით აფხაზები – ძირძველი ქართველები, ხელოვნურად მოგლიჯეს საერთო ქართულ ეროვნულ ორგანიზმს. ასე სჭირდებოდა იმპერიულ პოლიტიკას თავისი კლასიკური პრინციპის გასატარებლად – „გათიშე და იბატონე“[1].

ყოველგვარი კომენტარის გარეშე, ზოგიერთი ქართველის აფსუად (აფხაზად) მონათვლა ხელს უწყობდა გაორებული ქართველების შთაგონებას, რომ ისინი ქართველები არ იყვნენ. ასეთი დამოკიდებულება უფრო მეტად აღვივებდა აფხაზურ სეპარატიზმს და ხელს უწყობდა გააფხაზებულ ქართველებში ანტიქართული ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებას.

დღევანდელ ე. წ. აფხაზთა დაახლოებით 80% ქართულ გვარებს ატარებს, ხოლო 12-13

[1] **თ. მიბჩუანი,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 16.

% – ადიღეურ-ჩერქეზულ-აბაზინურს, ანუ ჩრდილო-კავკასიური წარმომავლობისა არიან. თავიანთ თავს ისინი აფსუას უწოდებენ.

80% ატარებს გვარებს: ალანია, მალანია, წერეთელი, ახვლედიანი, ჭკადუა, გურგულია, სანიკიძე, ჩაკვეტაძე, ჭელიძე, აბაშიძე და ა. შ.

12-13% – ძიბა, არძინბა, ხინტბა, წვიჟბა, თარბა, ბგანბა, ხიკუბა, ბუთბა, შინკუბა და ა. შ. აფხაზთა 450 გვარიდან 300-ზე მეტი ქართულია და 100-ზე ნაკლები ჩრდილო-კავკასიური, დანარჩენები ზოგი თურქია, ზოგი სპარსი, ზოგი რუსი...[1]

[1] **თ. მიბჩუანი,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 15.

რუსები და აფსუები

რუსებმა, როგორც ჩანს კარგად იცოდნენ აფსუა-აფხაზების ვინაობა. შემთხვევითი არ არის, რომ XVIII-XIX საუკუნეებში რუსული წყაროები აფხაზებს აბაზინების სახელით მოიხსენიებენ. მხოლოდ მოგვიანებით, ქართულის გავლენით მკვიდრდება ტერმინი აფხაზი[1]. 1820 წელს, კავკასიის მთავარსარდალი გენერალი ერმოლოვი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, გრაფ ნესელროდესადმი გაგზავნილ წერილში აფსუა-აფხაზებს ასევე „აბაზინელების“ სახელით მოიხსენიებს[2].

იმავე საუკუნის ცნობილი რუსი კავკასიისმცოდნე ა. დიაჩკოვ-ტარასოვი სამურზაყანოს შესახებ წერდა: „აფხაზები ყოველთვს არ ცხოვრობდნენ აქ... მათი გადმოცემები და მრავალი ისტორიული ცნობები, აგრეთვე, მათი ადათ-წესები მიუთითებენ იმაზე, რომ ისინი ჩრდილოეთიდან მოვიდნენ, შეავიწროვეს ქართველური ტომები, შეჩერდნენ ენგურზე, აქ მოხდა აღრევა ორი ერთმანეთისათვის უცხო ტომისა – მეგრელთა და აფხაზთა, რო-

---

[1] **გ. ანჩაბაძე,** ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხები, თბ., 2006, გვ. 12.
[2] იქვე, გვ. 14.

მელმაც მოგვცა სამურზაყანოს შერეული მოსახლეობა და რომელიც მოქცეული იყო კოდორსა და ენგურს შორის[1].

მოგვიანებითაც რუსეთის ხელისუფლებას სწორი ინფორმაცია ჰქონდა აფსუების (ვითომ აფხაზების) წარმომავლობის შესახებ, რაც ხშირად, უნებურად გაიელვებდა ხოლმე რუსული საქმის წარმოებაში. მაგალითად, 1916 წელს შედგენილ სოხუმის ოლქის მმართველის პატაკში აღნიშნულია, რომ „კოდორის უბანი დასახლებულია თითქმის მხოლოდ აფხაზებით, რომლებიც არიან კავკასიელი მთიელები“[2]. როგორც ჩანს, აფხაზეთის ტერიტორიაზე XIX საუკუნის 60-70-იან წლებში 80 ათასამდე აფსუა ცხოვრობდა. რუსული ადმინისტრაციის პოლიტიკის წყალობით, 70-იანი წლების ბოლოს აფხაზეთიდან გაასახლეს დაახლოებით მოსახლეობის ნახევარი (40000-მდე კაცი).

საერთოდ, ცნობილია აფხაზეთიდან გადასახლების ხუთი „ტალღა“: 1840-1841 წწ. – გენერალ მურავიოვის დამსჯელი ექსპედიცი-

---

[1] **ზ. პაპასქირი,** ზოგი რამ აფხაზეთის წარსულზე და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაზე, „საბჭოთა აფხაზეთი“, 1990, 11 მაისი.

[2] **გ. შენგელია,** ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში (1907-1917 ნწწ.), თბ., 1991, გვ. 98.

ის შემდეგ, 1853-1856 წწ. – ყირიმის ომის, აფხაზეთის სამთავროს გაუქმების (1864 წ) შემდეგ. მაგრამ გადასახლებამ ყველაზე სერიოზული ხასიათი მიიღო 1866 წელს, ლიხნის აჯანყების პერიოდში და განსაკუთრებით კი 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს[1].

ომის პერიოდში აფხაზები მოღალატეებად გამოაცხადეს. მათ უკრძალავდნენ სოხუმის მახლობლად 20 კილომეტრის რადიუსში დასახლებულიყვნენ, როგორც არასაიმედო ელემენტები. აბჟუაში (აღმოსავლეთ აფხაზეთში) შეეძლოთ ყოფნა მხოლოდ მდინარე კოდორის გამოღმა; ხოლო ბზიფში (დასავლეთ აფხაზეთში) მდინარე აც-წყალის იქით, გაგრამდე[2]. ზღვისპირა ზონაში აფხაზებს საერთოდ აეკრძალათ ცხოვრება. მთლიანად გაქრა აფხაზური მოსახლეობა წებელდაში, დალში, გუმისთის რაიონში.

მუჰაჯირობის შედეგად, ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებული და არაბულ ქვეყნებში განსახლებული „აფხაზები“ იწოდებოდნენ და დღესაც იწოდებიან, როგორც აბაზა. სირიასა და ეგვიპტეში ამ ეთნიკურმა

---

[1] **გ. კოპეშავიძე,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 4.
[2] **თ. სახოკია,** მოგზაურობანი, ბათუმი, 1985, გვ. 381.

ტერმინმა ჯერ ნისბის (წარმომავლობის სახელი) და შემდეგ ჩვენს დროში კი გვარის ფუნქციაც მიიღო. მაგალითად, ცნობილი ეგვიპტელი დრამატურგი და პოეტი აზიზ აბაზა, კინომსახიობი რუშდი აბაზა და სხვ.

როგორც ჩანს მუჰაჯირები „აფხაზი“ ტერმინით მხოლოდ საქართველოში მოიხსენიებიან, ემიგრაციაში კი, იმ სახელით იწოდებიან, რომელი ეთნიკური გარემოდანაც არიან წარმოშობით[1].

აფხაზეთში განთავისუფელბული მიწები დაურიგდათ რუსის მოხელეებს და შემდეგში ამ რაიონებში დაასახლეს უცხო ტომის კოლონისტები[2]. მდინარე ფსოუს მარცხენა სანაპიროზე, ზედ ნაპირთან დასახლდა კოლონისტთა ჯგუფი. მათ დასახლებას დაერქვა ერმოლოვსკი. ამ პუნქტის სამხრეთ-აღმოსავლეთით 6 კილომეტრზე, მდინარე მახადირის ნაპირზე, გაჩნდა მეორე დასახლება, რომელსაც დაერქვა პილენკოვო. ამ რაიონში წარმოქმნილმა ხუტორებმა და მცირე დასახლებებმა ასეთი სახელწოდებები მიიღეს: კოველევსკოე, ტროიცკოე, ხრისტოფოროვო, რო-

---

[1] **ს. ბახია-ოქრუაშვილი,** აფხაზური გვარსახელები, „ანალები“, 2005, №2, გვ. 46.

[2] **ს. ჯანაშია,** შრომები, ტ. VI, გვ. 220.

გოჟინო, ტურინოვკა, ბარანოვო, კაზარმა და ა. შ.[1]

თურქეთიდან გადმოსახლებული პირველი ბერძენი კოლონისტები 1869 წლის თებერვალ-მაისში აფხაზეთის სამ სოფელში – ალექსანდროვსკოე, გეორგიევსკოე, ოლგინსკოე – ჩაასახლეს. იმავე წლის ივნისში სოხუმში ჩამოვიდა XIX საუკუნის დასაწყისიდან ტირასპოლის გუბერნიაში მცხოვრები ბულგარელების 62 ოჯახი, რომლებიც ანასტასიევსკოესა და ნიკოლაევსკოეში ჩაასახლეს[2].

1892 წელს რუსი მოხელე აფხაზეთში რუსების ჩასახლებაზე აღნიშნავდა: „...ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანები მოითხოვენ, რომ ეს მხარე არა მარტო სახელით მხოლოდ, არამედ მართლაც იქცეს მალე რუსულ მხარედ, რომ აქ მხარდაჭერილი, გაძლიერებული და დაიმედებული იყოს რუსი კაცი. ვისურვოთ ბატონებო, რომ **ეს მოხდეს ჩქარა, რომ მძლავრ რუსულ მუცელში მალე მოიხარშოს მთელი აქაური სხვადასხვა ტომობრივი და სხვა-**

---

[1] **გ. ფიფია,** აფხაზეთის ტოპონიმიკის საკითხისათვის, „სახალხო განათლება“, 1990, 26 თებერვალი.

[2] **ბ. ხორავა**, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

დასხვა ეროვანი ნარევი და რომ ეს ცა და ეს ზღვა ნამდვილად რუსული იყოს“ (ხაზგასმა ჩემია ა. ს.)[1].

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ცარიზმი უკვე აშკარად მოქმედებდა, ცდილობდა საქართველოსათვის მოეწყვიტა აფხაზეთი. სასტიკად უსწორდებოდა ყველას, ვინც კი ამ საქმეში უშლიდა ხელს[2].

სწორედ, XIX საუკუნიდანვე იღებს სათავეს იმ აზრის პროპაგანდა და დამკვიდრება, რომ აფხაზეთი არ არის საქართველო, შემდეგ – რომ აფხაზეთი რუსეთია, შემდეგ – რომ აფხაზეთში შეუძლია დასახლდეს რუსი, კაზაკი, სომეხი და სხვ. მაგრამ არავითარ შემთხვევაში ქართველი. 1918 წელს დენიკინი ამბობდა იმავეს – აფხაზეთი საქართველო არაა[3].

აფხაზეთის რუსული საერო ხელისუფლება და ეკლესია ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ აფხაზეთის ქართველობა ჩქარა გაერუსებინა ან განედევნათ აფხაზეთიდან. ამისათვის არა მხოლოდ რუსულ წირვა-ლოცვას, საქმის წარმოებას და დაწყებით სწავლე-

---

[1] **ბ. ხორავა**, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

[2] **ს. ცაიშვილი**, ლიტერატურული ეტიუდები, თბ, 1984, გვ. 85.

[3] **ა. სილაგაძე**, საქართველო 92, თბ., 1993, გვ. 41.

ბას იყენებდნენ, არამედ ადგილზე დარჩენილი აფსუების ნაძირალა პირებსაც, რომლებიც რუსული პოლიტიკის ფეხდაფეხ უკიჟინებდნენ ქართველებს, რომ მათ დაეტოვებინათ თავიანთი სამკვიდრო სახლ-კარი და გაქცეულიყვნენ აფხაზეთიდან[1].

რუსეთიდან აფხაზეთში გადმოსახლებულ მართლმადიდებლებისათვის ხელისუფლება, პირველ რიგში, რუსულ ეკლესიას აშენებდა, რომელიც რეგიონში რუსული კოლონიური პოლიტიკის გატარების ცენტრი ხდებოდა. ასევე, სინოდი ცდილობდა შეემცირებინა საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლების რიცხვი და, რაც მთავარია, ქართული ენა გამოედევნა იქიდან. ქართულ ენას დევნიდნენ არა მარტო აფხაზეთიდან, არამედ სამეგრელოდან, სვანეთიდან და სამაჩაბლოდან[2].

ქართულ ენას არამარტო გუდაუთაში ავიწროებდნენ ყოველმხრივ, არამედ მთლიანად ქართველებით (მეგრელებით) დასახლებულ გალშიც კი. ქართველმა მოსახლეობამ იმას მიაღწია, რომ საეგზარქოსომ მათ ნება

---

[1] **თ. გასვიანი**, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და აფსუათა აგრესიული სეპარატიზმის სათავეები, თბ., 2003, გვ. 285.

[2] **კ. ტოლიაშვილი**, რელიგიური მდგომარეობა აფხაზეთში XIX საუკუნის მიწურულს, „კლიო“, №14, 2002, გვ. 83.

დართო გალის სამრევლო-საეკლესიო სკოლა-ში სწავლა ქართულად წარმოებულიყო. მაგ-რამ ეს უფლებაც ფორმალური გამოდგა, რადგან ქართული ენის სწავლება, მხოლოდ ბოლო, მეექვსე გაკვეთილზე დაუშვეს და მა-ლე პროგრამიდან საერთოდ ამოიღეს[1].

ხაზგასასმელია, რომ 1810 წელს, როდე-საც აფხაზეთის სამთავრო რუსეთის მფარვე-ლობაში შევიდა დოკუმენტი დაიწერა ქარ-თულ ენაზე და საერთოდ, აფხაზეთის ხელი-სუფლების კანცელარიაში მთელი XIX საუ-კუნის განმავლობაშიც კი საქმისწარმოება მხოლოდ ქართულად ხდებოდა. ასევე, კავკა-სიის მეფისნაცვლის კანცელარიას „აფხაზები“ ქართულად მიმართავდნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე არ არ-სებობს არცერთი დოკუმენტი, არცერთი ნა-წარმოები, რომელიც დაწერილი იქნებოდა „აფსუა-აფხაზურ“ ენაზე[2].

ორივე პერიოდის იმპერიული რუსეთი – ცარიზმი და ბოლშევიკური – განსაკუთრე-ბულ ყურადღებას უთმობდა ენობრივ პოლი-ტიკას, რომელიც დაფუძნებული იყო ქარ-თულ-აფხაზური ლინგვისტიკური კონფლიქ-

---

[1] იქვე, გვ. 85.

[2] **გ. ჟორჟოლიანი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 19-20, სქოლიო 20.

ტის პროვოცირებაზე. აი, რას ამბობდა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის აპოლოგეტი ე. ვეიდენბაუმი: „აფხაზური ენა, რომელსაც არ გააჩნია დამწერლობა და ლიტერატურა, ახლო მომავალში განწირულია გაქრობისათვის. საკითხის არსი იმაში მდგომარეობს, თუ, რომელი ენა შეცვლის მას? ნათელია, რომ მოსახლეობის კულტურული იდეებისა და გაგების როლი უნდა გამოხატოს რუსულმა და არა ქართულმა ენამ. მე მგონია, რომ აფხაზური დამწერლობის დამკვიდრება თვითმიზანი კი არ უნდა იყვეს, არამედ საშუალება, რომელიც შეასუსტებს ეკლესიისა და სკოლის გავლენით ქართულ ენაზე მოთხოვნას და თანდათანობით შიეცვლება რუსული ენით“.

„აფხაზური ანბანის“ შექმნის კომისიის თავმჯდომარე, მეცნიერი და გენერალი პ. უსლარი მიიჩნევდა, რომ კავკასიის მთის ხალხებს არ შეუძლიათ ჰქონდეთ საკუთარი დამწერლობა და ლიტერატურა“. გენერალი ამტკიცებდა: ტუზემცების წერა-კითხვის ცოდნა უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ იმას, რომ

მათ გაუადვილდეთ რუსული ენის შესწავლა“[1].

როგორც ცნობილია რუსები კავკასიის მოსახლეობას „ტუზემცებს“ უწოდებდნენ. მათი აზრით „ტუზემცი“ იყო ბუნების მიერ შეცდომით გაჩენილი ბიოლოგიური არსება, რომელსაც არც წარსული ჰქონდა, არც აწმყო და, ბუნებრივია, რომ არც მომავალი ექნებოდა[2].

ყოველივე ამას, როგორც წესი სეპარატისტები დუმილით ხვდებიან. სამაგიეროდ, როდესაც საუბარია ენობრივ პოლიტიკაზე, ისინი უაპელაციოდ ადანაშაულებენ საქართველოს ხელისუფლებას ლათინიზირებული აფხაზური ანბანის ქართულით შეცვლასთან დაკავშირებით.

გავიხსენოთ, რომ პირველი „აფხაზური“ ანბანი შეიქმნა 1862 წელს აფხაზური ენისათვის სრულიად უცხო კირილიცას – შრიფტით. 1926 წელს აფხაზეთის ასსრ მთავრობამ გააუქმა რუსული გრაფიკის საფუძველზე შემუშავებული „აფხაზური“ ანბანი და მის ნაცვლად შემოიღო აკადემიკოს ნ. მარის მიერ

---

[1] იქვე, გვ. 34-35.

[2] **რ. ჯალაღნია, ნ. გოგუა, დ. ქობალია**, საქართველო რუსული იმპერიალიზმის სამიზნე, თბ., 2007, გვ. 14.

შედგენილი ლათინიზებული ანბანი. შემდეგ 1929 წელს შემოღებულ იქნა ანბანი, შემუშავებული ასევე ლათინურის საფუძველზე ნ. იაკოვლევის მიერ. 1938 წელს აფხაზეთში მიიღეს ახალი აფხაზური ანბანი, რომსლაც საფუძვლად ედო ქართული გრაფიკა. ამ ანბანის პროექტის ავტორი იყო აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლი დ. გულია, რომელთანაც ერთად მის შემუშავებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ქართველი მეცნიერები ს. ჯანაშია და ა. შანიძე. 1954 წელს კი მიღებულ იქნა ახალი (ამჟამინდელი) „აფხაზური“ ანბანი რუსულ გრაფიკულ საფუძველზე[1].

ჯერ კიდევ 1919-1920 წლებში აფხაზეთის მოსალეობის დიდი ნაწილი რუსულად ლაპარაკობდა. და ეს ხდებოდა არა მხოლოდ საკუთრივ აფხაზეთში, არამედ სამურზაყანოშიც, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას მეგრელები შეადგენდნენ[2].

როგორც ცნობილია, აფხაზეთის კონსტიტუციის საფუძველზე 1925 წლიდან საქმის წარმოება მხოლოდ რუსულ ენაზე ხდებოდა,

---

[1] ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დამახინჯების გამო, თბ., 1991, გვ. 51-52.

[2] **А. Ментешашвили**, Из истории взаимоотношений гузинского, абхазского и остенитского народа, Тб, 1990, с. 102.

არ იქნა გათვალისწინებული რესპუბლიკის ეროვნული შემადგენლობა, დაამცირეს როლი და მნიშვნელობა როგორც „აფხაზური“, ასევე ქართული ეროვნული ენებისა[1]. მხოლოდ 1926 წლის 27 თებერვლის სამთავრობო გადაწყვეტილებით, სახელმწიფო დაწესებულებებში რუსულს უფლებრივად გაუთანაბრეს „აფხაზური“ და ქართული[2].

[1] Б. Е. Сагария, Национаольно-государственное строительство в Абхазии (1921-1931 гг.), Сухуми, 1970, с. 102.
[2] იქვე, გვ. 104.

ავტონომია

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ დროებითი მთავრობის მიერ შექმნილმა „ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა“ ადგილებზე შექმნა საგუბერნიო, სამხარეო და საქალაქო კომიტეტები. აფხაზეთის სამხარეო კომიტეტის კომისრად დაინიშნა თავადი ა. შერვაშიძე, ხოლო სამხარეო მილიციის ხელმძღვანელობა დაეკისრა თავად ტ. მარშანიას, აფხაზი თავადების რეაქციულმა ჯგუფმა და მათთან დაახლოებულმა წრეებმა დაიწყეს აშკარა ბრძოლა თავისი პოლიტიკური პრივილიგიების შესანარჩუნებლად. მათ ორიენტაცია აიღეს მთიელთა გაერთიანებულ კავშირზე, რომელიც შეიქმნა 1917 წლის მაისში[1].

ამ პერიოდში ყოველი სამაზრო ქალაქი ესწრაფოდა თავი გამოეცხადებინა დამოუკიდებელ რესპუბლიკად. ისტორიულ კურიოზად შეიძლება ჩავთვალოთ 1917 წლის აპრილში გამოცხადებული „შლისელბურგის სახელმწიფო“, რომელშიც ყოველი სასოფლო

---

[1] М. Габедава, Общественно-полиническое движение в Абхазии в 1917-1921 года, ჟურნ. „პოლიტიკა“, 1993, №8 გვ. 2.

დასახლება მოიაზრებოდა ამერიკის შტატების მსგავსად[1].

რუსეთის ხელისუფალთა ერთსაუკუნოვანი ანტიქართული აგიტაციიდან გამომდინარე, „აფხაზთა“ უმეტესობის ცნობიერებიდან ერთიანი ქართული სახელმწიფოსადმი მხარდაჭერის საჭიროება მთლიანად ამოიძირკვა. მათში ძირითადად პროთურქული და პრორუსული ორიენტაცია დამკვიდრდა. ასეთ პირობებში, ქართული ისტორიული ტერიტორიების დაკარგვის რეალური საფრთხე, ანდა უკიდურეს შემთხვევაში მძიმე კონფლიქტების გარდუვალობა იქმნებოდა. ამის საფუძველს იმ ეტაპზე ამიერკავკასიის რეგიონში არსებული პოლიტიკური სიტუაცია და ჩრდილოეთიდან „მოხალისეთა არმიის“ შემოჭრის საფრთხეც განაპირობებდა. ყოველივე ეს ერთიანი ქართული სახელმწიფოს იდეის საწინააღმდეგოდ, აფხაზეთის რეგიონიდან მოსალოდნელი სირთულეების გარდუვალობის დამადასტურებელია. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ქართველი პოლიტიკოსების ყოველი ნაბიჯი სკურპულოზური სიზუსტით უნდა ყოფილიყო გათვლი-

[1] Р. Медведев, В. Ермаков, «Серый кардинал», М., 1992, с. 230.

ლი. ამის აუცილებლობას ის პასუხისმგებ-
ლობაც მოითხოვდა, რომელიც ნებისმიერ სა-
ხელმწიფო მოღვაწეს მომავალი თაობებისა
და ისტორიის წინაშე ეკისრება.

აფხაზთა მხარე მოითხოვდა დამოუკიდე-
ბელი პოლიტიკური ერთეულის შექმნას და
საქართველოსთან როგორც თანასწორი – მე-
ზობლური ურთიერთობის დამყარებას[1].

1917 წლის 8 ნოემბერს სოხუმში მოწვე-
ულ ყრილობაზე შეიქმნა აფხაზეთის სახალ-
ხო საბჭო, რომლის შემადგენლობა და მოქმე-
დების ამოცანები 1918-1921 წლებში რამდენ-
ჯერმე შეიცვალა. მის მიერ მიღებულ იქნა
„აფხაზი ხალხის ყრილობის დეკლარაცია“,
რაშიც დაისახა შემდგომი მუშაობის გაგრძე-
ლება „აფხაზი ხალხის თვითგამორკვევის შე-
სახებ“, ასევე მიიჩნიეს საჭიროდ „აფხაზეთის
სახალხო საბჭოს კონსტიტუციის“ შექმნა.

1918 წლის 9 თებერვალს თბილისში
მიღწეულ იქნა შეთანხმება აფხაზეთის სა-
ხალხო საბჭოს წარმომადგენლებსა და საქარ-
თველოს ეროვნულ საბჭოს შორის საქართვე-
ლოს შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომი-
ური უფლებით შესვლის შესახებ. შეთანხმე-

---

[1] **შ. ვადაჭკორია**, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001, გვ. 222.

ბის საფუძველზე საქართველოს ხელისუფლებას უნდა ეზრუნა „აფხაზეთის ისტორიული საზღვრების აღდგენაზე“.

როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფით აფხაზეთის ტერიტორია დანაწილებული იყო. კერძოდ, 1883 წელს შექმნილი სოხუმის ოლქი შედიოდა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში; გაგრა და მისი შემოგარენი კი ექვემდებარებოდა შავიზღვისპირეთის გუბერნიის სოჩის ოლქს[1].

ამ დროისათვის აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლშევიკებმა გააქტიურეს საქმიანობა. პირველი ცდა, დაემყარებინათ აქ ბოლშევიკური დიქტატურა, განხორციელდა 1918 წლის 16-21 თებერვალს. სოხუმში შექმნეს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი ეფრემ ეშბას თავმჯდომარეობით. დამკვიდრდა შავიზღვისპირეთის ფლოტის (კრეისერ „დაკიას“, ნაღმოსანი „შეუპოვარის“) ბოლშევიკ-მატროსთა განუკითხავი ბატონობა.

მასობრივ გამოსვლებს ბოლშევიკი უზურპატორების წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა აფხაზეთის სახალხო საბჭო. 21 თებერ-

[1] С. М. Червонная, Абхазия – 1992: Посткоммунистическая вандея, М., 1993, с. 175.

ვალს დროებითი რევოლუციური კომიტეტი ლიკვიდრებულ იქნა.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე ცდა განხორციელდა იმავე წლის 8 აპრილიდან 17 მაისამდე. აღნიშნულ პერიოდში ბოლშევიკებმა თავისი ხელისუფ-ლება გაავრცელეს ყოფილი სოხუმის ოლქის მთელ ტერიტორიაზე, კოდორის, (ოჩამჩირის) ნაწილის გარდა.

17 მაისს განთავისუფლებულ იქნა ბოლ-შევიკებისაგან სოხუმი და სოხუმის ოლქი 22 აპრილს შექმნილი ამიერკავკასიის ფედერაცი-ული დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარა-ღებული ჯარების მიერ ვალიკო ჯუღელის სარდლობით.

1918 წლის 8 ივნისს საქართველოს დე-მოკრატიულ მთავრობასა და აფხაზეთის სა-ხალხო საბჭოს შორის დაიდო ხელშეკრულე-ბა აფხაზეთისათვის ფართო საშინაო ავტონო-მიის მინიჭებისა და სამხედრო დახმარების შესახებ. ხელშეკრულების საფუძველზე 17-22 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რეს-პუბლიკის მთავრობამ აფხაზეთის ტერიტო-რიაზე მოახდინა ქართული არმიის ნაწილე-ბის გადაადგილება გენერალ გიორგი მაზნი-აშვილის ხელმძღვანელობით, რომლებიც გან-

ლაგდნენ ზღვის სანაპიროზე ტუაპსედან სოჩამდე. როგორც ვხედავთ, ქართული არმიის ნაწილების დისლოკაციის შეცვლა ორივე მხარის თანხმობით მოხდა. მიუხედავად ამისა სახალხო საბჭომ პროვოკაციული განგაში ატეხა და 12-13 სექტემბერს მიმართა ყუბანის კაზაკთა ფორმირებების მეთაურს გენერალ მ. ს. ალექსეევს თხოვნით „გაეთავისუფლებინა აფხაზეთი საქართველოს სამხედრო ჩარევისაგან“*.

საქართველოს მთავრობამ დაშალა აფხაზეთის სახალხო საბჭო სახელმწიფო გადატრიალების ცდისათვის, რაც მიზნად ისახავდა საქართველოსაგან აფხაზეთის ჩამოშორებას. დააპატიმრა შეთქმულები, რომლებმაც კავშირი დაამყარეს გარეშე ძალებთან. სოხუმის ოლქის საგანგებო კომისრად დაინიშნა ჩ. ჩხიკვიშვილი. დაიწყო მომზადება აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებისათვის[1].

---

* ეს ფაქტი ორი წვეთი წყალივით ჰგავს მაშინდელი და 90-იანი წლების დასაწყისის აფსუა ლიდერების პოლიტიკას. ასევე პროვოკაციულად დაარღვია შეთანხმება 1992 წლის 14 აგვისტოს აფსუების ლიდერმა ვ. არძინბამ და სახელმწიფო ჯარების გადაადგილება საქართველოში, აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოიყენა აფსუათა საყოველთაო მობილიზაციისა და საქართველოს წინააღმდეგ ომის გასაჩაღებლად.

[1] **ს. ჩერვონნაია**, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

ამავე დროს რუსეთის წითელი თუ თეთრი ძალები საქართველოს ოკუპაციაზე ფიქრობდნენ. კერძოდ, 1919 წლის იანვარში თეთრგვარდიელი გენერალი ი. ა. დენიკინი შეტევას იწყებს სოხუმზე. დენიკინის შეხედულებით, აფხაზეთი წარმოადგენდა „ერთიანი რუსეთის განუყოფელ“ ნაწილს. საქართველოს ჯარებმა მოიგერიეს დენიკინის აგრესია.

1919 წლის 18-22 მარტს მიმდინარეობდა ახლად არჩეული აფხაზეთის სახალხო საბჭოს სესია, სადაც პირველსავე სხდომაზე მიღებულ დადგენილებაში აღინიშნა, რომ აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ნაწილი. 1921 წლის თებერვალს მიღებულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში დადასტურდა აფხაზეთის ავტონომიის არსებობა საქართველოს შემადგენლობაში.

ოქტომბრის გადატრიალებით მოპოვებული ხელისუფლების შენარჩუნება ბოლშევიკებმა ადრე გაცემული დაპირებების წყალობით მოახერხეს. მათი დაუყოვნებელი რეალიზაცია ახალი ხელისუფლების პრესტიჟისათვის იყო აუცილებელი და იმ მოსალოდნელ

წინააღმდეგობათა თავიდან აცილებისათვისაც, რაც დაპირებათა შეუსრულებლობას უეჭველად მოჰყვებოდა. ამასთან ერთად, ადგილობრივ მართვა-გამგეობას ისეთი ფორმა უნდა ჰქონოდა, რომ ხელისუფლებისათვის ხალხის სრული მორჩილებით „სოციალიზმის მშენებლობისათვის“ საჭირო ვითარებაც ყოფილიყო გარანტირებული. გამოყენებულ იქნა იმპერიის ისტორიაში კარგად ცნობილი „სამოურავო სისტემა“; გარკვეული პირი, ამ შემთხვევაში მსხვილი პარტიული ფუნქციონერი, იბარებს ეროვნებასა თუ ერს ტერიტორიითურთ, კისრულობს პოლიტიკურ და სამეურნეო ვალდებულებებს, რომელთა შესასრულებლად აჰყავს ხელქვეთთა შტატი და თავისივე ხალხის მორჩილებისათვის ეყრდნობა მპყრობელი ერის სამხედრო ძალას. ამ ერთეულებს დაერქვათ ავტონომიური „რესპუბლიკები“, „ოლქები“, „ნაციონალური ოკრუგები“ და სხვ.

ქართველი ერის დამოუკიდებლობა რუს ბოლშევიკებს ბურჟუაზიულ ნაციონაოლიზმად ჰქონდათ მონათლული, ასე იყო საჭირო მათი სახელმწიფოსათვის. ორჯონიკიძეს აქტიურად უჭერდა მხარს ქართველი ბოლშევიკების უმრავლესობა და, რა თქმა უნდა,

თვით სტალინიც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით. ქართველთა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის აღმოსაფხვრელად, პანაცეად იქცა ჩვენი ეროვნული ენერგიისა და ტერიტორიის დაქუცმაცება, ერთა შორის წინააღმდეგობათა გამწვავებისათვის ხელის შეწყობა.

კრემლის დიქტატით წარმოებული ეროვნული იდეოლოგია, ხელს უწყობდა „მოკავშირე“ რესპუბლიკებში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა კონსოლიდაციას. განსაკუთრებით ვისაც ავტონომიური სტატუსი მიანიჭეს. მათი ყურადღების ხარჯზე ხდებოდა ძირითადი, აბორიგენი ერის უფლებების შეზღუდვა, ერთგვარი დაპირისპირების ხელოვნური შექმნა. უკანონოდ, სხვის მიწაზე სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს გარკვეული ნაღმის როლი უნდა შეესრულებინათ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ასეთი სახის რესპულიკა შეეცდებოდა საბჭოთა კავშირიდან გასვლას და დამოუკიდებლობის გამოცხადებას. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია საქართველო, რომელიც კომუნისტური რეჟიმის ერთგვარ სასინჯ ქვასა და „ლაბორატორიას“ წარმოადგენდა.

1921 წლის აპრილში რუსეთის სამხედრო ატაშე საქართველოში გენერალ-მაიორი პ. სიტინი მთავრობისადმი მოსკოვში გაგზავნილ საიდუმლო მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ საქართველოს ტერიტორული და მატერიალური დასუსტებისათვის აუცილებელი იყო აფხაზეთის ტერიტორიის საქართველოსაგან ჩამოცილება. მისი აზრით „აფხაზეთის ჩამოშორება გამართლებულია ყველა მოსაზრებით და ამის განხორციელების დაგვიანება ჩვენთვის არასასურველი შედეგებით დამთავრდება“[1]. რუსეთის ხელისუფლებამ „ბრწყინვალედ“ განახორციელა აღნიშნული რეკომენდაცია.

ავტონომიური ერთეულების შექმნისას გარკვეული როლი შეასრულა ლოზუნგმა – კომუნიზმის დროს სულ ერთია მაინც წაიშლება საზღვრები ურთიერთშორისო. ანტიპატრიოტულად განწყობილი ქართველი ბოლშევიკების მიერ განხორციელებულ ამ უაღრესად მტკივენულ აქტს სრული გულგრილობით შეხვდა „კომუნიზმისა“ და „ინტერნაცი-

[1] **გ. დანელია**, ტოტლებენიდან გენერალ ლებედამდე, ჟურნ. „პოლიტიკა“, 1996, №9-10 გვ. 10.

ონალიზმის“ დემაგოგიური ლოზუნგებით მოტყუებული ერის ერთი ნაწილი[1].

როგორც ცნობილია, ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა აფხაზეთში 1921 წლის 4 მარტს. 6 მარტს შეიქმნა აფხაზეთის რევკომი ე. ეშბას (თავმჯდომარე), ნ. ლაკობასა და ი. აკირტავას შემადგენლობით. ფუნქციონირება დაიწყო აგრეთვე რკპ (ბ) აფხაზეთის საორგანიზაციო ბიურომ. ამავე დროს ბოლშევიკებს თავისი გეგმები ჰქონდათ საქართველოს მომავალი მოწყობის შესახებ. უკვე 1921 წლის 2 მარტს ეფრემ ეშბა აფხაზეთის რევკომის სახელით მოითხოვდა აფხაზეთის დამოუკიდებლ რესპუბლიკად გამოცხადებას ან აფხაზეთის შესვლას რსფსრ შემადგენლობაში.

„სოხუმის ოლქის მოსახლეობის 80%-ს შაედგენენ აფხაზები – აღნიშნავდა ე. ეშბა, – რომელთაც არ სურთ შედიოდნენ საქართველოს შემადგენლობაში“. ეს იყო აფხაზეთის კომუნისტების პოზიცია, რომ აფხაზეთი ჩამოეშორებინათ საქართველოსაგან. ჯერ ერთი, აფსუა კომუნისტებს სოხუმის ოლქის აფხაზ

[1] **ვ. მჭედლიშვილი**, იმპერიის მარწუხებში, თბ., 1990, გვ. 25.

მოსახლეობაში რეფერენდუმი არ ჩაუტარებიათ, მეორეც, სოხუმის ოლქში არ შეიძლებოდა ყოფილიყო 80% აფხაზი, რადგანაც მაშინ აფხაზები ოლქის ტერიტორიაზე 36 ათასს შეადგენდნენ. ამდენად, აფხაზები ქართველებთან შედარებით მაშინაც უმცირესობა იყვნენ.

როგორც ვიცით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოსკოვში ეშბამ და ორჯონიკიძემ მოილაპარაკეს, რომ აფხაზეთი შევიდოდა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის უფლებით, ხოლო მოგვიანებით, როცა საქართველო კომუნისტების ხელში აღმოჩნდა, ეშბამ და აფსუა კომუნისტებმა შეიცვალეს პოზიცია.

აფსუა ხელმძღვანელების აზრით, თუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ დააფიქსირა აფხაზეთის ავტონომია, მაშინ საბჭოთა ხელისუფლებას „საგანგებოს“ – რევკომის სახით მეტი უნდა მიეცა მათთვის, ე. ი. გამოეცხადებინა აფხაზეთის დამოუკიდებლობა. ამით ეჩვენებინა ეროვნული საკითხისადმი თავისი შედარებით „პროგრესული“ დამოკიდებულება.

მაშინ არავის მოსვლია აზრად, რომ არღვევდა (ფეხქვეშ თელავდა) საქართველოს

სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას[1].

28-31 მარტს რკპ (ბ) ცკ კავბიუროს ხელმძღვანელობითა და ს. ორჯონიკიძის ინიციატივით „ბათუმის თათბირმა“ განიხილა აფხაზეთში „საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურის“ საკითხი, სადაც მოამზადა ნიადაგი აფხაზეთის სსრ გამოცხადების შესახებ, 1921 წლის 31 მარტს კი ოფიციალურად გამოაცხადეს აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

აფხაზეთის საქართველოსაგან მოწყვეტას და ცალკე რესპუბლიკად გამოცხადებას, სადაც აღნიშნული პერიოდისათვის 70%-ზე მეტი ქართველი ცხოვრობდა, უარყოფითად შეხვდა ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი. გამოითქვა მრავალი დასაბუთებული მოსაზრება, მაგრამ...[2]

ასეთ აქტს მომავალში რა შედეგებიც მოჰყვებოდა კარგად იგრძნო ზოგიერთმა ქართველმა და აფსუა ბოლშევიკმაც. მათი მეცადინეობის შედეგს წარმოადგენდა 1921 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე რკპ (ბ) ცკ პოლიტიკაში გარკვეული ცვლილებები, რომელ-

---

[1] **ა. მენთეშაშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 53, 54.
[2] ტრიბუნა, 1922, 25 იანვარი.

მაც აიღო ორიენტაცია აფხაზეთის „ავტონომიზაციაზე“ საქართველოს სსრ შემადგენლობაში.

1921 წლის 16 დეკემბერს საბჭოთა საქართველომ და საბჭოთა აფხაზეთმა ხელი მოაწერეს „განსაკუთრებულ სამოკავშირეო ხელშეკრულებას“, რის საფუძველზეც ფაქტიურად გაერთიანდა მათი ტერიტორია. 1922 წლის თებერვალში აფხაზეთის საბჭოების პირველმა ყრილობამ დაამტკიცა აფხაზეთისა და საქართველოს სსრ სახელმწიფოებრივი გაერთიანება. ამავე დროს მიღებული საქართველოს სსრ კონსიტიტუციაშიც აღინიშნა, რომ აფხაზეთი „უკავშირდება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას – ამ რესპუბლიკათა შორის დადებულ, განსაკუთრებულ საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე“[1].

საგულისხმოა, რომ 1922 წლის მარტში შექმნილ ამიერკავკასიის ფედერაციაში აფხაზეთი შევიდა, როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი.

აფხაზეთის სახელშეკრულებო რესპუბლიკას საკავშირო, ცენტრალური ხელისუფ-

[1] საქართველოს კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), თბ., 1983, გვ. 73.

ლება ფაქტობრივად ავტონომიური რესპუბ-ლიკების მწკრივში განიხილავდა და ეს აისა-ხა სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაში, სადაც აფხაზეთი ავტონომიურ რესპუბლიკად არის მოხსენიებული[1].

საბჭოთა რუსეთს თავისი წარმომადგენ-ლები ჰყავდა ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში, ამიერკავკასიის რესპუბლიკიდან – საქართვე-ლოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ამავე რესპუბლიკებს თავიანთი წარმომადგენლები ჰყავდათ რუსეთში. რუსეთსა და აფხაზებს შორის წარმომადგენლობის გაცვლა არ მომ-ხდარა. რუსეთს არც ხელშეკრულება გაუ-ფორმებია აფხაზეთთან. მან მხოლოდ აზერ-ბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სუვე-რენიტეტი ცნო. აფხაზეთი, როგორც დამოუ-კიდებელი რესპუბლიკა, საქართველოს, სომ-ხეთისა და აზერბაიჯანისაგან განსხვავებით, არასოდეს არ ყოფილა საერთაშორისო სამარ-თლის სუბიექტი. და ეს იმიტომ, რომ აფხა-ზეთი არ წარმოადგენდა რეალურად არსე-

[1] **ლ. თოიძე,** საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები), თბ., 1999, გვ. 78.

ბულ დამოუკდიებელ (თუნდა საბჭოური გაგებით) რესპუბლიკას[1].

თვით აფხაზ მოღვაწეთა აღიარებით, აფხაზეთის დამოუკიდებლობა გამოცხადებულ იქნა „დროებით“, „ერთი წუთით“, „აბრისათვის“ და ა. შ., მაგრამ აფხაზეთი რეალურად არც „ერთი წუთით“, არც „დროებით“ არ ყოფილა დამოუკიდბელი. აფხაზეთი იმ 10 წლის მანძილზეც (1921-1931 წწ.) სავსებით დამოკიდებული იყო საქართველოზე, რომელიც თავისთავად ოკუპირებული იყო საბჭოთა რუსეთის მიერ და, ცხადია, დამოკიდებული იყო მასზე, შემდეგ – სსრ კავშირზე. აფხაზეთის ბიუჯეტი საქართველოს ბიუჯეტის ნაწილს წარმოადგენდა. აფხაზეთის მთავრობა, პარტიული ორგანოები ანგარიშვალდებული იყვნენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე. აფხაზეთი არა ცალკე, არამედ მხოლოდ საქართველოს მეშვეობით შედიოდა ამიერკავკასიის ფედეარციასა და სსრ კავშირის შემადგენლობაში. როგორც საქართველოს, ისე საკავშირო ორგანოები აფხაზეთს მუდამ განი-

[1] **ლ. თოიძე,** საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები), თბ., 1999, გვ. 79.

ხილავდნენ როგორც ავტონომიურ რესპუბ-ლიკას[1].

აფხაზეთის ზემოაღნიშნული სტუატუსი რომ არ შეეფერებოდა არც ისტორიულ და არც რეალურ ვითარებას კარგად გრძნობდნენ საბჭოთა სახელმწიფოს მესვეურებიც. ადრე დაშვებული შეცდომის ნაწილობრივ გამოსწორებას ისახავდა მიზნად ცაკ-ის 1930 წლის აპრილის III სესია, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გარდაექმნათ „ხელშეკრულებითი“ აფხაზეთის სსრ აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად საქართველოს შემადგენლობაში.

აქედან გამომდინარე 1931 წლის 11 თებერვალს საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ საბჭოების VI ყრილობების გადაწყვეტილებით აფხაზეთი შევიდა საქართველოს სსრ შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის უფლებით.

საქართველოს სასაზღვრო-ტერიტორიული ცვლილებების საკითხი მოსკოვმა თავიდანვე საკუთარ პრეროგატივად აქცია. საქართველოში შექმნეს სამი ავტონომიური წარმონაქმნი. ერთ ფიორა ტერიტორიაზე სამი ავ-

[1] **ლ. თოიძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

ტონომიის არსებობა ინტერნაციონალიზმის ორჯონიკიძისეული გეგმის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს. ან უნდა მივიღოთ, რომ იგი ოქ-ტომბრის გადატრიალების ჭეშმარიტ მიზნებ-ში ჩინებულად ერკვეოდა – „დაყავი და იბა-ტონე!“

ავტონომიასა და მის დაწესებულებებს ორასი, სამასი ისეთი თანამდებობა ახლავს, რომლებიც ამდენივე პირის კეთილდღეობას უზრუნველყოფს და ისე, რომ რაიმე გამორ-ჩეული ნიჭი, ჭკუა და შრომისმოყვარეობა სა-ჭირო არ არი... მოურავი ამ თანამდებობებს ახლობლებსა და სანდო პირებში ანაწილებ-და. იქმნებოდა სიბარიტების კასტა, რომელიც მომდევნო, მხვეჭელთა ფენას აყალიბებდა და მის კანონსაწინააღმდეგო საქმიანობას მფარვე-ლობდა ყოველთვიური ფულადი თუ სხვა რამ ღირებულებრივი მოსართმევის საკომპენ-საციოდ. მხვეჭელები, ხაზინისა და ხალხის ძარცვით, სარფიანი ადგილების გაყიდვით, სპეკულაციით, ხელქვეითთა დაბეგვრით, ქრთამითა და სხვა საშუალებებით მდიდ-რდებოდნენ, ამდიდრებდნენ მფარველებს და, რა თქმა უნდა, მორჩილებაში ჰყავდათ თავი-სი კლანები. ასე ხორციელდებოდა რეგიონში სიმშვიდე, სტაბილურობა და ადგილობრივი

„პირველი კაცის“ ვალდებულებების შესრულება[1].

სრულიად შეუძლებელია ნორმალური ლოგიკით ახსნა, თუ რატომ მიენიჭათ ერთგან ეროვნულ უმცირესობებს ავტონომიის სტატუსი და სხვაგან საერთოდ არაფერი, რომ აღარაფერი ვთქვათ ასეთი წარმონაქმნების ისტორიულ უნიადაგობაზე.

ვერც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში და ვერც საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში ვერ იპოვით განმარტებას – როდის, როგორ, რა პირობით, რა უფლებებით შეიძლება მიიღოს ამა თუ იმ ხალხმა ავტონომიურობა. ყველა საბჭოური ავტონომია შექმნილია სსრკ-ის იმდროინდელ მმართველთა გუნება-განწყობილების შესაბამისად.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ქვეყნების გამოცდილებაში და სამართლებრივ კონცეფციებში პოლიტიკური ავტონომია სრულებით არ გვევლინება ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების გადაჭრის გზად, არც ერთი საერთაშორისო დოკუმენტი არ შეიცავს ასეთი ავტონომიის შექმნის სახელმწიფო ვალდებულებებს[2].

---

[1] აფხაზეთის სისხლიანი ქრონიკები, თბ., 1993, გვ. 19-20.

[2] საქართველოს რესპუბლიკა, 1992, 31 იანვარი.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ რუსეთში არსებულ ავტონომიებსა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში შექმნილ ავტონომიურ წარმონაქმნებს შორის პრინციპული განსხვავებაა და არ შეიძლება მათი საერთო, საბჭოთა სახელმწიფოს თვალთახედვით განხილვა. გარკვევით უნდა ითქვას, რომ რუსეთში არსებული თითქმის ყველა (თუ აბსოლუტურად ყველა არა) ავტონომიური წარმონაქმნი არის რუსეთის მიერ სხვადასხვა დროს დაპყრობილი თუ „ნებით შეერთებული“ (რატომ გასაგებია), მანამდე დამოუკიდებლად არსებული ქვეყნები. მაგალითად, ჩრდილო კავკასიის ტერიტორია, სადაც შემდეგ რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტონომიური ერთეულები შეიქმნა, ჩრდილო ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩეჩენ-ინგუშეთის, დაღესტნის... სხვადასხვა დროს რუსეთის მიერ დაპყრობილი, თუ სხვადასხვა პირობით შეერთებული მიწა-წყალია.

სულ სხვა ვითარებაა საქართველოში. რაც შეეხება აჭარას, ყველამ კარგად ვიცით, რომ აჭარა საქართველოა და აჭარლები ქართველები არიან. ყველაზე კარგად ეს თვით

აჭარლებმა იციან და აჭარის პრობლემა არ დგას და არც დადგება.

ის ტერიტორია კი, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულები, უძველესი დროიდან ქართული მიწა-წყალია, ქართულ სახელმწიფოთა ფარგლებში მყოფი რეგიონებია[1].

1992 წლის 3 მარტს ვაშინგტონში, რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ სააქტო დარბაზში ჩატარდა კონფერენცია, რომელიც ბჭობდა ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებულ მდგომარეობაზე. განხილულ საკითხთაგან ერთ-ერთი ცენტრალური იყო სიტუაცია კავკასიაში, მათ შორის საქართველოში. ამ თემაზე ისაუბრა ცნობილმა ამერიკელმა სოვეტოლოგმა, პროფესორმა ვიქსმანმა. პროფესორმა აღნიშნა, რომ „ჩემს მრავალ პუბლიკაციაში ვსვამ კითხვას: რატომ არსებობს აფხაზეთის ავტონომია? განა საგულისხმო არ არის ის ფაქტი, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა თავიდან მხოლოდ 34 ათასი აფხაზისათვის შეიქმნა? – ვიქსმანის მართებული დასკვნით – თავიანთი ტერიტორიის საკითხებს ქარ-

[1] **მ. ლორთქიფანიძე**, ომი მშვიდობამ უნდა შეცვალოს, „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, 12 იანვარი.

თველები საქართველოში კი არ წყვეტდნენ, არამედ მოსკოვში ხდებოდა“[1].

და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეროვნულ უმცირესობას არ შეიძლება ჰქონდეს საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლება, რადგან, ეს, პირველ ყოვლისა, არსებული სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობას აყენებს საფრთხის ქვეშ და ეთნო-კონფლიქტების გამოწვევის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ხდება. როგორც ცნობილია, საერთაშორისო სამართალი თვითგამორკვევის უფლებას აძლევს მხოლოდ კოლონიურ და დამოკიდებულ, ე. ი. ძალით მიერთებულ და მორჩილებაში მყოფ ხალხებს. ეროვნულ უმცირესობას კი, რომელიც სხვადასხვა ისტორიული კატაკლიზმების შედეგად უცხო ქვეყნების ბინადარი გახდა, მიუხედავად ცხოვრების დროის ხანგრძლივობისა, თვითგამორკვევის უფლება არა აქვს.

[1] დრონი 1992, 25 აპრილი.

დაპირისპირება

„მუჰაჯირობის“ პროცესის დასრულების შემდეგ ცარიზმი შეუდგა ზრუნვას აფხაზეთში რუსული ორიენტაციის ინტელიგენციის ჩამოყალიბებისათვის. აფხაზთა შორის ხელოვნურად ნერგავდნენ ანტიქართულ განწყობას. დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა ქართველ-აფხაზთა კულტურულ-ისტორიულ ერთობასა და ამ ერთობის საფუძველს ქართულ ენას. ამ მიზანს ემსახურებოდა აფხაზეთის ეკლესიებში ღვთისმსახურების საეკლესიო-სლავურზე გადაყვანა და რუსული ანბანის საფუძველზე აფხაზური დამწერლობის შემოღება, რაც პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა[1].

მოგვიანებით საბჭოთა რუსეთს, მის კომუნისტურ პარტიას აფხაზეთში მუდამ ეგულებოდათ გარკვეული ძალები, რომლებიც მზად იყვნენ ნებისმიერ დროს გამოსულიყვნენ დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ. შემთხვევითი არ იყო, რომ 1919 წელს აფსუებთან ერთად ქართველებს დაუპირის-

[1] **ბ. ხორავა**, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

პირდნენ ა. ხატისოვის ინიციატივით თურქეთიდან აფხაზეთში ჩამოსახლებული სომხები. მათი ნაწილი მოხალისე არმიის სარდლობასაც მიეტმასნა[1]. აფსუათა მერყევ და უნდო ხასიათს ემატებოდა გააფსუებული ქართველების გაიძვერა კარიერისტული მოქმედება, ყველაფერს რომ საკუთარ კეთილდღეობას სწირავდნენ. ასეთთა შორის იყვნენ ა. შარვაშიძე, კაკუბავა, დ. ალანია, მ. ცაგურია, ი. მარღანია, რ. ჩხოტუა, ნ. ტარნავა და სხვ.[2]

ამ დროისათვის უკვე აქტიურად დაიწყო სეპარატისტული მოძრაობა აფხაზეთში. სეპარატიზმი, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა, ათეულ საუკუნეებს ითვლის და ლათინური წარმოშობის ამ ცნებას, რომელიც გამოყოფას, განცალკევებას ნიშნავს, მეცნიერები სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევენ.

საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მიღებული იყო, რომ სეპარატიზმი ძირითადად ბურჟუაზიული წყობილებისთვის იყო დამახასიათებელი, თუმცა, იგი ყოველთვის და ყველგან არსებობდა; ასევე საბჭოთა რეჟიმის დროსაც, მაგრამ მას ფარული ხასიათი ჰქონდა.

---

[1] **თ. გასვიანი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 349.
[2] იქვე, გვ. 354.

სეპარატიზმის მიმდევარ ხალხებში იგი მოიაზრება როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ხშირად გამოიყენება ცალკეული დიდი სახელმწიფოების მიერ სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩასარევად პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით[1].

უკვე 1920-1921 წლებში ბოლშევიკებისა და სოციალიზმის დროშას გარკვეული ძალები საფარად იყენებდნენ საქართველოსაგან აფხაზეთის ჩამოცილების და რუსეთთან შეერთებისათვის ბრძოლაში.

ამაზე მეტყველებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შედგენილი (არაუადრეს 1920 წლის ოქტომბრისა) ცნობაც, რომელშიც ნათქვამია: „ამგვარად, საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის ზავის ჩამოგდების შემდეგაც... კომუნისტები სოხუმის ოლქში ეწეოდნენ საქართველოს დემოკრატიული წეს-წყობილების და მისი მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციას და აწყობდნენ შეიარაღებულ აჯანყებას. ამ მუშაობას კომუნისტები აწარმოებდნენ არალეგალურად და ამავე დროს კავში-

[1] **ი. კვესელავა**, დასახ. ნაშრომი, გვ. 219.

რი ჰქონდათ საბჭოთა რუსეთის სამხედრო ძალებთან გაგრის ფრონტზე.

უმთავრესი სამოქმედო ორგანიზაციები იყო: 1) ქალაქ სოხუმში – „სოკი“, რომელიც საერთო ხელმძღვანელობას უწევდა დანარჩენ ორგანიზაციებს, იძენდა ასაფეთქებელ მასალას, ეწინააღმედეგებოდა მთავრობის მიერ გამოცხადებულ მობილიზაციას და ფულით დახმარებას უწევდა ხელქვეით ორგანიზაციებს. 2) გაგრაში – გაგრის სამაზრო რევოლუციური კომიტეტი, რომელიც საჯაშუშო მასალებს აწვდიდა საბჭოთა ჯარებს, პროპაგანდით და აგიტაციით ხრწნიდა საქართველოს ჯარისკაცებს და არღვევდა ჩვენს ფრონტს და 3) აფხაზეთში ავრცელებდნენ აფხაზეთის საქართველოდან ჩამოშორების შესახებ ხმებს, ურჩევდნენ აფხაზებს შეერთებოდნენ რუსეთს და აწყობდნენ აფხაზეთის შეიარაღებულ აჯანყებას[1].

საბჭოთა რეჟიმის დამყარების შედმეგ აფხაზეთში გაძლიერდა ქართველთა დევნა. კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ თავის გეგმას ისეთი იდეოლოგიური სარჩული გამოაკერა, რომელიც მიჩქმალავდა ამ გეგმის ნამ-

[1] **ლ. თოიძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 64-65.

დვილი ავტორის ვინაობას, კერძოდ, – ქართული შოვინიზმის აფხაზური იდეა. ასე გამოიჩეკნენ ქართული ნაციონალური ეგოიზმის მქადაგებელი „აფხაზი“ იდეოლოგები, რომლებიც იმ ტოტსაც ჭრიდნენ, რომელზეც თავად ისხდნენ[1].

XX საუკუნის 30-იან წლებში აფხაზური სეპარატისტული მოძრაობა გააქტიურებას იწყებს და ფიქსირდება ცალკეული ორგანიზაციების და ჯგუფების შექმნა. ომის წლებში აფხაზური მოძრაობის ცალკეულმა წარმომადგენლებმა სცადეს დაესვათ საკითხი საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფის შესახებ, მაგრამ შეთქმულება მალე გამომჟღავნდა და მისი მოთავეები ს. ბასარია, მ. ადლეიბა და სხვები მართლმსაჯულებას ვერ ასცდნენ.

ომის შემდგომ წლებში აფხაზური მოძრაობა ახალ ძალას იკრებს, განსაკუთრებით აქტიურობენ თბილისში სასწავლო და სამეცნიერო განათლებამიღებული ახალგაზრდები, მათ შორის უმარ შაკრილი და, განსაკუთრებით უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, სამეცნიერო ხარისხის მქონე – თამარ შაკრილი.

---

[1] **ზ. გოგია**, აფხაზეთი – საქართველოს ეროვნული კრიზისი, ჟურნ. „პოლიტიკა“, 1995, № 7-8, გვ. 3.

ფაქტია, რომ შემდგომშიც აფხაზურ მოძრაობაში მონაწილე თითქმის ყველა წევრს ძირითადად თბილისში ჰქონდა გავლილი სასწავლო-სამეცნიერო და სამსახურებრივ-თანამდებობრივი წრთობა[1].

თვითგანდიდებისა და ქართველთაგან განკერძოების ტენდენცია გაუღვივდათ აფხაზ-აფსუებს განსაკთრებით 50-იანი წლებიდან, როდესაც სტალინი გარდაიცვალა და საბჭოთა სისტემა ღრმა კრიზისმა მოიცვა. სისტემის ყველა მანკიერება და ცოდვა სტალინის მშობლიურ ხალხს, ქართველებს მიეწერა, როცა მათ წინააღმდეგ გაუგონარი ლაშქრობა გაჩაღდა. ამავდროულად დაიწყო ქართველთა ძალდატანებითი გააფხაზება, რომელმაც საკმაოდ ფართო მასშტაბი მიიღო, მაგრამ მშველელი არავინ აღმოჩნდა.

გაზვიადებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ თანამედროვე აფხაზური სეპარატიზმის გეგმას 50-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი, როცა საბჭოთა კავშირის ახალმა მესვეურებმა – ხრუშჩოვმა, სუსლოვმა, კოსიგინმა, მიქოიანმა, ანდროპოვმა და სხვებმა სახელმწიფოებრივი აგიტაცია გააჩაღეს ქართველების წინა-

[1] **ი. კვესელავა**, დასახ. ნაშრომი, გვ. 226.

აღმდეგ. სწორედ კრემლსა და აფხაზეთის კურორტებზე შეიქმნა და დაიხვეწა აფხაზეთის საქართველოსაგან ჩამოცილების და რუსეთისადმი მიერთების პროგრამა[1]. სოხუმში, გუდაუთაში, გაგრაში გამართული მიტინგები, მიღებული რეზოლუციები და მიმართვები სერიოზული განაცხადი იყო ქართულ-აფხაზური ურთიერთობის შემდგომი გამწვავებისათვის. ადგილობრივი „აფხაზური" მოსახლეობის მძაფრ რეაქციას იწვევდა მგელაძისა და გეთიას მიერ გატარებული ღონისძიებები ქართული ტოპონიმების აღდგენის შესახებ. მაგალითად, ოჩამჩირის რაიონის ტყვარჩელის სასოფლო საბჭოს უწოდეს ვარდისუბნის სასოფლო საბჭო. იმავე რაიონის სოფელ არაკიჩს – სოფელი აგარაკი, სოფელ შაუმიანს (გულრიფშის რაიონი) – ნარინჯოვანი, იმავე რაიონის სოფელ მიასნიკოვოს – წერული და ა. შ. კოლმეურნეობა მუგძირხვას (გუდაუთის რაიონი) – მზიური, სოფელ ბაღნარის კოლმეურნეობას (გაგრის რაიონი) – ახალი ცხოვრება და ა. შ.[2]

ამავე პერიოდში აფხაზეთის ინტელიგენციის ნაწილი ფართო პროპაგანდას ეწეოდა

---

[1] **გ. გასვიანი**, აფხაზეთი ძველი და ახალი აფხაზები, თბ., 1998, გვ. 24.
[2] **სპა**, ფ. 14, ანაწ. 30, საქ. 374, ფურც. 18.

ქართველი მოსახლეობისა და ქართული კულტურის წინააღმდეგ, რამაც ორგანიზებული ხასიათი მიიღო. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები, ასევე გაზეთ „აფსნი ყაფშის“ რედაქციის თანამშრომლები ხშირად იკრიბებოდნენ ანტიქართული პოლიტიკის შესამუშავებლად და დასახვეწად. ისინი საჯაროდ, პლენუმებზე, აქტივის კრებებზე, თათბირებზე ყოველმხრივ უპირისპირდებოდნენ ყოველივე ქართულს[1]. საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულებას აფხაზეთის ავტონომიისადმი აიგივებდნენ საფრანგეთის ალჟირთან და ინგლისის ეგვიპტესთან ურთიერთობას[2].

„აფხაზები“ ასევე ავრცელებდნენ ხმებს, რომ ლაკობა მოწამლა ბერიამ და უნდა გაემართლებინათ სიკვდილის შემდეგ[3].

აფხაზები ბრალს დებდნენ ქართველებს, რომ აჩანდარის საშუალო სკოლის 20 აფხაზ მოწაფეს ქართველებმა თვითნებურად შეუცვალეს სახელები და უწოდეს: 1. ხიკურ ანქვაბს – რუსუდანი, 2. ტაიფ ადჟბას – ტე-

[1] იქვე, ფურც. 21-22.
[2] იქვე, ფურც. 22.
[3] იქვე, ფურც. 23.

რენტი, 3. ჩუკა ჩიჩბას – ჟუჟუნა, 4. ცუცა ჩარგუშს – ციალა, 5. ბუბა ხაგბას – ნათელა, 6. შამონია ჭანტურიას – ეთერი, 7. არსენია ხაგბას – თინათინი, 8. ხიკურ ხაგბას – ლამარა, 9. ჩოდია გუნბას – ვალერიანი, 10. ხიკურა ჯენიას – ნორა, 11. ხიკუჩა გუნბას – როზა, 12. შულია ჯენიას – შალვა, 13. ლიუჩკა ჯენიას – ლამარა, 14. ხიმკა ხორავას – ეთერი, 15. კაპჩკა ჩიჩბას – თამარა, 16. არზენია ბარციცს – ჟუჟუნა, 17. ხიმორ გუნბას – ნათელა, 18. ლელო ხიგბას – თამარა, 19. რიმა თირკს – ვალენტინა, 20. საფარბეი გუნბას – ამირანი[1].

თავიანთ გამოსვლებში აფხაზები ზიზღს ამჟღავნებდნენ ქართველებისადმი, კერძოდ, მეგრელებისადმი. ისინი განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ მეგრელებს, საერთოდ გამოყოფდნენ ქართველებისაგან. მაგალითად, ტვანბა თავის გამოსვლებში რუსი „თეორეტიკოსების“ მსგავსად აღნიშნავდა „ქართველები და მეგრელები“[2].

1956 წლის 10 ივლისს სკკპ ცკ პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, სადაც გაკრიტიკებული იყო საქართველოს კპ ცკ-ის მუშაობა

---

[1] **სპა**, ფ. 14, ანაწ. 30, საქ. 374, ფურც. 24.
[2] იქვე, ფურც. 26.

აფხაზეთთან მიმართებაში. კრემლიდან თანადგომით გამხნევებული აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი მ. ბღაჟბა საქართველოს ხელისუფლებას მთელ რიგ მოთხოვნებს უყენებდა. უარყოფითად აფასებდა გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ და ჟურნალ „მნათობში“ ქართველ მეცნიერთა პუბლიკაციებს, რაც მას მიაჩნდა აფხაზი ხალხის თვითმყოფადობის, მისი ისტორიის, სახელმწიფოებირობისა და კულტურის უგულვებელყოფად[1]. ასეთი სახის სტატიებს ბღაჟბა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოვლინებად ნათლავდა. მისი მოთხოვნით საჭირო იყო გაფართოებულიყო აფხაზეთის ასსრ უფლებები, შექმნილიყო ისეთი ვითარება, როცა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები გამოიჩენდნენ ინიციატივას და შედარებით დამოუკიდებლად გადაწყვეტდნენ მნიშვნელოვან სამეურნეო და რესპუბლიკის ცხოვრების სხვა საკითხებს. ასევე, უახლოეს დროში აშენებულიყო სოხუმში რადიოსატრანსლიაციო სადგური, აღდგენილიყო სოხუმში აფხაზური სკოლა ინტერნატთან ერთად. პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად დაეარსები-

[1] იქვე, ანაწ. 32, საქ. 281ᵃ, ფურც. 14, 15.

ნათ პედაგოგთა დახელოვნების ინსტიტუტი. მთლიანად „აღედგინათ“ დასახლებული პუნქტებისა და ადგილების ადრინდელი სახელები. ამისათვის ბღაჟბა საჭიროდ თვლიდა გაეფართოებინათ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს უფლებები და სხვ.[1] უფრო სერიოზულად გაემახვილებინათ ყურადღება ადგილობრივი კადრების აღზრდასა და დაწინაურებაზე, დაენერგათ პრაქტიკაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე აფხაზების დაწინაურება როგორც თბილისში, ასევე საქართველოს მასშტაბით[2].

ჯერ კიდევ 1956 წლის აპრილში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კოლექტივი საგასტროლოდ ჩავიდა აფხაზეთში, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ არ მისცა საშუალება ჩაეტარებინა კონცერტი. აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრმა კვარჩელიამ თბილისიდან ჩასულ მსახიობებს განუცხადა: „თქვენ აქ არავის მოუწვევიხართ. თქვენ ვინა ხართ? გაათავისუფლეთ ჩვენი ტერიტორია. ჩვენ არა გვსურს დავემორჩილოთ საქართველოს ფილარმონიის გადაწყვეტილებებს, რამდენადაც გვსურს შევინარჩუნოთ ჩვენი ავტო-

[1] **სპა**, ფ. 14, ანაწ. 32, საქ. 281ᵃ, ფურც. 16.
[2] იქვე, ფურც. 17.

ნომია, წაეთრიეთ აქედან! წაეთრიეთ ჩვენი ტერიტორიიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში მე გამოვიძახებ მილიციას და დაგაპატიმრებთ... ჩვენ ჩვენი მინისტრთა საბჭო გვაქვს და ვასრულებ მის განკარგულებას და არა საქართველოს კულტურის სამინისტროს განკარგულებას“[1].

1957 წლის 18 ივლისს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღედგინათ ზოგიერთი სასოფლო საბჭოს და დასახლებული პუნქტის, რკინიგზის სადგურის და სხვა სახელები[2].

აღნიშნული გადაწყვეტილებით სახელები უნდა შეცვლოდა 8 სასოფლო საბჭოს, 39 დასახლებულ პუნქტს, რკინიგზის 3 სადგურს, 5 „პლატფორმას“, 3 გადასასვლელს. ასევე უნდა შეცვლილიყო 11 დასახლებული პუნქტის ტრანსკრიპცია[3].

აფსუები ცდილობდნენ ქართული სახელწოდებების გაუქმებას. მათთვის მთავარს წარმოადგენდა ქართული ტოპონიმების კვალის გაქრობა. ამ მოტივით მნიშვნელობა არ ჰქონ-

---

[1] იქვე, ფურც. 13.
[2] **სუიცსა**, ფ. 1165, ანაწ. 8, საქ. 1347, ფურც. 1.
[3] იქვე, ფურც. 2.

და რა სახელს დაარქმევდნენ. მაგალითად, მოითხოვდნენ რომ ბაღნარის სასოფლო საბ-ჭოსთვის ეწოდებინათ ქრისტეფოროვო, გან-თიადის სასოფლო საბჭოსთვის – პილენკოვო და ა. შ. სინამდვილეში ეს სახელები არც აფ-სუებისთვის იყო მახლობელი.

როგორც სათანადო ადგილას აღვნიშნეთ XIX საუკუნის 70-იან წლებში მეფის რუსეთი ინტენსიურ კოლონიზაციას ეწეოდა აფხაზეთ-ში. რუსი მემამულეები და ვაჭრები ჩალის ფასად ყიდულობდნენ აქ მიწებს. ერთ-ერთი ასეთი იყო ქრისტეფოროვი და სხვები, რო-მელთა სახელების აღდგენასაც მოითხოვდნენ აფსუა „პატრიოტები“[1].

1960 წლის 11 მაისს აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ბღაჟბამ თხოვნით მი-მართა საქართველოს კპ ცკ პირველ მდივანს ვ. მჟავანაძეს, რათა ნება მიეცათ იმავე წლის ივნისში აღენიშნათ რუსეთთან შეერთების 150 წლის იუბილე[2].

აფხაზური მოძრაობის მომდევნო ეტაპი 1966-1968 წლებთან არის დაკავშირებული. ცნობილია, „31“-ის, „77“-ის და „130“-ის წერი-ლები, რომლებშიც აშკარად იგრძნობოდა ან-

---

[1] იქვე, ფურც. 3-4.
[2] **სპა**, ფ. 14, ანაწ. 35, საქ. 359, ფურც. 1.

ტიქართული განწყობილება, რუსეთის შემადგენლობაში აფხაზეთის რესპუბლიკის შესვლის სურვილი. ამავე პერიოდში იქმნება „იატაკქვეშა საოლქო კომიტეტი და წინასწარ ნაწილდება ყველაზე პრესტიჟული თანამდებობები. ეს პერიოდი აფხაზეთში საზოგადოებრივი აზრის მომზადების ეტაპია. აფხაზობა, ეროვნულობის პარალელურად, სოციალური სახის მატარებელი ხდება. დასაქმებისა და თანამდებობის მიღებისას უპირატესობა ენიჭება ეროვნულობას – „აფხაზობას“. აფხაზი სეპარატისტები თხოულობენ აფხაზეთის კონსტიტუციაში შეიტანონ მუხლი თვითგამორკვევისა და საქართველოდან გამოყოფის შესახებ[1].

სკკპ ცკ 1972 წლის თებერვლის დადგენილების შემდეგ (თბილისის საქალაქო კომიტეტის შესხებ...), აფხაზეთი თანდათანობით იღებს სუვერენული რესპუბლიკის სტატუსისთვის საჭირო ყველა ატრიბუტს. იხსნება აფხაზეთის ტელევიზია, უნივერსიტეტი, ხორციელდება საკადრო პოლიტიკა, რომელიც დიდი თუ პატარა თანამდებობისაკენ გზას

[1] **ი. კვესელავა**, დასახ. ნაშრომი, გვ. 227.

უკეტავდა ქართველებს. ჩქარდება ქართველების გააფხაზების პროცესი.

დადგენილებაში ჩადებულმა ე. წ. „ინტერნაციონალურმა“ ნაღმმა, ლეგალურად აქცია ყოველივე ის, რაც ათეულობით წლის მანძილზე აფხაზეთში არალეგალურად მიმდინარეობდა. უფრო მეტიც, ყოველივე ამან ხელ-ფეხი გაუხსნა სეპარატისტულ მოძრაობას დანარჩენ საქართველოში. „აფხაზური პრობლემა“ ამოვარდა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სივრციდან, იგი საერთო საკავშირო „საზრუნავი“ გახდა, რაც მოგვიანებით ტრაგიკული შედეგების მომტანი აღმოჩნდა ქართველებისა და აფხაზებისთვისაც[1].

ამ დროს აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობაში ერთმანეთს ებრძოდა ორი მიმდინარეობა. ანტიქართული, რომლის სულისჩამდგმელი იყო ყველა ჯურის კარიერისტებისა და მაქინატორების მფარველი საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ხვარცკია.

მ. ხვარცკიას გარშემო შემოკრებილ კომუნისტთა მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე

[1] **ი. კვესელავა**, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

გახდა ვ. მჟავანაძის მმართველობის ხანაში. ფართოდ გაშლილი კორუფცია აფხაზეთში განსაკუთრებით სიმწვავით გამოვლინდა, რადგან იგი კადრების არასწორი შერჩევისა და განაწილების პრინციპს გადაეჯაჭვა. იმ დროს ავტონომიური რესპუბლიკის უმცირესობის – აფხაზთა 15%-ის ხელში იყო ნომენკლატურულ თანამდებობათა ორი მესამედი. ბრძოლამ „თანამდებობისათვის“ უმთავრესად ანტიქართული ხასიათი მიიღო, რაც სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოთა ნორმალურ მუშაობაზე დამღუპველად მოქმედებდა. ამის შედეგად მართლმსაჯულება დაშლის პროცესს განიცდიდა, ხოლო კორუფციის ზრდამ შეუძლებელი გახადა ეფექტური ბრძოლა ვ. კობახიას მფარველობის ქვეშ მყოფ საქმოსანთა და მაქინატორთა წინააღმდეგ. სამწუხაროდ, საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა ამ რთულ ვითარებაში ვერ გაერკვა და მცდარ გზას დაადგა. მდგომარეობის განსამუხტავად 1973 წელს ერთდროულად გაანთავისუფლეს როგორც კობახია, ასევე ხვარცკია.

საქართველოს კომპარტიის და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ აღნიშნული შეცდომა უფრო გააღ-

რმავა. 1976 წელს აფხაზეთის საოლქო XXXIII პარტკონფერენციაზე იაფი ავტორიტეტის შეძენის მიზნით ვ. ხინთბამ 1967 წლის ანტიქართული გამოსვლების მონაწილეთა რეაბილიტაცია მოახდინა, ხოლო თვით გამოსვლების ფაქტი კი ვ. მჟავანაძის მცდარი საკადრო პოლიტიკის კურსს გადააბრალა. რეაბილიტაციით წაქეზებულმა პროვოკატორებმა თავისი ზრახვების განსახორციელებლად 1977 წლის დეკემბერში წერილით მიმართეს საბჭოთა კავშირის სადირექტივო ორგანოებს, რომელშიც ე. შევარდნაძეს აფხაზი ხალხის მიმართ ბერიას პოლიტიკის გატარებაში დასდეს ბრალი და ამის საფუძველზე მოითხოვეს აფხაზეთის გამოყოფა საქართველოდან და რსფსრ-ის შემადგენლობაში შეყვანა. ამ გზით აფსუა პროვოკატორები აპირებდნენ თავისი ძირითადი მიზნის – აფხაზეთიდან ქართველთა განდევნის გეგმის განხორციელებას.

1978 წლის მარტში აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა დაგმო აღნიშნული წერილი და სამი პროვოკატორი ჟურნალ „ალაშარას“ რედაქტორი ჯენია, აფხაზეთის სახლემწიფო მუზეუმის დირექტორი არგუნი და გუდაუთის რაიონული გაზეთის „ბზიფის“ რედაქ-

ტორის მოადგილე ახუბა პარტიიდან გარიცხეს და სამსახურიდან მოხსნეს, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად ისინი პარტიაში და თანამდებობებზე აღადგინეს, ხოლო ვ. ხინთბა გაანთავისუფლეს.

ისარგებლეს რა შექმნილი ვითარებით აფსუებმა 1978 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში უპრეცედენტო ანტიქართული მოძრაობა გაშალეს. გაჩნდა ლოზუნგები „სიკვდილი ქართველებს“, „ძირს ძაღლური ენა“, „ქართველებო წაეთრიეთ აფხაზეთიდან!“ და ა. შ. თუ სადამდე მივიდა მათი თარეში, კარგად ჩანს ქართველების მიერ ე. შევარდნაძისადმი მიწერილი ერთ-ერთი წერილიდან: „ჩვენ გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის მცხოვრები ქართველები, რომელნიც ჩვენს განცხადებას ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებთ, ვთხოვთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, გაგვიწიოს მფარველობა ამავე რაიონში მცხოვრები აფხაზებისაგან“. წერილში მოტანილია მთელი რიგი შემზარავი ფაქტები, რაც ქართველების წინააღმდეგ ხდებოდა. მაგალითად, ლიხნის მცხოვრები დ. ანშბა ქართველებს ხშირად ემუქრებოდა და მოუწოდებდა; „გეყოფათ ცხოვრება აფხაზეთში, წადით აქედან. სანამ

არ დაგხოცავთ“. ეროვნული შუღლის ნიადაგზე, წინასწარი განზრახვით მოკლეს კოლმეურნე გ. ჩალაძე. თოფით ჩასაფრებულმა დ. ანშბამ მძიმედ დაჭრა სოფელ ლიხნის მექანიზატორი რ. მოდებაძე, რის შედეგადაც დაზარალებულოი მეორე ჯგუფის ინვალიდი გახდა და მისი მრავალშვილიანი ოჯახი ფაქტიურად არსებობის გარეშე დარჩა.

1978 წელს აფსუებმა ახალსოფელს სახელი შეუცვალეს და ორჯონიკიძე უწოდეს. კოლმეურნე ა. გოგრიჭიანი მძიმედ დაჭრეს ცეცხლსასროლი იარაღით კისრის არეში. გახშირდა თავდასხმის შემთხვევები, რაც ქართველთა ფიზიკურ განადგურებას ისახავდა მიზნად. მიუხედავად ამისა მართლმსაჯულება სიმართლის მიჩქმალვას ცდილობდა. ზემოთ ჩამოთვლილი ეროვნული შუღლის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულებანი ყოფით შემთხვევებად ჩათვალეს და დამნაშავეებს მინიმალური სასჯელი აკმარეს.

ქართველი ხალხის ეროვნული ღირსების შელახვის მიზნით აფსუებმა შეურაცხყვეს და დაამსხვრიეს რუსთაველის ბიუსტი, რომელიც სოხუმის დრამატული თეატრის შენობაში იდგა. მომხდარი ფაქტი კი ახსნეს ისე, რომ თურმე დამლაგებლებს წმენდის დროს

შემთხვევით გადმოუვარდათ. გაგრაში პროვოკატორებმა რუსთაველის ბარელიეფი დაამსხვრიეს. მათვე დაანგრიეს სოხუმის ცენტრში მდგარი მონუმენტური ქანდაკება, რომელიც ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობას ისახავდა. ამის გარდა აფხაზეთში მასიურად ნადგურდებოდა ქართული ეპიგრაფიკული წარწერები.

ფართოდ გაშლილი ანტიქართული მოძრაობის შედეგად აფხაზეთის კონსტიტუციის მიღება გაურკვეველი ვადით გადაიდო. საკადრო პოლიტიკის კრახი აშკარა გახდა. პროვოკოტორთა მიერ წაქეზებული ბრბოს მოთხოვნის საფუძველზე დაიწყო ქართველთა მასიური მოხსნა სამსახურიდან. შიშით შეპყრობილი საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა ყოველგვარ დათმობებზე მიდიოდა. ამ მხრივ ნიშანდობლივია 1978 წლის 4 მაისს გაგრაში მომხდარი ფაქტი. პროვოკატორთა მიერ დანიშნულმა გაგრის ქალაქკომის პირველმა მდივანმა კვანტალიანმა, რომელსაც მოკვლით დაემუქრნენ, საპირველმაისო დემონსტრაციაზე გამოსვლა ვერ გაბედა, რის შემდეგ მას უბრძანეს „წათრეულიყო გაგრიდან“. კვანტალიანი გაიქცა. პლენუმმა გაგრის ქალაქკომის პირველ მდივნად გულ-

რიფშის რაიკომის პირველი მდივანი, ეროვ-ნებით ქართველი ნაჭყებია აირჩია. 12 საათიც კი არ იყო გასული ნაჭყებიას არჩევიდან, როდესაც ძირითადად გუდაუთიდან ჩამო-სულმა ბრბომ ქალაქკომის დაწვის მუქარით, ნაჭყებიას მოხსნა მოითხოვა. სასწრაფოდ ჩა-მოსულმა ე. შევარდნაძემ ქალაქკომის შენობა-ში ქუჩიდან შეყრილ ბრბოს შემდეგი სიტყვე-ბით მიმართა: „ამხანაგებო! მოხდა შეცდომა. პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნის არ-ჩევისას ჩვენ ავჩქარდით. ჩვენს შეცდომას ჩვენვე გამოვასწორებთ. თქვენ გაგრის ქალაქ-კომის პირველ მდივნად გსურთ აფხაზი? – აი, აფხაზი – ასენიკო კონსტანტინეს ძე გვა-რამია, გუდაუთის რაიკომის პირველი მდივა-ნი. ჩვენ მას გინიშნავთ გაგრის რაიკომის პირველ მდივანდ“.

ეს იყო სკკპ ისტორიაში პარტიის წესდე-ბის უპრეცედენტო დარღვევა. პლენუმის მი-ერ არჩეული საქალაქო კომიტეტის მდივანი ბრბოს მოთხოვნით გადაყენებულ იქნა და შეიცვალა უკანონოდ დანიშნული პირით. გუ-დაუთაში კი გვარამიას ნაცვლად მოვიდა ოზგანი. გვარამია და ოზგანი „მუშაობას“ შე-უდგნენ; გუდაუთის რაიონში ნომენკლატუ-რული თანამდებობებიდან მოიხსნა ფაქტიუ-

რად ყველა ქართველი. გაგრაში იგივე მოღვაწეობა გააჩაღა გვარამიამ, რომელიც ქართველი ეროვნების კადრებს ხსნიდა პროვოკატორის და ცნობილი მაქინატორის ბ. კეხირიდას მიერ შედგენილი სიის მიხედვით. აფსუების ძალისხმევით სოხუმის ქალაქკომის ყველა ქართველი მდივანი აფხაზებით შეიცვალა. ქართული ეროვნების კადრები გამოყარეს სოხუმის ქალაქის საბჭოდან და სხვა დაწესებულებებიდან. ქართველთა დევნამ არნახული მასშტაბები მიიღო. განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა გაგრის, გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიონებში.

აფხაზეთში შექმნილმა არანორმალუმა მდგომარეობამ ფართო გამოძახილი ჰპოვა მთელ საქართველოში. ანტიქართული მოძრაობა ქართველმა ერმა სავსებით სწორად მოსკოვიდან გარკვეული ძალების მიერ ინსპირირებულად აღიქვა. ყოველივე ამან ქართველებსა და რუსებს შორის ურთიერთობა გაამწვავა.

1978 წლის 11 ივნისს თბილისში მთავრობის სახლის წინ მანიფესტაცია მოეწყო, მანიფესტაციის მონაწილეები აფხაზეთში ქართველთა დევნის შეწვყეტას მოითხოვდნენ. საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობამ

მღელვარების დაწყნარების მიზნით მთელ რიგ დაწესებულებებში ჩაატარა საგანგებო კრებები, სადაც შევარდნაძე ხალხს არწმუნებდა, რომ აფხაზეთში ახლო ხანებში წესრიგი აღდგებოდა, მაგრამ ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა.

1978 წლის 1 სექტემბერს სოფელ ბზიფის ქართულ სკოლაში მისულ ბავშვებს მერხებზე დახვდათ წარწერები „სიკვდილი ქართველებს“, ხოლო სკოლის ეზოში კოცონზე დაწვეს ქართული „დედა ენა“. სკოლამ, მოსალოდნელ უბედურებათა თავიდან ასაცილებლად, ერთი თვით შეწყვიტა მუშაობა, რადგან ბავშვების სიცოცხლე საფრთხეში იყო. ქართველების საპროტესტო გამოსვლების ხელის შესაშლელად საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობის ბრძანებით 2 სექტემბერს რესპუბლიკაში საავტომობილო გზები გადაიკეტა, ხოლო რკინიგზის სალაროებს ბილეთების გაყიდვა აეკრძალა აფხაზეთისკენ მიმავალ მატარებლებზე. ამისდა მიუხედავად 3 სექტემბერს გაგრაში მოეწყო ქართველთა მანიფესტაცია, აქ ჩამოსული შევარდნაძე ხალხს დაპირდა, რომ სულ მალე წესრიგს აღადგენდა. „წესრიგის აღდგენა“ კი იმით დაიწყო, რომ 1978 წლის 5 სექტემბერს საქართველოს

კპ ცკ-ის ბიურომ მიიღო საგანგებო დადგენილება, რომელიც საქართველოში გამოსვლებს კრძალავდა.

ეს დადგენილება თავისი არსით" ანტიკონსტიტუციური იყო, რადგან ახალი ე. წ. საბჭოთა კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად კომუნისტური პარტია, საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში მოქმედებდა. საბჭოთა კონსტიტუცია კი კრძალავდა მხოლოდ ანტისაბჭოთა გამოსვლებს და არა მანიფესტაციებს, რომლებიც „საბჭოთა კანონების" დაცვას მოითხოვდნენ.

აფხაზ სეპარატისტთა მოძრაობა თავისი ბუნებით ანტიქართული და მაშასადამე ანტიკონსტიტუციური იყო – ქართველთა მანიფესტაცია კი გაგრაში საბჭოთა კანონიერების დაცვას ისახავდა მიზნად, და არც საბჭოთა და არც საქართველოს კონსტიტუციების მიერ ხალხისადმი მინიჭებულ უფლებებს არ ეწინააღმდეგებოდა. ამის დასტური იყო მანიფესტაციაზე გამოტანილი ლოზუნგები, რომლებიც ხალხთა მეგობრობისაკენ მოუწოდებდნენ.

საქართველოს ხელისუფალთა დათმობის პოლიტიკამ კდიევ უფრო წააქეზა სეპარატისტები. 1978 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ი. უბილავას დანიშვნას მისი ქართული ეროვნების გამო გამოსვლებითა და მანიფესტაციებით შეხვდნენ. სეპარატისტებმა გარკვეულ მიზანს მიაღწიეს. დაუსჯელნიც დარჩნენ და ი. უბილავაც თავის მარიონეტად აქციეს.

პროვოკატორთა განუკითხავი პარპაშის გამო, ყოველივე ქართული აფხაზეთში იდევნებოდა. „ალაშარას“ გამომცემლობაში მხატვრულ ლიტერატურას გამოყოფილი ჰქონდა 452 თაბახი, აქედან 1979 წელს ქართულ მხატვრულ ლიტერატურას გამოუყვეს 2 თაბახი. პროვოკაციული, ანტიქართული წერილის ერთ-ერთი შემდგენელი, საოლქო კომიტეტის მიერ პარტიიდან გარიცხული და ზემდგომი ორგანოების მიერ პარტიაში აღდგენილი ა. ჯენია ჟურნალ „ალაშარას“ რედაქტორობიდან გამომცემლობა „ალაშარას“ მთავარ რედაქტორამდე აღზევდა. თავისი „დამსახურებისათვის“ აფხაზეთის მწერალთა კავშირის ლიტფონდიდან უკანონოდ მიიღო ოთხოთახიანი ბინა. საკუთარი ორსართულიანი სახლი კი გაყიდა. თავის დროზე ა. ჯენია ალკკ რიგებიდან იყო გარიცხული საწევროს გადაუხდელობის გამო. აი, ეს სპეკულიანტ-პროვოკატორი სდევნიდა ქართველებს. იგი

დემონსტრაციულად ხმას არ სცემდა ქართველი ეროვნების ადამიანებს, მათ შორის მის განმგებლობაში მყოფი გამომცემლობის თანამშრომლებსაც კი.

აფხაზეთის საოლქო კომიტეტი და მინისტრთა საბჭო არ ასრულებდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ის და საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 18 ივნისის დადგენილებას (№ 338), 1975 წლიდან სოხუმში წელიწადში ორჯერ ქართულ ენაზე ალმანახის გამოცემის შესახებ.

ანტიქართულ ხასიათს ატარებდა აფხაზეთის მუზეუმის გამოფენაც. აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში 1979 წელს გამოფენილ სტენდზე მოტანილი სურათები თითქოს ასახავდნენ ძველი წელთაღრიცხვით II საუკუნის აფხაზურ წარწერას. იქვე გამოფენილი იყო ნუსხური დამწერლობით შესრულებული XI საუკუნის ძველი ქართული წარწერები აფხაზეთიდან. დამთვალიერებლებს ისე განუმარტავდნენ, რომ თითქმის მთელი ქართული ძველი წარწერები აფხაზური დამწერლობის ძეგლებს წარმოადგენდნენ. ასევე X საუკუნის ქართული, ისტორიული წყარო „აფხაზ მეფეთა დივანი“ აფხაზურ ისტორიულ წყაროდ საღდებოდა. თითქოსდა აფხაზმა მეფე-

ებმა საგვარეულო მატიანე აფსუას ენაზე შეადგინეს.

ჭეშმარიტებაა, რომ აფხაზური დამწერლობა არ არსებობს. ე. წ. აფხაზური წარწერა სიყალბეა. წყაროებში არ არის არავითარი ცნობები თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე იმ დროს აფხაზთა მოსახლეობის შესახებ. კოლხეთის სამეფოს ამ მიწაწყალზე დასავლურ-ქართული ტომები სახლობდნენ. ცნობილია, რომ აფხაზური ანბანის შექმნის პირველი ცდები XIX საუკუნის II ნახევარში დაიწყო, ხოლო ზემოაღნიშნული სიყალბე პროვოკატორთა ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენდა „აფხაზებში“ ანატიქართული გრძნობების გასაღვივებლად. პროვოკატორები ხომ სულ იმას უმტკიცებდნენ აფხაზ ხალხს, რომ ქართველებმა აფხაზებს წაართვეს ისტორია, დამწერლობა და კულტურა, ხოლო ქართველი ისტორიკოსები კი ამას საგანგებოდ მალავდნენ. იგივე პოლიტიკა ტარდებოდა აფხაზეთის საექსკურსიო ბიუროებში და სხვა მუზეუმებში (ახალი ათონი, ბიჭვინთა).

ანტიქართული პოლიტიკა აფხაზეთში სულ უფრო და უფრო მეტ ძალას იკრეფდა. საკადრო პოლიტიკა მთლიანად დაირღვა. ყველა რგოლის ხელმძღვანელი მუშაკებიდან

ხელმძღვანელ თანამდებობაზე აფხაზთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა და 70%-ს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. ავტონომიური რესპუბლიკის 15% დისკრიმინიაციას უწევდა მოსახლეობის უმრავლესობას – 84%-ს, რომელთა შორის 44% ქართველი იყო.

შექმნილი ვითარების მთელი სიმძიმის მიუხედავად, საქართველოს კომპარტიის ხლემძღვანელობა სიმართლის მიჩქმალვის ძველ გზას დაადგა. 1979 წელს აფხაზეთის საოლქო XXXIV პარტკონფერენციამ ისე ჩაიარა, რომ თითქოსდა აფხაზეთში არაფერი ხდებოდა და ხალხთა მეგობრობა აყვავებას განიცდიდა, რამაც უფრო შეასხა ფრთები სეპარატისტებს. შექმნილი მძიმე ვითარების გამო 1980 წლის აპრილში ქართველმა მოსახლეობამ საგანგებო წერილით მიმართა საქართველოს კპ ცკ-ს. წერილში, რომელსაც ხელს აწერდა 372 მოქალაქე აღწერილი იყო დოკუმენტურად არსებული სიმართლე.

1980 წლის მეორე ნახევარში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ქართული მოსახლეობის დაშინების მიზნით სოფელ ბზიფისხევის მცხოვრებ ყველა ქართველს აფხაზმა მილიციელებმა ჩამოართვეს რეგისტრირებული თოფები და დანები. აფხაზ თანასოფ-

ლელებს კი იგივე იარაღი უკლებლივ დაუ-ტოვეს. აფხაზთა მხრიდან თავდასხმის საშიშ-როება შეიქმნა. ქართველებმა შეძლეს ორი სა-ნადირო თოფის შოვნა და ყოველ ღამეს, ორი ქართველი მორიგეობდა.

1980 წლის 1-6 ივლისს სეპარატისტებმა დაბა ბზიფში მოაწყვეს ხალხმრავალი მიტინ-გი, სადაც გამოიტანეს პროვოკაციული შინა-არსის ლოზუნგები: „ვის ხელში ხარ შენ, საბ-რალო აფხაზეთო“, „საითკენ მიყევხართ შენ მრავალტანჯულო აფხაზეთო!“ ქართველ ხალხს „მენშევიკებს“, „ბერიას მიმდევრებს“ და „ქურდებს“ უწოდებდნენ, ხოლო მეგრელ-სა და სვანებს ქართველი „ასიმილატორებისა-გან“ იცავდნენ. მიტინგის სახელით სკკპ XXVI ყრილობისადმი გასაგზავნად მიღებულ რეზოლუციაში ჩაწერეს: „აფხაზეთში დღეს ბერიას დროზე უარესი ვითარებაა“. „სრულ უნდობლობას ვუცხადებთ საქართველოს კომ-პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქარ-თველოს მთავრობას“, და ამის საფუძველზე მოითხოვეს აფხაზეთის საქართველოდან გა-მოყოფა და რსფსრ-ს შემადგენლობაში შეყვა-ნა.

მოგვიანებით აჩიგვარას რუსთაველის სა-ხელობის მეურნეობაში ცენტრალურ ადგი-

ლას მდგომი რუსთაველის ძეგლი ჩამოხსნეს, მკერდზე გადახერხეს და დამახინჯებულ ბიუსტად ქცეული მიყრუებულ ეზოში გადაიტანეს.

ასევე მოგვიანებით სწორედ „ცენტრის“ მხრივ, ადგილობრივი სეპარატისტული ძალების წაქეზების შედეგი იყო ე. წ. „აფხაზური წერილი“ (1988 წ. ივლისი), რომელიც გაეგზავნა სკკპ XIX პარტკონფერენციის პრეზიდიუმს და შემდგომ ე. წ. „ლიხნის მიმართვა“ (1989 წ. მარტი) საბჭოთა კავშირის ყველა უმაღლეს სამთავრობო და პარტიული ინსტანციებისადმი. ორივე ამ დოკუმენტში საკითხი იდგა საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფის შესახებ, იმ საბაბით, რომ საუკუნეების მანძილზე აფხაზეთს საქართველოსთან არაფერი აკავშირებდა; ადრეც და საბჭოთა ხელისუფლების პირობებშიც აფხაზები ქართველებისაგან მხოლოდ შევიწროებას, „აგრესიას“, „გენოციდს“ განიცდიდნენ. ამიტომ მათთან ცხოვრება შეუძლებელი იყო[1].

აფხაზი სეპარატისტები აცხადებდნენ, რომ ხორციელდება აფხაზთა ძალდატანებითი ასიმილირების პოლიტიკა, ქართველთა

[1] **ე. ხოშტარია-ბროსე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

დემოგრაფიული ექსპანსია. ამის საპასუხოდ კვლავ სტატისტიკას მოუხმობთ. მაგალითად, 1866 წელს სოხუმში მხოლოდ 3 აფხაზი სახლობდა და 3632 ქართველი, 1989 წელს კი 14922 აფხაზი, ქართველი კი – 49460; გუდაუთაში 1886 წელს 184 აფხაზი და 601 ქართველი ცხოვრობდა; 1989 წელს კი (რაიონში) – 30541 აფხაზი და 7699 ქართველი; ოჩამჩირეში 1886 წელს არც ერთი აფხაზი არ ცხოვრობდა. 1989 წელს კი (რაიონში) – 28027 აფხაზი და 31047 ქართველია აღწერილი.

საინტერესოა, რომ 1886 წლიდან 1989 წლამდე აფხაზეთში რუსი მოსახლეობა თითქმის 70-ჯერ გაიზარდა (1216 კაციდან 74914-მდე) ასევე 70-ჯერ და მეტად გაიზარდა სომხური მოსახლეობაც (1090 კაციდან 76541-მდე). გამოდის, რომ საკუთარ სამშობლოში – აფხაზეთში უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში ქართული მოსახლეობა მხოლოდ 3,5-ჯერ გაიზარდა. ასეთივე ტემპით იზრდებოდა აფხაზი მოსალეობაც. რა ექსპანსიაზეა ლაპარაკი მკითხველმა თვითონ განსაჯოს[1].

თუნდაც ჩავთვალოთ, რომ დღევანდელი აფსუები ძველი აფხაზები არიან და ერთად

[1] პოლიტიკა, 1993 №9, გვ. 6.

ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები. ამ შემთხვევაშიც, „როდესაც ერთ ტერიტორიაზე მცხოვრები ორი აბორიგენი ხალხიდან ერთი ითხოვს გამოყოფას, ეს ნიშნავს არც მეტს არც ნაკლებს, ტერიტორიის მისაკუთრებას, ტერიტორიის წართმევას“[1].

პოლიტიკურ-ფინანსური მაფიის მიერ ორგანიზებულ-ინსპირირებული ექსცესი ქართველი ერის შეურაცხყოფა, ცილისწამება, ისტორიის გაყალბება იყო. მოახდინეს რა აფხაზთა არსებითი რუსიფიკაცია, აკრძალეს ქართველ ისტორიკოსთა შრომები და ყველანაირად წააქეზეს ფალსიფიკატორები, რეაქციულმა ძალებმა აფხაზეთის მთავრობა და მოსახლეობის ნაწილი იმ ანტიქართულ აგრეგატად გადააქციეს, რომელსაც მაშინ ჩართავდნენ ხოლმე, როცა საქართველოში ეროვნული მოძრაობა ძლიერდებოდა.

აფხაზური ექსცესი პროვოკაცია იყო, გათვლილი იმაზე, რომ სისხლი უნდა დაღვრილიყო ქართველებსა და აფხაზებს შორის. აფხაზ შოვინისტთა მხრიდან იყო კიდეც ამის მცდელობა, როცა ქვები დაუშინეს ქართველებით სავსე ავტობუსს, მაგრამ ქართველების

[1] **ა. სილაგაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

დიდბუნებოვნების გამო სისხლი არ დაღვრილა[1].

სოფელ ლიხნში ჩატარებულმა შეკრებამ დაძაბა აფხაზ-ქართველთა ურთიერთობა. აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მაშინდელმა მდივანმა ბ. ადლეიბამ ხელი მოაწერა ლიხნის დოკუმენტს.

ქართველმა მეცნიერებმა ამასთან დაკავშირებით დიდი პროტესტი გამოთქვეს. ისინი მოითხოვდნენ გამოქვეყნებულიყო ის ტაბუდადებული ნაშრომები, რომლებიც ობიქტურად აშუქებდნენ აფხაზეთის ისტორიის საკითხებს[2].

რაც აფხაზეთში ხდებოდა, ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა იმ ცალმხრივი, ყოვლად გაუმართლებელი დათმობის პოლიტიკისა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ატარებდა მთელი სამი წლის განმავლობაში. რა ჰქონდა მიზნად საქართველოს მთავრობას, როცა ცალმხრივ პოლიტიკას ატარებდა და იქაც დათმობაზე მიდიოდა, სადაც დასათმობი არაფერი იყო? მხოლოდ ერთი რამ, იმ წუთში დაეშოშმინებინა ხალხი, იმ წუთში დაემყარებინა სიმშვიდე. ამიტომ სათანადო

---

[1] თბილისი, 1989, 30 აპრილი.

[2] იქვე.

შეფასებას არ აძლევდნენ იმ პრეტენზიებს, რომლებიც აშკარად მცდარი იყო. პრინციპულ დიალოგში კი არ ებმებოდნენ და საკითხის მცდარობაზე კი არ ამახვილებდნენ ყურადღებას, არამედ მხოლოდ დათმობაზე მიდიოდნენ. არადა, საჭირო იყო დასაწყისშივე გარკვეულიყო ყოველგვარი გაუგებრობა. ობიექტური, ნათელი, მეცნიერული და ურთიერთპატივისცემით გამსჭვალული მსჯელობის შემდეგ ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილიყო, ვინ ვინ არის და რა რა არის!

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ლიხნის შეკრება ლოგიკური შედეგი იყო ათეული წლების მანძილზე, აფხაზების მიმართ გატარებული ცალმხრივი პოლიტიკისა. ასეთმა ვითარებამ დაარღვია ყოველგვარი პრინციპი თანამდებობების განაწილებაში. აფხაზობა უკვე სოციალურ კატეგორიად იქცა. დაიწყო ქართველების ორგანიზებული დევნა, შევიწროება და ჩაგვრა, რის შედეგადაც ათასობით ხელმოკლე ქართველი, როგორც 20-იან წლებში, იძულებული გახდა აფხაზად ჩაწერილიყო.

მართალია ოფიციალურად არ აღიარებდნენ, მაგრამ კარგად იყო ცნობილი, რომ აფხაზეთის უმაღლეს სასწავლებლებში წლების

მანძილზე აფხაზი ეროვნების სტუდენტებისათვის არ შეიძლებოდა ორიანის დაწერა. თანამდებობის დასაკავებლად საჭირო იყო დიპლომები და ეს საქმეც დიდი ენთუზიაზმით კეთდებოდა.

სასტიკი ტენდენციურობით ტარდებოდა სასამართლო პროცესები. ერთი და იგივე დანაშაულისათვის ქართველი გაცილებით მკაცრად ისჯებოდა, ამ სამარცხვინო კამპანიის შედეგად ბევრი აფხაზის გულში გაღვივდა ზიზღი და სიძულვილი ქართველების მიმართ. ჩვეულებრივ ნორმად იქცა შეურაცხყოფის მიყენება ქართველებისათვის, როცა ისინი ქართულად გაბედავდნენ დალაპარაკებას და სხვა მრავალი. ზოგმა აფხაზმა მეცნიერმა ისიც გადაწყვიტა, ასეთი საქციელი მეცნიერული არგუმენტებით და შრომებით გაემაგრებინა, შეითხზა ისტორიის ყალბი ფურცლები, სადაც ისინი ითვისებდნენ და ამახინჯებდნენ საქართველოს ისტორიას, ქართველი და აფხაზი ხალხების საუკუნოებრივ მეგობრობას. ქართველ ისტორიკოსებს კი ეკრძალებოდათ ჭეშმარიტების დასაცავად ხმა ამოეღოთ. ამ გაუმართლებელი აკრძალვების შედეგად ზოგიერთი აფხაზი მეცნიერის გამოკვლევები გარკვეულ „წარმატებასაც“ აღწევდა. ბევრმა

მათმა თვისტომმა და მეზობელთა ნაწილმაც ირწმუნა თუ როგორ „დაიპყრო“ საქართველომ აფხაზეთი და როგორ „ვჩაგრავდით“ მათ.

შეტევაზე გადმოსულ აფხაზებს თანამდგომნი მრავლად გამოუჩდნენ. თუ ალან ჩოჩიევს საერთოდ რამე დაეჯერებოდა, თურმე „ადამონ ნიხასის“ (სახალხო ტაძარი) წევრები, ისე როგორც მთელი ოსი ხალხი დაძაბულად და თანაგრძნობით ადევნებდა თვალყურს აფხაზეთის მოვლენებს. ჩოჩიევი აფხაზებისადმი გაგზავნილ წერილში მიუთითებდა: „....ჩვენ ამაყი სულის მთიელი ხალხი ვართ, ამ სულის გატეხვა კი ჩვენს გმირობითა და ტანჯვით აღსავსე ისტორიაში მრავალრიცხოვან „სტუმართაგან“ ვერც ერთმა ვერ შეძლო. მით უფრო დღეს ვერ შეძლებს ამას ვერავინ იმათგან, ვინც ფსევდო-რიტორიკული ნაჯღაბნით იკვებება და ეროვნულ ზვიადობის გაცვეთილი დროშით „დაყავი და იბატონეს“ პრინციპით მოქმედებს, მაგრამ ჩვენი ურყევობის საწინდარია ჩვენი მეგობრობა და ჯერჯერობით, მხოლოდ მორალური მხარდაჭერა ჩვენი მამაცი აფხაზი მეგობრებისა და ძმების. ოსეთის ხალხი თქვენ მხარს გიჭერთ, მხარს გიჭერთ ჩვენი ხელმძრვანე-

ლობაც, ოღონდ მას ჯერ არ ჰყოფნის სიმამაცე“[1].

აფსუეთთან დაწყებულმა ეთნოკრიზისმა, რაც პოლიტიკურ კონფლიქტში გადაიზარდა, საქართველოში ენერგიულად დაწყებული ეკონომკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის, შინა სამოქალაქო ომის ტალღაზე გადასვლა სცადა და გარკვეულ მიზანსაც მიაღწია. უხილავი ძალა ცდილობდა და ჩვენი უთავბოლობით აღწევდა კიდეც ეროვნული ენერგიის მისთვის სასურველად წარმართვას.

აფხაზმა ხელმძღვანელებმა საკუთარი ინიციატივით მიაღწიეს მოსკოვიდან საგანგებო კომისიის გამოწვევას. ამ კომისიამ თავის ტენდენციურ დასკვნაში საქართველოს მთავრობასთან მოთათბირების გარეშე (კომისიის შემადგნლობაში არც ერთი ქართველი არ მონაწილეობდა) სცადა ანულირება საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარის ხელმოწერილი დოკუმენტისა აფხაზეთის უნივერსიტეტისგან თბილისის ფილიალის გამოყოფის შესახებ. სწორედ ამ საეჭვო კომპეტენტურო-

[1] **ლიტერატურული საქართველო**, 1989, 26 მაისი.

ბის კომისიის დასკვნა იქცა სისხლისღვრის ერთ-ერთ საბაბად[1].

როგორც არვნიშნეთ, 60-იანი წლებიდან აფხაზები სისტემატიურად მიმართავდნენ საკავშირო ხელისუფლებას საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფის შესახებ, ანუ საქართველოს ერთი ძირძველი კუთხის მიტაცების შესახებ, რაც თავისთავად, არაკანონიერი, ანტიკონსტიტუციური ქმედება იყო. ამ უკანონო მოთხოვნის განხორციელება მათ 1989 წელს უკვე ძალადობით განიზრახეს. 1989 წლის 1 აპრილი აფხაზთაგან დატრიალებული კაცთკვლის უვერტიურად იქცა.

მოვლენები ასე ვითარდებოდა, 1 აპრილს ლესელიძეში ქართველმა მოსახლეობამ ჩაატარა მიტინგი. მიტინგზე ქართველების წინააღმდეგ გამოსულმა გუდაუთის რაიკომის პირველმა მდივანმა – ოზგანმა ასე მიმართა ქართველებს: „წაეთრიეთ ჩემი მიწიდან, შეწყვიტეთ ლაპარაკი ძაღლურ ენაზე“.

როცა მიტინგის მონაწილენი სოხუმში ბრუნდებოდნენ, აფხაზი ექსტრემისტები თავს დაესხნენ მომიტინგეთა ავტობუსს, თავდამსხმელთაგან მეგაფონით ხელში იდგა ოზგა-

[1] აფხაზეთის სისხლიანი ქრონიკები, თბ., 1993, გვ. 41.

ნი, აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნარმანია, მილიციის თანამშრომლები, რომლებიც მხარს უბამდნენ მოიერიშეებს და ქვებითა და ხელკეტებით „გაუმასპინძლდნენ“ მგზავრებს. ამ და სხვა მრავალი ანტიქართული გამოსვლებით აღშფოთებული ქართველი მოსახლეობა გვიან საღამოს შეიკრიბა მილიციის რაიონული განყოფილების შენობის წინ. ვინმე ამიჩბა მანქანით გამოემართა შეკრებილი ხალხისაკენ, განავითარა დიდი სიჩქარე და „გადაუარა“ იქ მყოფ ქავთარაძეს.

15 ივლისამდე კარგა ხნით ადრე აფხაზებმა დაიწყეს იარაღის შეგროვება, რათა 15-ში ქართველებისთვის მოეწყოთ „ფერღანა“. წარმოება-დაწესებულებებში, მეურნეობებში, კოლმეურნეობებში აფხაზი ეროვნების წარმომადგელებს ხელფასიდან უქვითავდნენ 50-100 მანეთს. მოგროვილი ფულით კი ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან უნდა ჩამოეტანათ იარაღი. 13 ივლისს ექსტრემისტებმა მოახერხეს გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ გამოცემის შეწყვეტა. იმავე ღამეს გაანადგურეს 9 აპრილის მემორიალი.

14 ივლისს ალყა შემოარტყეს პირველ საშუალო სკოლას, სადაც დროებით მოთავსე-

ბული იყო თსუ-ს ფილიალი. მეორე დღეს მოალყეებმა კომისიის წევრებს შეუწყვიტეს წყალი და გადაუჭრეს სატელეფონო ხაზები.

იმ ღამეს არ ეძინა მთელ აფხაზურ მოსახლეობას. 15 ივლისი სისხლის ღვრის დღედ იყო დათქმული. ტყვარჩელიდან, გუდაუთიდან, ოჩამჩირის რაიონიდან ორგანიზებულად დაიძრნენ სოხუმისაკენ შეიარაღებული აფხაზები.

15 ივლისს, 10-დან 12 საათამდე სოხუმის პირველი საშუალო სკოლის მოალყეთა რიცხვი 17 ათასამდე გაიზარდა. ამ ხალხის ნაწილი კბილებამდე იყო შეიარაღებული. პარადოქსია, მაგრამ ქართველ მოსახლეობას წინა დღეებში თავის დასაცავად არაფერი მოუმოქმედებია. იმ ღამითაც, როცა ქართველთა ამოსახოცად შეიარაღებული ბანდები დაიძრნენ, ქართველ მოსახლეობას მშვიდად ეძინა.

დღისით-მზისით, ათასობით შეიარაღებული აფხაზი აღგზენბული უსმენდა გამომსვლელთა შეძახილებს: „სიკვდილი ქართველებს“, „მოვაწყოთ მეორე ფერღანა“. მომიტინგეებს იქაურ ხელისუფალთა შიში არ ჰქონიათ, პირიქით, ისინი ერთიმეორეზე მეტად აქტიურობდნენ. აქაოდა, დეზერტირი არავის ვეგონოთ, გასაწირად გამეტებულ ქარ-

თველთა სიბრალული არავინ დაგვწამოსო. აფხაზეთის შეიარაღებული ხელისუფლება შეიარაღებულ აფხაზთა შორის იდგა. აი, ისინიც: კობახია, გოგუა, გვარამია, ოზგანი, ბაღაფში, ტარკილი, ვოზბა, მარხოლია, კეპერიპა და სხვ. პირველი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე იყო, მეორე – აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, მესამე – აფხაზეთის უნივერსიტეტის რექტორი, მეოთხე – გუდაუთის რაიკომის პირველი მდივანი, მეხუთე – ოჩამჩირის რაიკომის პირველი მდივანი, მეექვსე – აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი, მეშვიდე – გაზეთ „ბზიფის“ რედაქტორის მოადგილე, მერვე – აფხაზეთის პროფსაბჭოს განყოფილების გამგე, მეცხრე – სკოლის დირექტორი.

ესენი – ყველანი – „აიდგილარას“ წევრები ან თანამგრძნობელნი და მისი გარედან დამხმარენი იყვნენ. ახლა ისიც „წარმოვიდგინოთ“, აფხაზი ექსტრემისტები ამ ელიტარული წრის წარმომადგენლებს, როდესაც „ბელადებისა“ და „მთავარსარდლების“ როლში იხილავდნენ, ვისი და რიღასი უნდა შეშინებოდათ, რომელი კანონი და სამართალი გაახსენდებოდათ? შედეგმაც არ დააყოვნა.

13 საათზე სასტიკად სცემეს სამ ქართველ მილიციელს, რომლებიც ცდილობდნენ საჭმელისა და წყლის მიწოდებას კომისიის დატყვევებული წევრებისათვის. 14 საათზე სცემეს სკოლის შენობასთან იმავე მიზნით მისულ ქალაქის მილიციის უფროსს რაფავას, ააგლიჯეს სამხრეები, დაუმტვრიეს მანქანა. 19 საათზე შეიჭრნენ სკოლის შენობაში, დაიჭირეს კომისიის 8 წევრი, გაანადგურეს დოკუმენტები, იავარქმნეს რუსთაველის პროსპექტი და ბიუსტი, დალეწეს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასწრაფო დახმარების მანქანები.

ამავე დროს შეიარაღებული ბრბო თავს დაესხა რუსთაველის პარკში შეკრებილ, მომხდარი ამბებით თავზარდაცემულ, უიარაღო ქართველობას, დაიჭრა 40 ადამიანი. უმრავლესობა – ქართველი.

ლურსმნიანი ჯოხებით თავში ცემით აწამეს ვოვა ვეკუა, რომელიც მეორე დღეს საავადმყოფოში გარდაიცვალა. ქალაქში სისხლის ნიაღვარი დადგა. ყოველ სადარბაზოში, ყოველი ქუჩის კუთხეში მკვლელები ჰყავდათ ჩაყენებული. ვინ იცის, როდემდე გასტანდა უდანაშაულო, უიარაღო ქართველების არაადამიანური, მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, სვანე-

თიდან მოსული მაშველთა რაზმი რომ არ გამოჩენილიყო[1].

რატომ მოხდა, რომ ივლისის ტრაგიკული დღეების შედეგად დაღუპულთა შორის არ აღმოჩნდა არც ერთი ნაღდი აფსუა – აფხაზი გვარის კაცი და იყო მხოლოდ ყველა აფხაზი ქართული გვარით: ლასურია, კობახია, ჩქოტუა, კოღონია, კვიწინია... ყოველივე ეს გამოწვეული იყო იმ პრივილეგიებით, რომლებიც მინიჭებული ჰქონდა ამ ერთ მუჭა ხალხს. აფხაზობა აფხაზეთში და ლამის მთელ საქართველოში გახდა სოციალურ პრივილეგიად, უპირატესობად, თუმცა მარტო აფხაზობა როდი კმაროდა აფხაზეთში, პლუს ამას აქტიური ბრძოლა ქართველებისა და ყოველივე ქართულის წინააღმდეგ და კარიერაც გარანტირებული იყო[2].

15 ივლისის ამბებთან დაკავშირებით საკავშირო საინფორმაციო საშუალებანი მიკერძოებულად, არაობიექტურად აშუქებდნენ ფაქტს, ავრცელებდნენ ცრუ ინფორმაციას, ბრალს დებდნენ უდანაშაულო მსხვერპლთ, ხელს აფარებდნენ დამნაშავეებს და ამით

---

[1] **ლიტერატურული საქართველო**, 1990, 13 აპრილი.
[2] აფხაზეთის სისხლიანი ქრონიკები, თბ., 1993, გვ. 164.

ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ, ახალი ტრაგედი-ისაკენ უბიძგებდნენ მოსახლეობას[1].

[1] იქვე, გვ. 40-41.

რატომ აფსუა და არა აფხაზი?

გეოგრაფიულ სახელწოდებათა დიდი სტაბილურობის შესახებ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში რუსი ისტორიკოსი და ეთნოგრაფი ნიკოლოზ ივანეს ძე ნადეჟდინი (1804-1856 წწ.) მიუთითებდა. მისი სიტყვით, „ტოპონიმიკა ეს „მიწის“ ენაა, ხოლო მიწა წიგნია, რომელშიც კაცობრიობის ისტორია გეოგრაფიული ნომენკლატურითაა ჩაწერილი“. „მიწის ენა“ ეხმარება ისტორიკოსს მრავალი საკითხის (ხალხთა მიგრაციების, დასახლებათა წარმოქმნა და სხვ.) გარკვევაში.

გეოგრაფიულ სახელებს ასევე „მიწის ენას“ უწოდებდა პროფ. ი. ფილევიჩიც. რუსეთის ძველი ისტორიის გადმოცემისას იგი მოითხოვდა განსაკუთრებული სიფრთხილითა და სიყვარულით მოკიდებოდნენ ძველ გეოგრაფიულ სახელებს. „მიწის ენა“, – წერდა იგი, – ზოგჯერ უფრო მეტს გვეუბნებოდა, ვიდრე თვით ხალხი თავისი ისტორიის შესახებ... „მიწის ენა“ არ ექვემდებარება ფალ-

სიფიკაციას, მასში ვერაფერს გააყალბებ, ვერაფერს შეთხზავ[1].

დავუშვათ, რომ უძველეს დროშივე „აფხაზები“ თავის თავს „აფსუებს“ უწოდებდნენ, თავის მხარეს კი აფსნის, როგორც ეს ახლაა. მაშინ რატომ გავრცელდებოდა ანტიკურ სამყაროში სახელწოდება აფხაზი – აბაზგი და არა აფსუა – აფსნი?[2]

თანამედროვე აფხაზი აფსუებისა და სადაურობის გარკვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გამოჩენილი რომაელი მწერლის, მეცნიერისა და სახელმწიფო მოხელის პლინიუსის (უფროსის 24-79 წწ.) თხზულებაში („ბუნების ისტორია“ 37 წიგნად) დაცულ ცნობებს აბსოების (ABZOE) შესახებ. ჩვენთვის ცნობილი პლინიუსი პირველი ავტორია, რომელიც აბსოებს და მათ ადგილსამყოფელს აფიქსირებს კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე მდ. ვოლგის შესართავთან – მარჯვენა მხარეზე (აწინდელი ასტრახანის მიმდებარე ტერიტორიაზე)[3].

---

[1] **ვ. გოილაძე**, „მიწის ენა“ მრუდე სარკეში, თბ., 2007, გვ. 4.

[2] **შ. ბადრიძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

[3] **გ. გასვიანი**, აფხაზეთი ძველი და ახალი აფხაზები, თბ., 1998, გვ. 52-53.

ენათმეცნიერმა თ. გვანცელაძემ მიაკვლია რუკას, რომელიც 1561 წელსაა შედგენილი იტალიელი კარტოგრაფი ჯაკოპო გასტალდის მიერ, ამ რუკით დადგინდა, რომ XVI საუკუნეში აფსუები ცხოვრობდნენ მდ. ყუბანის შუა წელში, რომელთა ქვეყანას კარტოგრაფი „ABSVAS PEG“-ს უწოდებს, აქვე მდ. ყუბანის მარცხენა შენაკადთან, ამავე კარტოგრაფს მონიშნული აქვს დაბა-ქალაქი „ACUA“ (ქალაქ სოხუმის ამჟამინდელი აფსუური სახელწოდება). საყურადღებოა ისიც, რომ აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი ამ რუკაზე აღნიშნულია, როგორც სამეგრელოს ოლქი (რეგიონი), ხოლო ამჟამინდელ აფხაზეთს საერთოდ არა აქვს სახელი.

როგორც ჩანს, სხვა მონაცემებთან ერთად, ეს რუკაც ცხადყოფს, რომ აფსუების ძირითადი მასა, XVI საუკუნეში ჯერ კიდევ, ყუბანისპირეთში ცხოვრობდა და შემდეგ გადმოადგილდნენ ისინი ყუბანის სათავეებში და იქიდან აფხაზეთში ჩამოსახლდნენ[1].

მნიშვნელოვანია, რომ სოხუმი (ცხუმი), რომელიც თავადვე იყო თავისივე სახელწოდების საერისთავოს ცენტრი, და, მხოლოდ

---

[1] **გ. გასვიანი**, ქართველი მეცნიერები პავლე ინგოროყვას შეხედულებებზე აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ, თბ., 2003, გვ. 37.

XVIII საუკუნის მიწურულს იქცა აფხაზების (აფსუების), შარვაშიძეობა მიღებული მთავრების რეზიდენციად[1].

აფსუათა „აფხაზებად“ სახელდება ერთეული შემთხვევა არ არის. მსგავსი მოვლენა ხშირია მსოფლიო ისტორიაში. მაგალითად, არაბები ეგვიპტეში დასახლების შედეგად დღეს ეგვიპტელებად იწოდებიან, სლავები მაკედონიაში – მაკედონელებად, ევროპელები – ინგლისელები, ფრანგები, ესპანელები, პროტუგალიელები და სხვ. ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში დასახლების შედეგად დღეს იწოდებიან: ამერიკელებად, მექსიკელებად, ბრაზილიელებად, ურუგვაელებად. აქ მნიშვნელობა არა აქვს ამ ქვეყნების სახელწოდებანი ძველია თუ გვიანი ხანის; მთავარია ადრე თუ გვიან აქ მოსულ-დასახლებული ხალხები ამ ქვეყნების სახელწოდებას რომ უწოდებენ თავიანთ თავს[2].

აფხაზები აფსუებად პირველად რუსმა გენერალმა, როზენმა მოიხსენია. ორი სხვდასხვა წარმომავლობის ხალხის ასეთი გაიგივება, ცხადაია, რუსეთის იმპერიის ინტერესებში შედიოდა. შემდგომ კი, კომუნისტური წნეხის

---

[1] **ბ. ხორავა**, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

[2] **დ. გოგოლაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

ქვეშ მყოფმა ქართველმა კომუნისტებმა სიმართლის თქმა ვერ გაბედეს[1].

გასაკვირია აფსუა ისტორიკოსებისა და, საერთოდ, აფსუა ინტელიგენციის თავგადაკლული მისწრაფება იქითკენ, როგორმე მოატყუონ, გააბოროტონ, გააღიზიანონ და ძმათა მოსაკლავად მახვილი ააღებინონ უბრალო, გაუცნობიერებელ პატიოსან თვისტომთ. უმალავენ რა ნამდვილ ისტორიულ ვითარებას, უაპელაციოდ უმტკიცებენ ხალხს, რომ ტერიტორია, რომელზეც ამჯერად სახლობენ აფსუები, დასაბამიდანვე მათი მიწა იყო (თუმცა ამ მიწას არავინ ედავება), ხოლო იმ ეჭვს, თუ რატომ ლაპარაკობენ ადიღეურად, უფანტავენ ყოვლად მტკნარი სიცრუით: თითქოს ორი საუკუნის წინ აფსუათა ნაწილი აფხაზეთიდან ადიღეს მხარეში „ასახლებულა“, ადგილობრივი მცხოვრებნი გაუადიღელებიათ ანუ გაუაფსუებიათ და თავის ენაზე, რჯულზე, ადათწესზე მოუქცევიათ. ე. ი. აფსუები ადიღედან ჩამოსულები კი არ არიან, რო-

[1] **ნ. ფოფხაძე**, სიმართლე აფხაზეთის შესახებ ყველამ უნდა იცოდეს, გაზ. „ჭეშმარიტების მაძიებელი“, № 2, 2000.

გორც ქართველი მეცნიერები ამტკიცებენ, პირიქით, თურმე მათი შტო ასულა ადიღეში[1].

თვითონ აბაზების მტკიცებით, რაც აკადემიკოსმა ს. ჯანაშიამ დაადასტურა ჯერ კიდევ 1929 წლის მაისში, აბაზა და აფსუა ერთი და იგივეა, უფრო ზუსტად, აფსუა ერთი აბაზურ ტომთაგანია, რომელთა საერთო სახელია აბაზა[2].

XVIII საუკუნის გერმანელი მოგზაური ქრისტიან-რუდოლფ ელიხი, იგივე იაკობ რაინეგსი 1778-1781 წლებში იმყოფებოდა ერეკლე მეორეს კარზე. იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მეტად ღირებულია მისი ცნობები აფსუა-აფხაზების შესახებ. რაინეგსი აღნიშნავს, რომ „აფხაზები“ თავის ქვეყანას **აბაზას** უწოდებენ[3]. „ჩერქეზები და სხვა მეზობლები მას უწოდებენ **ავაზ**-ს და **აუაზ**-ს. ხალხი კი, რომელიც ყუბანზე **აბაზეხი**-ს სახელითაა ცნობილი თავის თავს თვლის აფხაზებისაგან დიდი ხნის წინ გამოყოფილ ახალშენად და მათ ქვეყანას უწო-

---

[1] **გ. ჭელიძე**, ჰეი აფხაზეთო, აფსუს, აფსუავ! წიგნის სამყარო, 1990, 10 ოქტომბერი.

[2] **ზ. რატიანი**, წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო, თბ., 1995, გვ. 54.

[3] **იაკობ რაინეგსი**, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო **გია გელაშვილმა**, თბ., 2002, გვ. 108.

დებს დიდ **აბაზა**-ს, თავის საკუთარ საცხოვრებელს კი **მცირე აბაზას**“[1].

შაფსუღებში ყოფნისას ს. ჯანაშიამ ყურადღება მიაქცია „აფხაზებთან“ მათ მსგავსებას ანთროპოლოგიური და ეთნოგრაფიული ნიშნების მიხედვით. სოფელ აფიფსიფის დათვალიერების შემდეგ მიღებულ შთაბეჭდილებებს მკვლევარი ასე გადმოგვცემს: „დაუსვენებლივ გავემართეთ სოფლის ყრილობაზე აქ ნანახი ტიპები პირწავარდნილი აფხაზებია. მე მეგონა, რომ ზოგიერთს ჩემს სოფლელს ვხედავ-მეთქი. უმრავლესობას წვერი მოპარსული აქვს, მოხუცები კი ატარებენო, მითხრეს. პრონონსი მთლად აფხაზური. თავს ახურავთ ბოხოხი (დაბალი) ან ჰაჯის თავსაბურავი რამდენსამე“[2].

ს. ჯანაშია მსგავსებას ხედავს შაფსუღურსა და აფხაზურ სოფელს შორისაც. მისი დაკვირვებით შაფსუღური სოფელი, როგორც დასახლების ერთეული, მისი ძირითადი ატრიბუტებით (ორღობეებით, სამეურნეო ნააგებობებით, ჭებით...) ისეთივეა, როგორც, აფხაზური სოფელი[3].

---

[1] იქვე.
[2] **ს. ჯანაშია**, შრომები, IV, თბ., 1968, გვ. 63.
[3] **ვ. ითონიშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 103-104.

XIX საუკუნის 20-იანი წლების პირველ ნახევარში აფხაზეთში მყოფი გერმანელი მოგზაური ედუარდ აიხვალდი შემდეგნაირად აღწერს აფსუას გარეგნობას: „აფხაზთა სახის წყობა გამოირჩევა ჩერქეზთაგან; მათი ნაკვთები ნაკლებ სწორია; სახის ფერი მოშავო-ყავისფერი, თმები შავი, ტანი ხმელი, საშუალო სიმაღლის, მაგრამ მოყვანილი. ისინი შეჩვეული არიან სიველურეს, არიან უხეშნი, უნდონი და შურისმაძიებლები. მოსისხლე მტრები არიან მეზობელი მთის ხალხების. არ აქვთ კანონები, არ ეშინიათ თავისი ბატონების და მხოლოდ თავის იარაღს ენდობიან, რომელსაც არასდროს არ იშორებენ. ამავე დროს ისინი, მსგავსად მთის სხვა ხალხებისა, სტუმართმოყვარე და მორწმუნეები არიან. ისინი ჩერქეზებივით იცვამენ“[1].

როგორც აკად. გ. ჩიტაია ბრძანებდა „იმას, რაც ხალხის მეხსიერებამ შემოინახა და თაობიდან თაობას გადასცა, ვერავითარი დოკუმენტი ვერ შეედრება. ხალხის მეხსიერე-

[1] **ედუარდ აიხვალდი**, საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო **გია გელაშვილმა**, თბ., 2005,, გვ. 223-224.

ბა არის ყველაზე სანდო წყარო ისტორიული კანონზომიერების ასახსნელად“[1].

გვარ-სახელების ანალიზს მხარს უჭერს „აფხაზური“ ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის მონაცემებიც. მაგალითად, აფხაზი ფოლკლორისტის ს. ზუხბას სიტყვით, „...ერთგვარი გადმოცემები, რომლებშიც მოთხრობილია, თუ როგორ გადმოსახლდნენ ოდესღაც ჩრდილოეთ კავკასიიდან ან სოჩის ახლომდებარე მიწებიდან წინაპრები, აქვთ ავიძბებს, ზუხბებს, კვიწინიებს, აშვბებს, ბგანბებს, ანუებს და სხვა გვარის წარმომადგენლებს. სოფელ კვიტოულში გვიან მოსულებად მიიჩნევიან საძბას, ჰაშბას, აგრბას წარმომადგენლები. სოფელ ჯგერდაში გვიან არიან მოსულები ავიძბები და სხვ.“[2]

საგულისხმოა, რომ აფხაზურ (აფსუურ) ფოლკლორში საქართველოს სხვა კუთხეთა ფოლკლორისაგან განსხვავებით, არავითარი კვალი არ ჩანს თამარ მეფის, სხვა ქართველი მეფეების. არც „აფხაზთა“ სამეფოს შემქნელის ლეონ II-ს, ან აფხაზთა სამეფოს რომელიმე მეფეს დაუტოვებია კვალი აფხაზურ ფოლ-

---

[1] **ჯ. რუხაძე**, შტრიხები აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას პორტრეტისათვის, თბ., 1993, გვ. 84.

[2] **თ. გვანცელაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

კლორში. აქ სულ სხვა სამყაროა. სულ სხვა ცხოვრებისა და ყოფის რეალიებია, რაც გასაოცარი სულაც არ არის. თვალშისაცემია, რომ აფხაზური ფოლკლორული მასალები გვიანი შუასაკუნეების ისტორიის ანარეკლია მეტწილად (ისტორიულ-ჰეროიკული სიმღერები და თქმულებები), ან შორეული წარსულისა (ნართები, აირგის სიმღერა, აჟვერიფშაა და სხვ.). უფრო სწორად, ისინი, მთის ტომთა პრიმიტიული ყოფისა და რწმენა-წარმოდგენების ამსახველია[1].

აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი – ანტიკური და ადრე შუასაუკუნეების ტოპონიმები ყველა ქართულია. დღევანდელი აფხაზეთის არც ერთი ტოპონიმი არ განეკუთვნება აფსუა-ადიღეურ ენობრივ სამყაროს. ეს კი შემთხვევითი არაა, ეს იმას მოწმობს, რომ დღევანდელი აფსუები გვიან არიან მოსული ქართულ-კოლხურ ქვეყანაში – დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე. ასე რომ არა, მაშინ ისინი ერთ თავის ტოპონიმს მაინც დატოვებდნენ აფხაზეთში ანტიკურ და ადრე შუა საუკუნეების ხანაში. ამა თუ იმ ტერიტორიის უძველესი ტოპონიმიკა კი, ეს არის

[1] **ბ. ხორავა**, დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

არქაულ ეპოქაში აქ მცხოვრები ეთნოსის ენობრივი ანაბეჭდები. ეს კიდევ ერთხელ იმას მოწმობს, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი მკვიდრი – აბორიგენი მოსახლეობა მხოლოდ ქართულ-კოლხური ტომები იყო[1].

რა ტოპონიმები უნდა შეექმნათ აფსუებს, როცა მათი სალაპარაკო ლექსიკის ძირითადი ბაზა ქართული სიტყვებისაგან შეიქმნა. მაგალითად, ადგილი – ა-დგილ, ატამი – ატამა, კალათა – აკალათა, ბორბალი – აბორბალ, ხერხი – ახიარხ, მიზეზი – ამიზეზ, კუთხე – აკუთხვ, სახე – ასახია, ქერი – აქიარ, კიბე – აკიაბ, გემო – აგიამა და სხვ.[2]

აფსუა ქართველს აქართუას უწოდებს, ქართველებს – აქართქუას, საქართველოს – ქირთილას. როგორც ვხედავთ, აფსუასათვის ჩვენი სამშობლოს სახელწოდება ემთხვევა თვით ქართველების საკუთარ სახელწოდებას – საქართველო, ქართველი, ქართველები. აი, ამ ქართული სახელწოდებების აფსუური ფორმაა ქირთილა, აქართუა, აქართქუა[3].

---

[1] **დ. გოგოლაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.
[2] **სპა**, ფ. 14, ანაწ. 26, საქ. 380, ფურც. 19.
[3] **ზ. რატიანი**, წყაროთა ღაღადი ანუ პირიქით საქართველო, თბ., 1995, გვ. 71.

აფსუას საქართველოსთვის ქირთილა შეეძლო დაერქმია მხოლოდ XV საუკუნიდან, როცა ისინი ჩერქეზთა სხვა ტომებთან ერთად კავკასიის მთებს შეეხიზნენ, ხოლო ნაწილი საქართველოს შემოეხიზნა. ამ დროს აფსუამ მეგრელისაგან ისწავლა ქართველისა და საქართველოს სახელწოდება[1]. პარალელურად, უშუალოდ ქართული ენიდან აღნიშნულ ძირთა სესხება უნდა მომხდარიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქართულმა ენამ განიმტკიცა პოზიციები მთელ საქართველოში და გავრცელდა როგორც კულტურისა და ღვთისმსახურების ენა ჩრდილოეთ კავკასიაშიც (შდრ. დიდი რაოდენობით გამოვლენილი ქართული ლექსიკა დაღესტნის ენებში, ნახურში, ოსურში, ყარაჩაულ-ბალყარულში, ჩერქეზულსა და უბიხურში, აგრეთვე ქართული წარწერები ჩრდილოეთ კავკასიის მრავალ რეგიონში გამოვლენილ ეკლესიებზე)[2].

„აფხაზურში“ აფრა ქართული ენიდანაა ნასესხები, ისე როგორც ქართული ნავის – ნიშის დამკვიდრება „აფხაზურ“ ენაში მოხდა „ანიშის“, „ღუზის“ (ხუ, ღუ), „ახუ“, „აღუზის“, „ზღვის“ – „აზღვა“ – სახელწოდებით

[1] იქვე, გვ. 72.
[2] **თ. გვანცელაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

და ა. შ. რუსული „лодка“ და აფხაზური „алодка“, „шхуна“ ინგლისურიდანაა რუსულში შესული – „ашхуна“, „море“ – „аморе“ და სხვა მრავალი საზღვაო ტერმინი და თევზების სახელები აფხაზურში უცხოური ენებიდან და განსაკუთრებით კი, ქართულიდანაა შესული, რაც საყოველთაოდაა ცნობილი. და საერთოდ დადგენილია, რომ აფხაზურში ნაოსნობა-მეთევზეობასთან (და სხვა რიგისაც) დაკავშირებული ტერმინოლოგიის უდიდესი ნაწილი ქართველური ენებიდანაა შესული და აფხაზური ვარიანტები მათგან არის მიღებული[1].

აფსუების სალაპარაკო ენაში მრავალი ქართული სიტყვა რომ დამკვიდრდა, არ მალავდა ე. წ. „აფხაზური ლიტერატურის“ ფუძემდებელი დ. გულია 1921 წლის 15 იანვარს ე. თაყაიშვილისადმი გაგზავნილ წერილში. წერილში მოყვანილი იყო ქართულ-აფხაზური შესატყვისები. უფრო სწორად, ქართულიდან აფხაზურში გადასული სიტყვები:

[1] **ზ. კუტალეიშვილი**, ნაოსნობა-მეთევზეობის ლექსიკა ქართულში, ჟურნ. „მაცნე“, ისტორიის სერია, №1-4, 1997, გვ. 41.

ქართულად	აფხაზურად	შენიშვნა
კანდელი	აკანდელ	ბერძნული IX-X სს.
საკმეველი	ასაკუმალ	უკვე იხმარება
სარკე	ასარკია	
ჯვარი	აჯარ	
ქალაქი	აქალაქ	
მოწაფე	ამაწაფა	
საფარი	ასაფარ	
კალამი	აკალამ	
თავადი	ათაუად	
ორბი	აუარბა	
გამდელი	აგანდალ	
ჭერამი	აჭარამ	
კაკალი	აკაკან	
შაქარი	აშაქარ	ნახსენები აქვს ეფრემ მცირეს
ფარდაგი	აფარდაგ	XI საუკუნეში სპარსულია. შდრ. „ვეფხისტყაოსანში“.

ბევრი სიტყვა შესულია მეგრულიდან:

ქართული	მეგრული	აფხაზური
კიტრი	კინტირი	აკინტრ
მოლაღური	მალაღური	ამალაღურ
კამეჩი	კამბეში	აკამბაშ
მხალი	ხული	ახულ
წებო	ჭობი	აჭაბ
ობობა	ბორბოლი	აბარბალა
წკნელი	ჭინი	აჭან
ისრი (ისლი)	ესირი	აესარ
მაკრატელი	მარკატელ	ამაკრატალი
გოგო	ძღაბი	აძღაბ[1]

ამ ლექსიკის პატრონის შ. ინალ-იფას „აღმოჩენით“, შეიარაღებას აფხაზურად თურმე „აბჯარი“ ეწოდება. ეს სიტყვა „აფხაზურიდან“ საქართველოშიც გავრცელებულა, სადაც შეიარაღების აღსანიშნავად გამოიყენებოდა[2].

სულხან-საბას განმარტებით, „აბჯარი“ ეს ზოგადი სახელი არს ყოველთა საჭურველთა და უფროსად საცვამთა ჯაჭვთა“[3]. გამოჩენილი ქართველი მეცნიერის დავით ჩუბინაშვი-

---

[1] **სახალხო განათლება**, 1990, 26 აპრილი.

[2] **Ш. Инал-ипа**, Очерки по истории брака и семьи у Абхазов, изд. «Абгиза», 1954, с. 212.

[3] **სულხან-საბა ორბელიანი**, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991, გვ. 38.

ლის მიხედვით, „აბჯარი“ (არაბულად ჭებე) სამხედრო საჭურველი, საომარი იარაღი ან ტანზედ ჩასაცმელი ჯაჭვია“[1], რაც არაბების ზეგავლენით შემოვიდა. ან იქნებ აფსუებმა ასწავლეს არაბებს და შემდეგ მათ გააცნეს VII საუკუნეში სხვა ხალხებს?

ისეთი ძველი ისტორიის ხალხს, რომლებიც თურმე აფსუა-აფხაზებია, XVII-XIX საუკუნეებში აღარც კი სცოდნიათ თავიანთი წარმომავლობა. XVII საუკუნის ავტორი არქანჯელო ლამბერტი აფხაზებს აბაშებთან აიგივებს. მისივე ცნობით თურქები აფხაზებს აბასად მოიხსენიებენ[2]. XVIII საუკუნის მოგზაური რაინეგსი შემდეგს აღნიშნავს: „თვით აფხაზთა შეხედულებები თავიანთი წარმომავლობის შესახებ სხვადასხვაა. ერთნი თავის წარმომავლობას არმენიელებიდან თვლიან, მეორენი კი ამის საპირისპიროდ ამტკიცებენ, რომ მათი წინაპრები ეგვიპტიდან მოსულან. როგორც მათ სურთ ისე იყოს, მაგრამ ორივე ხალხი, როგორც დიდი, ისე მცირე აბაზასი ლაპარაკობს ერთი ენის განსხვავებულ დიალექტზე და აქვთ ერთნაირი ჩვევები. სომხურ ენასთან არავითარი მსგავსება არ აქვთ;

---

[1] **დ. ჩუბინაშვილი**, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984, გვ. 4.
[2] **დონ არქანჯელო ლამბერტი**, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1990, გვ. 154.

ის უფრო **ჩერქეზული ენის დიალექტს უნდა წარმოადგენდეს**“[1].

აიხვალდის მოგზაურობის დროსაც აფსუები თავისთავს „თვლიდნენ ძველი ეგვიპტელების ან უკეთ აბისინიელების შთამომავლად; რადგან თავის თავს უწოდებენ **ამენეს**; სხვები კი საპირისპიროდ ფიქრობენ, რომ ისინი სომეხთაგან წარმოსდგებიან“[2].

1830 წელს ბარონმა აშმა დააფიქსირა ლეგენდა აფხაზების აფრიკული წარმოშობის შესახებ. „თვითონ აფხაზები – წერდა აში – არ აზიარებენ წარმოშობის შესახებ გადმოცემას: ზოგიერთები თვლიან, რომ ისინი სომხების შთამომავლები არიან, მეორენი ამტკიცებენ, რომ მათი წინაპრები იყვნენ ეგვიპტიდან ან შეიძლება აბისინიიდან. თავად საკუთარ თავს აფხაზები აბსნეს უწოდებენ“[3].

XVII საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთში იმყოფებოდა დომინიკანელი მისიონერი ჯოვანი ჯულიანო და ლუკა, რომელიც აღნიშნავს, რომ აფხაზების **„ცხოვრების წესი ისეთივეა, როგორც ჩერქეზების... იცვამენ ჩერქე-**

---

[1] **იაკობ რაინეგსი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 108-109.
[2] **ედუარდ აიხვალდი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.
[3] **შ. ინალ-იფა**, აფხაზები, გვ. 37.

ზების მსგავსად“[1] (ხაზგასმა ჩემია – ა. ს.). მიაქციეთ ყურადღება: ეს ხალხი რომ ისტორიული აფხაზები ყოფილიყვნენ და არა იმ ხანებში ჩამოსახლებული, რატომ უნდა ყოფილიყო მათი ცხოვრების წესი იდენტური ჩერქეზებთან? ხაზგასასმელია, რომ ლუკა აფხაზეთში ჩამოსვლამდე ჩერქეზებში იმყოფებოდა რამდენიმე თვის განმავლობაში და სათანადოდ გაეცნო მათ ცხოვრებას. მისიონერი შემდეგ განაგრძობს: აფხაზებს „არა აქვთ არავითარი დაწერილი კანონები და დამწერლობის გამოყენებაც არ იციან. რწმენით ისინი ქრისტიანები არიან, რაიმე ქრისტიანული წეს-ჩვეულების შესრულების გარეშე. ბევრი ჯვარი ვნახე ამ ქვეყანაში“[2].

რომელ მართლმადიდებლობაზე შეიძლებოდა ლაპარაკი გადამთიელ აფსუა „მოძმეების“ მხრიდან, რომელთათვისაც ნამდვილად უცხო იყო აქაური ქართული ქრისტიანული ცივილიზაცია, (XVII ს. 70-იანი წლები) დასავლეთ საქართველოში მყოფი იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის თქმით, ნაცარტუ-

---

[1] **ი. ტაბაღუა**, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, თბ., 1987, წიგნი III, გვ. 170.

[2] **ი. ტაბაღუა**, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, თბ., 1987, წიგნი III, გვ. 170.

ტად აქციეს „მოქვი, ზუგდიდი და მთელი ქვეყანა დიოსკურიიდან ჰიპიუსამდე“[1].

აკად. გიულდენშტედტის დასკვნით „აბაზური“ (აფსუური) და ჩერქეზული ერთი დედაენისაგან არის წარმომდგარი, მაგრამ ისეთ განსხვავებულ დიალექტებად იქცნენ რომ მათ შორის ნათესაობას ადამიანი ყველაფერში ვეღარ იპოვისო. ამავე დროს მას მიაჩნდა, რომ ჩერქეზებს აფხაზებს გარდა არც ერთ სხვა ერთან არავითარი ნათესაობა არ ჰქონდათ. თუმცა აფხაზები და ჩერქეზები ძირითადად ერთსადაიმავე ენას ლაპარაკობენ განსხვავებული დიალექტით[2].

ეჭვს არ იწვევს დღევანდელი აფხაზების ანუ აფსუების ენობრივი ნათესაობა ჩრდილოკავკასიელებთან, მათ შორის ჩერქეზებთან. „ენათა ერთობა კი, როგორც წესი, მიუთითებს წინაპართა ერთობაზეც“[3]. ჩერქეზებთან ნათესაობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ჩერქეზეთში არის სოფელი **აფსუა**[4].

საერთოდ, „თურქები ეთნონიმ „ჩერქეზის“ ქვეშ საკუთრივ ჩერქეზებს გარდა, აფხა-

---

[1] **ზ. პაპასკირი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.
[2] **ივ. ჯავახიშვილი**, თხზ. ტ. X, თბ., 1992, გვ. 17.
[3] Э. Б. Тайлор, Первобытная культура, М., 1989, с. 50.
[4] Л. И. Лавров, Етнография Кавказа, Л., 1982, с. 64.

ზებსაც გულისხმობდნენ“[1]. საინტერესოა, რომ გაზეთი „დროება“ 1875 წლის 63-ე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში აფხაზებს ჩერქეზებად მოიხსენიებს[2].

დიდ ინტერესს იწვევს მიცვალებულის კულტი აფსუებში, „ისინი მკვდრებს, ჩრდილო კავკასიის თანამოძმეთა მსგავსად, ხის კენწეროზე კიდებენ“[3]. ამასთან დაკავშირებით ჯოვანი ჯულიანო და ლუკა აღნიშნავდა: აფხაზები „მიცვალებულს დებენ ხის ფუღუროში, რომელსაც კუბოდ იყენებენ, შემდეგ მიაკრავენ მას ოთხ (დაყენებულ) ბოძზე, იგი თითქმის ჰაერშია ჩამოკიდებული“[4].

ლამბერტის მონაცემებით აფხაზები „მიცვალებულებს როდი მარხავენ, არამედ ჰკიდებენ ხოლმე ხეზე შემდეგის წესით. გამოღარავენ ხის ღერს კუბოს მსგავსად, შიგ ჩასდებენ მიცვალებულს და ვაზის მაგარ ლერწებით ჩამოჰკიდებენ ხის წვერზე. ამავე ხეზე ჩამოჰკიდებენ ყველა იარაღს, რომელსაც მიცვალებული სიცოცხლეში საომრად ხმარობდა, მისი საჯდომი ცხენიც უნდა გაუგზავნოთო, ამბო-

---

[1] **თ. აჩუგბა**, აბხაზთა დასახლება აჭარაში, ბათუმი, 1988, გვ. 23.
[2] **თ. აჩუგბა**, აბხაზთა დასახლება აჭარაში, ბათუმი, 1988, გვ. 14-15.
[3] **გ. გასვიანი**, აფხაზეთი ძველი და ახალი აფხაზები, თბ., 1998, გვ. 50.
[4] **ი. ტაბაღუა**, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

ბენ ჭირისუფლები, რადგან საიქიოსაც ისე დასჭირდება, როგორც აქ სჭირდებოდაო, ამისათვის ცხენს გადააფარებენ აბრეშუმის ქსოვილს და იმ მინდორზე, სადაც მიცვალებულია ჩამოკიდებული, აჭენებენ იმ დრომდე, სანამ დაღლილობისაგან არ მოკვდება.

თუ ცხენი ჩქარა მოკვდა, ამბობენ, რომ პატრონს ძლიერ ყვარებია და მალე წაიყვანაო, და თუ დიდხანს არ მოკვდა, ეს იმის ნიშანიაო, რომ პატრონს არ ყვარებია და დაიგვიანა მისი წაყვანაო“[1].

ასევე, XVII საუკუნის თურქი მოგზაური ევლია ჩელები „აფხაზების“ დაკვრძალვის წესის შესხებ წერდა, რომ „აფხაზები მეტად განსხვავებულად მარხავენ თავიანთ ბეგებს. მიცვალებულებს სდებენ ხის ყუთში და მიამაგრებენ მაღალ ხის ტოტებზე. ყუთის თავსახურს მიცვალებულის თავის სწორა აქვს ნახვრეტი, რომ ბეგს შეეძლოს ცის დანახვა, როგორც ამას აფხაზები ამბობენ. ფუტკრები შედიან ყუთში და თაფლს აკეთებენ. დანიშნულ დროს ყუთს ხსნიან, თაფლს იღებენ და

[1] **დონ არქანჯელო ლამბერტი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 155-156.

ყიდიან. ამიტომ ფრთხილად უნდა იყოთ აფ-ხაზეთში თაფლის ყიდვის დროს“[1].

დაკრძალვის ასეთი წესი აფსუებს XVIII საუკუნეშიც ჰქონიათ. მეცნიერი ბატონიშვი-ლის სიტყვეით, აფხაზები „არა დაჰფვლენ მკვდართა თვისთა, არამედ მისითავე სამკა-ულ-იარაღითა და შესამოსელითა შსთადებენ კუბოთა შინა და შესდგამენ ხეთა ზედა“[2].

ამ საკითხთან დაკავშირებით იოანე ბა-ტონიშვილი „კალმასობაში“ აღნიშნავს, რომ „რომელიმე ამათ შორის წარმართნი მკვდარ-სა დააამარილებდნენ და მაღალს ხეზედ დასდებდნენ და მუნ სიცხისგან გახმებოდნენ მკვდარნი იგი, ვითარცა აწცა არს ჩვეულება აფხაზეთსა შინა“[3].

საინტერესოა, რომ ადიღეელები ეთაყვა-ნებოდნენ ტყეებს, ბუჩქებს, ხეებს. ხეებს შო-რის გამორჩეულად მუხას სცემდნენ თაყვანს, განსაკუთრებით თუ ის მეხნაკრავი იყო. მეხი ღვთაება „შიბლეს“ ხილულ გამოხატულებად ითვლებოდა. მეხით დაღუპულს კი განსა-კუთრებული პატივით კრძალავდნენ. მეხით

---

[1] **გ. ნიორაძე**, მიცვალებულის ჰაერზე დამარხვა, „ენიმკის მოამბე“, №V-VI, თბ., 1940, გვ. 59.

[2] **ვახუშტი**, აღწერა სამეფოისა საქართველოისა, თბ., 1941, გვ. 172.

[3] **ს. ჭანტურიშვილი**, ეთნოლოგია, თბ,. 1993, გვ. 129.

მოკლულს ფიცარნაგზე ასვენებდნენ და მას მაღალ ხეზე ჰკიდებდნენ. მის გარშემო კი სამი დღის განმავლობაში ლხინი და ცეკვა-სიმღერა იმართებოდა, სწირავდნენ ხარს, ცხვარს, ხორცის დიდ ნაწილს კი ღარიბებს ურიგებდნენ. ამ წესს ყოველ წელს იმეორებდნენ, სანამ გვამი მთლიანად არ გაიხრწნებოდა. მეხით მოკლული წმინდად მიაჩნდათ[1].

თითქმის ანალოგიურია მედიჩის ჩანაწერები ყუბანის აბაზებისა და „აფხაზების“ შესახებ. კერძოდ, ავტორი აღნიშნავს: „მეხით მოკლულს თვლიან წამებულად, რომელსაც ღმერთის შვილი დაეცა. 7 დღე და ღამე მხიარულობენ. გარდაცვლილის ცხედარს კიდებენ ხეზე, იმ ადგილას, სადაც მეხი ჩამოვარდა. ხესთან ახლოს ცეკვავენ. 3 დღის განმავლობაში სახლში მხიარულობენ, ამის შემდეგ მიცავალებულს კრძალავენ“[2].

როგორც ჩანს ეს ტრადიცია აფსუებში გვიან პერიოდამდე შემორჩა. თედო სახოკიას დაკვირვებით, რომელმაც XIX საუკუნის ბოლოს იმოგზაურა აფხაზეთში „დიდი ხანი არ უნდა იყოს, რაც აფხაზებმა თავიანთი მიცვა-

---

[1] **რ. თოფჩიშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 37-38.

[2] **ლეონ მელიქსეთ-ბეგი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

ლებულის დასაფლავება დაიწყეს“, ე. ი. რაც გარდაცვლილებს ხეზე აღარ ჰკიდებდნენ[1].

ე. წ. „ჰაერზე დასაფლავება“ მრავალ ხალხში იყო გავრცელებული და არ არის დაკავშირებული აუცილებლად მაზდეანურ რელიგიასთან. დაკრძალვის ასეთი წესი სხვა ფორმებთან ერთად გვხვდება ავსტრალიის აბორიგენებში[2].

მიცვალებულის ხეზე ჩამოკიდება და ან მისი დამარხვა მიწის ზემოთ ასევე გავრცელებული ყოფილა საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებშიც. XII საუკუნის არაბი ავტორის აბუ-ჰამიდ-ელ-ანდალუზის მონაცემებით, ყუბაჩელების წინაპრები მიცვალებულს მაშინვე დაჭრიდნენ, ძვალსა და რბილს ერთმანეთს დააცილებდნენ, ხორცს ერთად მოაგროვებდნენ და მტაცებელ ფრინველებს აჭმევდნენ, ხოლო დასუფთავებულ ძვლებს ჩადებდნენ ტომრებში, ზედ დააწერდნენ მიცვალებულის სახელსა და გვარს და ჩამოკიდებდნენ ჭირისუფლის სახლში.

სტრაბონის გადმოცემით, კასპები, რომლებიც ძველ დროში დაღესტანში ცხოვრობდნენ და რომლებმაც მისცეს სახელწოდება

---

[1] **თედო სახოკია**, მოგზაურობანი, გვ. 402.
[2] **ს. ჭანტურიშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 253.

კასპიის ზღვას, მიცვალებულს გაიტანდნენ სოფლის გარეთ და იქ მიატოვებდნენ, ხოლო შორიდან თვალყურს ადევნებდნენ: თუ მიცვალებულს ფრინველი დაუწყებდა ჭამას, ასეთ მიცვალებულს ბედნიერად ჩათვლიდნენ. თუ მხეცი შეჭამდა – უფრო ნაკლებ ბედნიერად და თუ მიცვალებულს არც ფრინველი და არც მხეცი მიეკარებოდა, მაშინ მას მეტად უბედურად თვლიდნენ.

ტიბეტში და ბჰუტანში მცხოვრები ბუდისტები, მონღოლები და სხვანი გაიტანდნენ მიცვალებულს მინდვრად და იქ ფრინველებს და მხეცებს აჭმევდნენ. ამავე წესით მიწის ზემოთ მარხავდნენ მიცვალებულს ციმბირის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხის მცხოვრები ჩუქჩები და მრავალი სხვა მიცვალებულებს ტყეში აფთრებს აჭმევდნენ. უფრო ძველ დროში კი მიცვალებულს თვით ჭირისუფლები ჭამდნენ და დარწმუნებული იყვნენ, რომ როგორც მიცვალებულის „სული“, აგრეთვე მიცვალებულის კარგი თვისებები მათზე გადმოვიდოდა. ამავე რწმენით ზოგიერთ შემთხვევაში ავსტრალიელი ქალი თავისი მკვდარი შვილის ხორცს თვითონ ჭამდა, ძვლებს ღებავდა და თან ატარებდა.

ფარსებიც მიწის ზემოთ (ჰაერზე) ასაფ-

ლავებენ მიცვალებულებს, რომლებისთვის სპეციალურად აშენებენ უთავსახურო, რომაული ცირკის მაგვარ შენობას. ამ უკანასკნელს ეძახიან დაკხმას ანუ „სახლს დადუმებულთათვის“ და აკეთებენ საცხოვრებელი ბინების მოშორებით, მეტად მწირ ადგილზე. დაკხმას შიგნითა კედლებზე ისეთნაირად მიამაგრებენ მიცვალებულებს, რომ ფრინველებს თავისუფლად შეეძლოთ მათი ხორცის ჭამა, ხოლო ძვლების წაღება კი არა[1].

პოლარულ ნაწილში მცხოვრები კელტები საფლავს აგებდნენ მიწიდან ორი მეტრის სიმაღლეზე. კუბოს აკეთებდნენ მსხვილი კედარის მორებისაგან, რაც ამავე დროს უფრო მეტად სამხრეთულ ტრადიციას წააგავს, ვიდრე ჩრდილოეთისას[2].

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კელტებში ბავშვს წლამდე (უფრო ზუსტად კბილების ამოსვლამდე) სახელს არ არქმევდნენ. გარდაცვალების შემთხვევაში მიცვალებულს კრძალავენ ხეზე და არა მიწაში[3].

როგორც ცნობილია, ჩვ. წ. აღრიცხვამდე III საუკუნის ავტორი აპოლონიოს როდოსე-

---

[1] **გ. ნიორაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 58-59.
[2] **Р. Ф. Итс**, Введение в этнографию, Ленинград, 1994, с. 130.
[3] იქვე, გვ. 129.

ლი „არგონავტიკაში“ გვაწვდის საინტერესო ცნობებს კოლხების ადათ-წესებზე. განსაკუთრებით საინტერესოა დაკრძალვასთან დაკავშირებული ცნობა. მისი გადმოცემით კოლხეთში, მიცვალებულ მამაკაცთა გვამებს ნიშნად პატივისა ხეებზე ჰკიდებდნენ გასახმობად, ქალებს კი მიწას აბარებდნენ[1]. ამასთან დაკავშირებით ნიმფოდორეც მიუთითებს. კერძოდ, „კოლხებს წესად არ ჰქონდათ მამაკაცთა გვამების დაწვა ან დამარხვა; მამაკაცთა გვამებს გამოუქნელ ტყავებში ახვევდნენ და ხეებზე ჰკიდებდნენ, დედაკაცთა გვამებს კი მიწას აბარებდნენ“[2].

არგონავტები, როდესაც კირკეონად წოდებულ ველზე შეჩერდნენ, – აღნიშნავს როდოსელი –

„უხვად იხილეს ძეწნა, ტარიფი – გაშლილ ველზე და მდინარის პირას.

მაღლა ტოტებზე თოკით მიკრული იყო გვამები მიცვალებულთა.

კოლხებს დღესაც კი თავზარსა სცემთ და ცოდვად მიუჩანთ გვამების დაწვა, არც შავ მიწაში მარხავენ კაცსა, რომ ზედ ყორღა-

---

[1] **აპოლონიოს როდოსელი**, არგონავტიკა, თარგმანი და შესავალი წერილი **ა. გელოვანისა**, თბ., 1975, გვ. 31.
[2] იქვე, გვ. 9.

ნი აღმართონ მერე, – ჯერ გაახვევენ ახლად დაკლული ხარის მოუქნელ ტყავში გვამსა და მერე ჰკიდებენ მაღლა ხეებზე, მყუდრო ჭალებში, ქალაქგარეთა. მაგრამ ჰაერის კიდეგან მიწაც იღებს თანაბრად იქ თავის წილსა, რადგანაც ქალებს, რომ მოკვდებიან, მიწის წიაღში აძლევენ ბინას.

ასეთი არის იმ ქვეყანაში მიცავალებულთა დაკრძალვის წესი“[1].

სქოლასტის ჩვენებით, აპოლონიოს როდოსელი ეთნოგრაფიულ ფაქტს კოლხთა პანთეონიდან ნიმფოდორეს თხზულებაში გასცნობია. ნიმფოდორე ალექსანდრიული ხანის მოღვაწე იყო; მიაკუთვნებდნენ თხზულებას „უცხოთა ზნე-ჩვეულებების შესახებ“. ზუსტი ცნობები ნიმფოდორეზე არ მოიპოვება[2].

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს: „უეჭველია ეს ცნობა იმას ამტკიცებს, რომ კოლხები მაზდეიანობის მოძღვრების აღმსარებელნი ყოფილან, იმიტომ რომ მხოლოდ ამ სარწმუნოებაშია აკრძალული ადამიანის გვამის მიწაში დასაფლავება. მხოლოდ იქ არის აკრძალული

---

[1] **აპოლონიოს როდოსელი**, არგონავტიკა, თარგმანი და შესავალი წერილი **ა. გელოვანისა**, თბ., 1975, გვ. 122.

[2] **აპოლონიოს როდოსელი**, არგონავტიკა, გვ. 31, სქოლიო 7.

ადამიანის გვამის ცეცხლით დაწვაც იმიტომ, რომ ცეცხლი წმინდა სტიქიონად ითვლებოდა და არარა უწმინდური მას არ უნდა შეჰხებოდა“[1].

არქეოლოგიური მონაცემებით დღეისთვის საფუძვლიანად არის შესწავლილი ძველი კოლხური კულტურა, რომლის გათვალისწინებით ძნელია ამტკიცო აღნიშნულ ეპოქაში მაზდეანური რელიგიის არსებობა.

ზოგიერთი ავტორი ამ მოვლენას „აფხაზებისა“ და კოლხების სიახლოვით ხსნის[2]. სამეცნიერო ლიტერატურაში არის შეხედულება, რომ „ხეზე დამარხვის წესი კიდევ ერთხელ ადასტურებს გავრცელებულ აზრს საქართველოში ხის კულტის არსებობის შესახებ. ქართველებს ხეები ღვთაებად მიაჩნდათ. აფხაზებს ეს რწმენა ბოლო დრომდე ჰქონდათ დაცული და დიდი მოწიწებით სცემდნენ თაყვანს ხეებს“[3].

გამოდის, რომ ხის თაყვანისცემა მიცვალებულის ხეზე დაკიდებით აიხსნება. მრავალ ხალხში იყო და არის ხის თაყვანისცემა, მაგრამ მიცვალებულის კულტთან არაფერი

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი**, თხზ. ტ. I, თბ., 1979, გვ. 324.
[2] **ს. ჭანტურიშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 98.
[3] იქვე, გვ. 98-99.

აქვს საერთო. დღევანდელი აფხაზები (აფსუეზი) ქართველების ისტორიულ ტრადიციებს არც იცნობენ და არც საერთო აქვთ, რაღა მაინცდამაინც ხეზე მიცვალებულის დაკრძალვის ვითომ კოლხური ტრადიცია გამოჰყოლიათ?

გარდა ამისა, როგორც ცნობილია, აფხაზებმა (აბაზგებმა) ქრისტიანობა VI საუკუნეში იმპერატორ იუსტინიანეს დროს მიიღეს. ნუთუ შეიძლება 1100-1300 წელი ქრისტიანი იყოს ერი და არ იცნობდეს ქრისტიანული აღმსარებლობით გათვალისწინებულ მიცვალებულის კულტს?

აქვე აღვნიშნავთ, რომ დასავლეთ საქართველოს მთავრები XVIII საუკუნის 70-იან წლებამდე (და ზოგ შემთხვევაში შემდეგაც) თავს სულთნის ვასალებად აღიარებდნენ. ამ ვასალობას მეტად თავისებური ფორმა ჰქონდა: არც ერთი მთავარი, **გარდა აფხაზეთის მთავრისა, არ გამაჰმადიანებულა**[1]. და ეს იმიტომ, რომ შერვაშიძეობამიღებული აფსუა არ იყო აფხაზი მთავარი და მისთვის ქართველობა ანუ აფხაზობა გაუგებარი იყო. ძირითად მიზანს წარმოადგენდა

[1] **საქართველოს ისტორიის ნარკვევები**, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 673.

მთავრის მდგომარეობის შენარჩუნება და თვისტომის – აფსუას მხარში დგომა.

მთისწინა და ბარის რეგიონებში ჩამონაცვლებული მთიელები გადაადგილების მიმართულებით თავის კვალს ახალი საგვარო სალოცავების დაარსებით ტოვებდნენ. ჩამოსახლებულთ თან მოჰქონდათ ფსჰუ ნგხას გამონაყოფი წილები და ახალ სამოსახლო ადგილთან ამკვიდრებდნენ[1]. აფხაზი ეთნოგრაფის ლ. აკაბას ცნობით, აფხაზურ საგვარეულოთა უმეტესობა, განსაკუთრებით კი ბარელი აბჟუელები მთელი საგვარეულოსათვის სავალდებულო რიტუალების შესრულების დროს უმაღლეს და უძლიერეს სალოცავად მიიჩნევენ არა მათი განსახლების ადგილის სიახლოვეს მდებარე ქრისტიანულ ტაძრებს (ილორს, მოქვს, ბედიას, დრანდას...), არამედ აბჟუიდან რამდენიმე ათეული კილომეტრით დაშორებულ, მდინარე ბზიფის მაღალმთიან სათავეებთან, ზედ კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე მდებარე ინალკუბას ანუ ფსხუს ხატს, რაც სავსებით ცხადად მიანიშნებს აბჟუელ აფხაზთა წინაპრების ჯერ ბზი-

---

[1] **ს. ბახია-ოქრუაშვილი**, აფხაზთა ეთნოგენეზის საკითხისათვის (საგვარეულო სალოცავები), „კლიო“, № 7, 2000, გვ. 21.

ფის აფხაზეთსა და შემდგომ აბჟუაში მოსვლის მარშრუტს[1].

აფხაზურ ეთნოგენეტურ და გენეოლოგიურ თქმულებათა უმეტესობა არა დაფარული მინიშნებით, არამედ აშკარად და უდავოდ გვამცნობს აფხაზების (აფსუების) ჩრდილო კავკასიიდან დასავლეთ საქართველოს მთაში ჩამოსახლების ფაქტს და ეთნოგენეტურისა და კულტურული კავშირის არსებობას ჩერქეზული წარმოშობის კავკასიელებთან. ამ თვალსაზრისს ეთანხმება „აფხაზური ნართული ეპოსიც“, რომელშიც „აფხაზების“ თავდაპირველი ბინადრობის მხარედ მდ ყუბანის ხეობაა მიჩნეული[2]. სამეცნიერო ლიტერატურაში საფუძვლიანად არის დასაბუთებული, რომ „ნართული ეპოსი მრავალი საუკუნის წინ შექმნილია ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის მიერ“[3].

ცნობილი ოსი მეცნიერი ვ. აბაევი, რომელიც საგანგებოდ სწავლობდა ნართების ეპოსს, აღნიშნავდა: „განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ აფხაზეთში ნართების ეპოსის გავრცელებაზე. 1945 წლამდე კარგა ხნით ად-

---

[1] **თ. გვანცელაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.
[2] **ს. ბახია-ოქრუაშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 3-4.
[3] **რ. თოფჩიშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

რე ჩვენ უკვე ვიცოდით ლიტერატურული მონაცემებით, რომ აფხაზი მომღერლები ოსებისა და ადიღეელთა მსგავსად მღერიან სიმღერებს ნართების ლეგენდარულ გმირებზე. მაგრამ ჩვენ არ გვეგონა, რომ ჩრდილო კავკასიური ეპოსი აფხაზებში ასეთი პოპულარობით სარგებლობდა“.

როდესაც სოფელ აჩანდარაში ვ. აბაევმა მოხუც მჭედელს ლუმან ავიძბას ჰკითხა, იცოდა თუ არა რაიმე ნართების შესახებ, მან უპასუხა: „ნართები ყველამ იცის“[1].

„ნართულ ეპოსს“ „აფხაზები“ აფხაზური კულტურის კუთვნილებად და მის მწვერვალად მიიჩნევენ. იგი მათი განძია, რომელიც ყოველთვის მათივე ეთნიკური ჯგუფის კულტურისა და ყოფიერების რეალიზაციას ეხმარებოდა. ნართული მითების საშუალებით თაობიდან თაობას გადაეცემოდა აფხაზური საზოგადოების ევოლუციური განვითარების ყველაზე გამოუცნობი ხანის ხსოვნა, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო დღემდე ამოუხსნელი რჩებოდა. იგი ყველაზე ადრეული აფხაზური ზეპირსიტყვიერი ძეგლია, რომელშიც არეკლილია აფხაზთა ეთნიკური ის-

[1] **Ш. Инал-ипа,** Памятники Абхазского фольклора, Сухуми 1977, с. 11.

ტორიის ის სპეციფიკური გზა, რომელიც ეპოსის შინაარსში ჩაწვდომით იშიფრება[1].

აფხაზურ ეპოსში არ არის ნახსენები ღმერთი (განსხვავებით ოსურისაგან, სადაც ვხვდებით ღმერთს, ღმერთთა ღმერთს, ქრისტიანობის გავლენით სამოთხესა და ჯოჯოხეთს). აფხაზურმა ნართებმა არ იციან ლოცვა, მსხვერპლშეწირვა. აქ უფრო მეტად დომინირებს – აირგ[2]. გადმოცემით, ოდესღაც ცხოვრობდა ნართების ახლობელი ხალხი აირგი[3]. მათი რწმენით, აირგ – ღმერთების კრებულია, ნადირობის, ტყისა და მთების მფარველი[4].

ოსებმა უფრო გვიან მიიღეს ქრისტიანობა, მაგრამ მათ ნართებში მაინც იგრძნობა ქრისტიანობის გავლენა. აფსუები რომ აფხაზები იყვნენ, მაშინ მათთან უფრო მეტად გამოჩნდებოდა და აისახებოდა ქრისტიანობის ატრიბუტიკა.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩრდილო კავკასიიდან მიგრირებულ ადრეულ ტალღას ნართული ეპოსი ჯერ კიდევ ათვისებული არ

---

[1] **ს. ბახია-ოქრუაშვილი**, აფხაზთა ეთნიკური ისტორიის საკითხები ნართულ ეპოსში, „ანალები“, 2001, № 2, გვ. 21.
[2] **შ. ინალ-იფა**, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.
[3] იქვე, გვ. 31.
[4] იქვე, გვ. 76.

ჰქონდა და ამასთან, ქრისტიანობის მიღებასთან ერთად, ბუნებრივ ასიმილციასაც განიცდიდა. ე. ი. ვინც ქრისტიანდებოდა, იგი „ქართველდებოდა“ კიდეც. სხვა შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, რატომ არ უნდა შესულიყო ქრისტინული ხასიათის თქმულებები აფხაზურ ნართულ ეპოსში. XV საუკუნიდან ჩამოსახლებულ ტრადიციულ, წარმართულ მოსახლეობას კი მხოლოდ არქაული თქმულებები ჩამოჰქონდა, რომელთაც დროთა განმავლობაში ნაწილობრივ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოშობილი მონაცემებიც ემატებოდა. ამ დროიდან ჩამოსახლებული მოსახლეობა საერთოდ არ გაქრისტიანებულა (ან ნაწილობრივ გაქრისტიანდა). ამრიგად, აფხაზებს (აფსუებს), როგორც ჩერქეზული (ადიღეური) წარმოშობის ეთნიკურ ჯგუფს, ნართული თქმულებები მიგრაციამდე, ჩრდილო კავკასიაში უნდა შეეთვისებინა და მხოლოდ შემდეგ ჩამოეტანა სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე[1].

ნართები საკვებად მოიხმარდნენ მარცვლეულს, მისგან გაკეთებულ ღომსა და პურს, მაგრამ თქმულებიდან არ ჩანს, რომ

[1] **ს. ბახია-ოქრუაშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

ისინი მიწათმოქმედნი იყვნენ. ნართები მეომრები და მესაქონლეები იყვნენ. მათი სამყარო მწყემსებისა და მეჯოგეების სამყარო იყო. ყველა ნართი პირუტყვის მოვლითა და მათი გამრავლებით იყო დაკავებული. არქაულ ტექსტებში მათ მსხვილფეხა საქონელი და ცხენები, გვიანდელ მითებში კი – წვრილფეხა პირუტყვიც უჩნდებათ. ე. ი. მათი ეკონომიკის ძირითად დასაყრდენად ბოლომდე მეცხოველეობა რჩება.

ნიშანდობლივია, რომ ადრეულ მითებში აღწერილი გეოგრაფიული გარემო-პირობები, ადგილმდებარეობა, მცენარეული და ცხოველური სამყარო აფხაზეთის რეგიონისათვის დამახასიათებელ ბუნებრივ გარემო პირობებს არ მიესადაგება[1].

„აფხაზი“ ნართები გმირული საქმეებისათვის და სალაშქროდ უმეტესად უსახელო ადგილებში, მთებსა და ტყეებში დადიან (რაც კანონზომიერი უნდა იყოს), მაგრამ ძირითადი მათი სამყოფელი ჩრდილო კავკასია, მდ. ყუბანის ველია. ეპოსში გვხვდება ტოპონიმები, როგორც ჩრდილო კავკასიის – იალბუზი, მდ. ყუბანის ველი, თებერდის ტრამა-

[1] **ს. ბახია-ოქრუაშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

ლი, ქლუხორისა და ნახარის გადასასვლელი და სხვ.[1]

საერთოდ, აფხაზურ ისტორიოგრაფიაში ნართებთან დაკავშირებული საკითხის ტენდენციურმა გადაჭრამ გამოიწვია ნართული ეპოსის აფხაზეთის ტერიტორიაზე წარმოშობისა და ჩამოყალიბების შესახებ მცდარი აზრის გავრცელება. აქედან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ ნართული ეპოსის თქმულებები აფხაზეთის ტერიტორიაზე მხოლოდ ჩამოსახლებულ მოსახლეობას უნდა გაევრცელებინა. ჩვენ აფხაზ მთხრობელებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ თქმულებები მათ თავდაპირველ სამოსახლო ტერიტორიასთან, ვინაობასთან, როგორც ჭეშმარიტი ისტორიული ამბავი, მათ შემოგვინახეს[2].

გეოგრაფიული გარემო პირობების შეცვლის მიუხედავად, ეპოსს ბოლომდე გასდევს პერსონაჟების ადრინდელი ბინადრობის ადგილის ნიშან-კვალი[3].

ამრიგად, აფხაზური ნართული თქმულებების ციკლი პირობითად შესაძლებელია ორ ნაწილად გაიყოს – ჩრდილო კავკასიაში, ჩერ-

---

[1] იქვე.
[2] **ს. ბახია-ოქრუაშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.
[3] იქვე, გვ. 25.

ქეზულ სივრცეში შექმნილ კონსერვატიული ხასიათის თქმულებებად, რომელთაც შემოგვინახეს აფხაზების ვინაობა და მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული გზები, გადასასვლელები; და თქმულებებად, რომელთაც აფხაზეთის გეოგრაფიულ სივრცეში, თანდათანობით „საკუთრივ აფხაზური“ ელემენტები შეიძინეს. „ნართული ეპოსის“ თქმულებებში გაცხადებულია „საიდუმლო“ – მოსახლეობა, რომელიც დღეს თავს აფხაზებს უწოდებს, აფხაზეთის ტერიტორიაზე მიგრაციული გზით არის შეჭრილი და დამკვიდრებული. ნართული ეპოსის ციკლიდან გამომდინარე, სავარაუდებელია ადრეული მიგრაციული ტალღის (შედარებით ახალგაზრდა ნართების) – მდ. ბზიფიდან, სანჭარის გადასასვლელით მთა დიდრიფშსა, სოფლებთან – აჭანდარასა, ლიძავასა, ლიხნთან და სხვ. კავშირი[1].

საერთოდ, აფხაზური ლეგენდები და მრავალი ზეპირი გადმოცემა, რომლებიც აფხაზების ვინაობასა და წარმოშობაზე მოგვითხრობენ, მიგრაციულ პროცესებზეც მიუთითებენ. ამიტომაც ქართველებისაგან განსხვავე-

[1] იქვე, გვ. 26.

ბით, რომლებიც თქმულებებში ტერიტორიის მოსაპოვებლად „მითიურ ძალებს (დევებს, გველეშაპებს და სხვ.) ებრძვიან“, „აფხაზების“ წინაპრები ტერიტორიის მითვისებას სიუჟეტურად ყოფითი ელემენტების, წეს-ჩვეულებების, ქორწინების, მამამძუძეობის და სხვა სოციალური ინსტიტუტების გამოყენებით ცდილობენ, რაც მოსულთ ადგილზე უკვე დამხვდურ მოსახლეობასთან ურთიერთობაში ესაჭირეობათ. თქმულებებში კარგად ჩანს, როგორ მოხერხებულად იყენებენ მოსულები ამ ყოფით ჩვეულებებს, როგორ ათმობინებენ მკვიდრ მოსახლეობას ტერიტორიულ კუთვნილ ნაწილს და ზოგჯერ აძევებენ კიდეც[1].

თითქმის ყველა „დღევანდელი აფხაზური“ გვარის მოსახლეობა, თქმულებებიდან გამომდინარე, თავის წარმომავლობას ჩრდილო კავკასიას უკავშირებს და ფუძე სალოცავად მხოლოდ **ფსჰუ ნგხ**ას (მთა სალოცავს) აღიარებს[2].

როგორც ჩანს, ფსჰუ აფსუების რელიგიაში რთულ კულტურულ ფენომენს წარმოადგენს. მასთან კავშირი მნიშვნელოვანი საფე-

---

[1] **ს. ბახია-ოქრუაშვილი,** აფხაზთა ეთნოგენეზის საკითხისათვის (საგვარეულო სალოცავები), „კლიო“, № 7, 2000, გვ. 4.
[2] იქვე, გვ. 7.

ხური უნდა ყოფილიყო უძველესი წესის ინიციაციაში. საფიქრებელია, რომ საუკუნეების მანძილზე რელიგიურ წეს-ჩვეულებებში იგი წარმოადგენდა ძირითად საყრდენს, რომლის ირგვლივ ყურადღება არ ნელდებოდა. წარმოდგენებში ფსჰუ უკავშირდებოდა ლეგენდარულ თუ რეალურ წინაპრებსაც, რომლებმაც უცნობი გადასასვლელებისადმი შიშის ზღვარი გადალახეს და კავკასიის ქედი გადმოიარეს. საფიქრებელია, რომ მანამდე მათთვის სამყარო აქ, ამ ქედთან მთავრდებოდა, მაგრამ ვინც გაბედა მისი გადმოლახვა, მან ახალ ტერიტორიასთან ერთად აღმოაჩინა ახალი გზა, ახალი ცხოვრების დასაწყისი. გადმოსასვლელის დაძლევისა და პირველი გამარჯვების მოპოვების შემდეგ კი მათ წინაშე გამოჩნდა მოსახერხებელი, დროებით გასაჩერებელი ტერიტორია. ამ ტერიტორიაზე უნდა ჩაყროდა საფუძველი მათ პირველ სოფელს – **ფსჰუს**. სოფელი დღესაც გაშლილია ქედის სამხრეთ კალთაზე, პრტყელფსკერიან ქვაბულში, რომელიც შედარებით გაშლილ ვაკე ადგილს წარმოადგენს („ფსჰუს ველი“) და სამოსახლოდ ვარგისია. მიგრირებული მოსახლეობა მადლობას სწირავდა მთა ფსჰუს, რომელიც თანდათანობით მათი საკ-

რალური ობიექტი და თაყვანისცემის საგანი ხდებოდა. ამასთან, ეს ტერიტორია ფუნქციონალურ-სივრცობრივი რელიკვიის სახეს იძენდა. სალოცავი დღესაც ტაბუირებულია. ამ ადგილებში აკრძალულია ნადირობა, ტერიტორიის საძოვრად გამოყენება; აქაური ცხოველები, ხეები და ბალახები მხოლოდ ამ ღვთაების კუთვნილებაა. ფსჰუს რწმენა სამყაროს თაყვანისცემაა, იგი მათი ძველი და ახალი ბინადრობის ურთიერთდამაკავშირებელია[1].

ფსჰუს მახლობელ სივრცეში ჩამოსახლებულები უკვე იწყებდნენ მომთაბარეობისაგან განსხვავებულ ნახევრად ბინადარ ცხოვრებას... ჯგუფის წევრები აცნობიერებდნენ გვერდი-გვერდ ცხოვრების პირობებში, ერთი მხრივ, საკუთარ ტომთა შორის მსგავსებას და, მეორე მხრივ, განსხვავებას მკვიდრი ქართველური მოსახლეობისაგან[2].

საერთოდ „აფსუა-აფხაზებში“, როგორც ქრისტიანული, ისე მუსულმანური რელიგიის გავრცელების დროსაც, წარმართობას ყოველთვის აქტუალური როლი ეჭირა, რაც XVII-XIX საუკუნეების ევროპელი მოგზაურების

---

[1] **ს. ბახია-ოქრუაშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 7-8.
[2] იქვე, გვ. 9.

აღწერილობებიდანაც კარგად ჩანს. მაგალითად, იაკობ რაინეგსი ვრცლად მოგვითხრობს ამასთან დაკავშირებით. მისი დაკვირვებით: „თითოეულს ამ ხალხთაგან აქვს საკუთარი და განსხვავებული უცნაურობა, რასაც სარწმუნოებას ეძახიან და რომლითაც ის თავის დიდ თუ პატარა ფანტაზიას იმშვიდებს, რადგან მათი ცალკეული სარწმუნოებრივი წესების შესრულება მრავალგვარია.

ძველი ჩვეულების მიხედვით ისინი ყოველწლიურად დღესასწაულობენ გაზაფხულის დღისა და ღამის გათანაბრებას ჭრელი ფერადი კვერცხებით, ლუდის გამოხდით, ჭამა-სმით და ლაღობით. ამ დღეს და აგრეთვე შემდგომ ორ დღეს ისინი მართავენ ცხენების რბოლას, სამხედრო ვარჯიშობას და ერთობიან სხვადასხვა მხიარული ხუმრობებით. ბოლოს, მეოთხე დღეს ანთებენ დიდ კოცონს და მის გარშემო ხტიან და ცეკვავენ; ამ ცეკვისას ყოველი მათგანი ყრის (ცეცხლში) მუჭა ფქვილს, ძველ პურს, მატყლს და მისთანებს; შემდეგ დაღლილი ამ თამაშებისაგან, იშლებიან.

ვერც ერთმა აფხაზმა ვერ ამიხსნა, თუ რას ნიშნავს ეს დღესასწაული, ანდა რა მიზნით ეწყობოდა იგი. ყველა მიმტკიცებდა,

რომ ეს დღე ძველთაგანვე ამ სახით იდღესასწაულება და ამ ჩვევას არასოდეს თავს არ დაანებებენ.

მაისის პირველ დღეებში ისინი იკრიბებიან ხშირ, გაუვალ, მათთვის წმინდა ტყეში, სადაც ხეების მოჭრასაც ვერავინ ბედავს, რადგან ამით ღმერთს შეურაცხყოფენ, რომელიც არსად ისე საზეიმოდ და წარმატებით არ შეასრულებს მათ სურვილებს, როგორც ამ ტყეში... ამავე დროს „ტყის ძმები“ ყვებიან მის შესახებ არაჩვეულებრივ, საკვირველ რამეებს და მოვლენებს, რასაც არც ქრისტიანობასთან და არც მათს სარწმუნოებასთან არავითარი საერთო არა აქვს[1]...

აფხაზების „უდიდესი მოწყალების“ დღესასწაული ემთხვევა შემოდგომის შუა ხანებს და დიდი სიხარულითა და აღტაცებით სრულდება. სახელდობრ, მათ ერთ მთაში აქვთ ბნელი გამოქვაბული, რომელსაც უყურებენ როგორც ძალზე წმინდა ადგილს და მეუდაბნოები მას დიდი გულისყურით იცავენ. ეს არის თავისუფლების ნამდვილი თავშესაფარი; მონა თავისუფლდება, როგორც კი გამოქვაბულში შეაფარებს თავს; მკვლელი გა-

[1] **იაკობ რაინეგსი**, მოგზაურობა საქართველოში, გვ. 110-111.

დაურჩება თავის მდევნელის სასჯელს, თუკი მას მიეცა ბედნიერება მიაღწიოს იქამდე და მეუდაბნოეთა შეუმჩნევლად დაიმალოს. ისინი ფიცს სდებენ ამ გამოქვაბულთან და იცავენ დანაპირებს.

აღნიშნული ზეიმის რამდენიმე დღით ადრე იკრიბებიან ტყესა და ქვახვრელებში გაფანტული მეუდაბნოები (ძმები). ისინი მრავალი ლოცვითა და მარხულობით უახლოვდებიან ამ გამოქვაბულს, რომელსაც **ოგინს** უწოდებენ და საიდანაც იმავე დროს, როცა ხალხი თავს მოიყრის, ასევე **ოგინად** სახლდებული თეთრი ხარი გამოდის. მეუდაბნოეთაგან ყველაზე უხუცესნი და უწმინდესნი, რომელთაც აქვთ საპატიო სახელი **ჰურავაცი**, იჭერენ ამ ხარს და აღტყინებული შეძახილებით შემოატარებენ მას შეკრებილი მამაკაცების გარშემო (ქალები არცერთ დღესასწაულზე არ დაიშვებიან). შემდეგ მას დაკლავენ და უნაწილებენ ხალხს. თითოეული თავის თავს ყველაზე უბედურად ჩათვლიდა, თუკი ამ წმინდა ხორციდან ერთ ძაფს მაინც არ მიიღებდა. ძვლებს დიდი მო-

წიწებით აგროვებდნენ, დიდ ორმოში წვავ-
დნენ და იქვე ჩამარხავდნენ“[1].

XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწ-
ყისში, საფრანგეთის კონსული თბილისში ჟაკ
ფრანსუა გამბა აფხაზეთში ყოფნის დროს ჩა-
ნაწერებში აღნიშნავდა, რომ „აფხაზები ცრუ-
მორწმუნენი არიან“[2].

ამავე საუკუნის 40-იან წლებში გერმანე-
ლი მოგზაური, ასევე თვითმხილველი მორიც
ვაგნერი აღნიშნავს, რომ „აფხაზები უმრავლე-
სობა წარმართია...“[3]

გუდაუთაში ყველაზე მეტი აფსუები იყ-
ვნენ დასახლებულნი. ისინი ჩრდილო კავკა-
სიაში (ყუბანისპირეთსა და მის სათავეებში)
ან წარმართები იყვნენ და უკვე გამაჰმადია-
ნებული თურქეთისა და მისი ვასალის ყირი-
მის ხანის მიერ. ბუნებრივია, ასეთივე იყვნენ
აფხაზეთში ჩამოსახლების შემდეგაც. ამიტომ
იყო, რომ ისინი ვერ იტანდნენ რუსებს და
საერთოდ ქრისტიანებს და ამიტომაც აჯან-

---

[1] **იაკობ რაინეგსი**, მოგზაურობა საქართველოში, გვ. 112.

[2] **ჟაკ ფრანსუა გამბა**, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ფრანგუიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო **მზია მგალობლიშვილმა**, თბ., 1987, გვ. 79.

[3] **მორიც ვაგნერი** საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო **გია გელაშვილმა**, თბ., 2002, გვ. 118.

ყდნენ 1866 წელს რუსეთის წინააღმდეგ, რომლის გამო მრავალ გუდაუთელს მოუხდა (გუმისტელ და სხვა აფსუებთან ერთად) თურქეთში გაქცევა, სამაგიეროდ ე. წ. „სამურზაყანოდან“ თურქეთში არავინ წავიდა მუჰაჯირად. ყველაფერი ეს იმის უდავო მაჩვენებელია, რომ გუდაუთელი აფუსები (ფსხუელების, ახჩიფსხუელების, აიგბების და სხვების სახით ჩრდილოეთში) და XIX საუკუნის მეორე ნახევრის აფხაზეთშიც არასოდეს ქრისტიანები არ იყვნენ – თუ არა ზოგჯერ იძულებით გაქრისტიანებული[1].

აფსუებში XIX საუკუნის ბოლოსაც გავრცელებული იყო მცენარეთა თაყვანისცემა. თ. სახოკიას დაკვირვებით „ზოგი ხე განსაკუთრებით იპყრობდა ადამიანის ყურადღებას: თავისი სიდიდით, თავისი თვისებით ან იმით, რომ განმარტოებით იდგა, სადმე ტრიალ მინდორზე. აფხაზი მოწიწებით გაივლის ხოლმე ასეთს ხესთან, თან ვალდებულია რამ აჩუქოს, შესწიროს და ასე თუ ისე მორჩილება გამოუცხადოს, მისი სიძლიერე აღიაროს. ვინ იცის, რა და რა ხასიათის, რა და რა ფორმის ძღვენსა და შესაწირავს არა ნახავთ

[1] **თ. გასვიანი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 283.

ამ ხეთა ძირში! აფხაზის ფანტაზიას საზღვარი არა აქვს ამ შემთხვევაში. აქ ნახავთ თოხის ნატეხებს, თოფის ლულას, საიაზმეს, სპილენძის ქვაბს, შავ ფულს, ცულის ნატეხს, თუნუქის ბრჭყვიალა ნაჭერს...

ასეთი ხე, გარდა იმისა რომ თავის თაყვანისმცემელთ მფარველობს და იცავს, მოსამართლის როლსაც ასრულებს. მომჩივარნი და დამნაშავენი მასთან მიდიან...“[1]

ყოველმხრივ გაუგებარია ისეთი წარმართული, კონსერვატიული და პრიმიტიული რელიგიური წარმოდგენები ჰქონოდათ ისტორიულ აფხაზებს, როგორიც აქ გვხვდება XX საუკუნის პირველ მეოთხედში. მაგალითად, 1914 წელს სოფელ ჯგერდაში ერთ-ერთმა ოჯახმა „იშვილა“ მათი წარმართული ღმერთი – ოსპი?

აფსუებში გავრცელებული გადმოცემით, თურმე დათვიც შეიძლება ადამიანის ძუძუმტე გახდეს. თუ აფხაზს შეხვდება დათვი და აფხაზი სამჯერ წარმოთქვამს სიყტვას – „ნან“ („დედა!“), მხეცი პირს არ დააკარებს[2].

---

[1] **თ. სახოკია,** მოგზაურობანი, გვ. 402-403.

[2] **Ш. Инал-ипа**, Очерки по истории брака и семи у Абхазов, изд. «Абгиза», 1954, с. 30-31.

შ. ინალლ-იფას თვითონ უნახავს XX საუკუნის 40-50-იან წლებში მოხუცი „აფხაზი“, რომელიც ადრე გარდაცვლილი უფროსი ძმის ცოლის თანდასწრებით თავის მოზრდილ შვილებსაც კი არ ელაპარაკებოდა. მათ არ უშვებდა თავისთან, არ ეძახდა სახელებს, და უფრო მეტიც, პირის დაბანის დროს არ ასხმევინებდა წყალს[1].

ტრადიციისადმი ასეთი კონსერვატიული მიდგომა სწორედ დამახასიათებელი იყო მთიდან ჩამოსახლებულ აფსუათა შთამომავლებისათვის.

თუ ურიცხვ ავტორთა ზღვა მასალას არ ენდობიან აფსუები, რომ ისინი მკვიდრი მოსახლეები არ არიან და ჩამოსული ხალხია ჩრდილო კავკასიის მთებიდან, და რომ ზღვა და ზღვისპირეთი მათთვის საცხოვრებლად უცხო ხილი იყო, მაშინ საკუთარ ფოლკლორს მაინც ჩაუკვირდნენ. აი, ერთ-ერთი საგულისხმო ნიმუში აფსუათა ეპოსიდან, სადაც ღმერთის – აირგის შესახებ ნათქვამია:

„აირგ, შენ მხოლოდ ზღვისპირეთს ძარცვავ

და მთებს უდგეხარ ერთგულ დარაჯად

[1] იქვე, გვ. 16.

და არცა შენი ნავალი, არცა კვალი არა ჩანს...“

ამ საკმაოდ შთამბეჭდავი სტრიქონებიდან, რომლის კომენტარები და ბწკარედული თარგმანი მეცნიერსა და პოეტს ბორის გურგულიას ეკუთვნის, ნათლად ჩანს, რომ აფსუების სამშობლო ზღვისპირეთი კი არა, მთეზია[1].

შემთხვევითი არ არის, რომ XVI-XVII საუკუნეების ევროპელი მისიონერები, რომლებიც თვითმხილველნი იყვნენ აფსუების ყოფისა, იმასაც აღნიშნავდნენ, რომ აფსუებმა მაშინ არ იცოდნენ რა იყო ფული, ქალაქური ცხოვრება, არ გააჩნდათ საოჯახო ავეჯი. როგორც ითქვა, აფსუებს ხომ ზღვის აღმნიშვნელი ტერმინიც არ გააჩნიათ, მას ისინი „აზღვასთან“ ერთად რუსულის გავლენით „ამორესაც“ ეძახიან[2].

პარადოქსია, რომ ზღვის პირას მცხოვრები ხალხი ზღვის პროდუქციას საკვებად არ იყენებდეს. როგორც აღნიშნავდა არქანჯელო ლამბერტი XVII საუკუნის შუა ხანებში, „აფხაზების“ ყოველდღიური საჭმალი იყო: ყვე-

---

[1] **ჯ. ჯანელიძე,** გზა სიმართლისა და გზა სიცრუისა, კრ. „აფხაზეთის სისხლიანი ქრონიკები“, თბ., 1993, გვ. 166-167.
[2] **თ. მიბჩუანი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

ლი, რძე და გარეული ნადირი. „თევზს არა სჭამენ, თუმცა შეეძლოთ ბევრი დაეჭირათ მდინარეებშიც და ზღვაშიც“[1].

XIX საუკუნის დასაწყისში იგივეს იმეორებს მინა მედიჩი: „ისინი საერთოდ არ ჭამენ თევზს... არ იცოდნენ წონა, საზომი ერთეული...“[2]

XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც კარგად ხვდებოდა ზოგიერთი ავტორი, რომ აფხაზ-აფსუები არ იყვნენ აბორიგენი მოსახლეობა. დაკვირვების შედეგად მრავალი მათგანი ობიექტურ შეფასებას აძლევდა „აფსუა-აფხაზების“ ტრადიციებში ზღვასთან გაუცხოების ფაქტებს, რაც, ბუნებრივია, ზღვისპირეთის ისტორიული მცხოვრებლებისათვის არ შეიძლებოდა დამახასიათებელი ყოფილიყო. მაგალითად, 1869 წელს გაზეთ „კავკაზ“-ის 47-ე ნომერში გამოქვეყნდა ა. მაშინას სტატია „აფხაზეთის სოციალური ყოფის ნარკვევები“, სადაც ავტორი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „აფხაზები მიჯაჭვული არიან მიწაზე და მუდმივად ბუდობენ შორეულ მთებში, ისტორიულად ისინი მოცილებული იყვნენ ზღვას, რომ აფხაზური მოსახლეობა ცხოვრობდა

---

[1] **არქანჯელო ლამბერტი**, სამეგრელოს აღწერა, გვ. 155.
[2] **ლ. მელიქსედ-ბეგი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

ძარცვითა და ომით, **არასდროს არ მისდევდა ზღვაოსნობას და მეთევზეობას** (ხაზგასმა ჩემია ა. ს.), რომ ზღვიდან მათ არ შეეძლოთ რაიმე სარგებლობის მიღება, რომ მათთვის ზღვამ გადაინაცვლა ყველაზე უკანა პლანზე და მისდამი განწყობილი იყვნენ, როგორც ჩვენ მთვარისადმი ან რომელიმე პლანეტისადმი“[1]. ამიტომ თევზის რეწვისათვის ნავის გამოყენებაც წარმოუდგენელი იყო. ეთნოგრაფიული მასალებით „აფხაზებს“ საზღვაო ტრანსპორტი საერთოდ არ ჰქონიათ. ნავებს, მხოლოდ სამეკობროდ, თარეშისათვის იყენებდნენ[2].

ტორნაუ, რომელიც კარგად იცნობდა ჩრდილო-კავკასიელთა ყოფა-ცხოვრებას, 1853 წელს სოფელ ანხუაში აფსუა მებატონე სოლომონ მკანბას მონახულების შემდეგ მიუთითებდა „აფხაზებისა“ და ჩერქეზების სახლების იდენტურობაზე[3].

როგორც გადმოგვცემს ინალ-იფა, გოგონებისათვის ცალკე ბინა აფსუა მშობლების სახლში ტრადიციული იყო. ასევე ჰქონდათ

---

[1] **Ш. Инал-ипа,** Абхазы, Сухуми., 1960, с. 177.

[2] **რ. თოფჩიშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 386.

[3] **Ш. Инал-ипа**, Очерки по истории брака и семи у Абхазов, изд. «Абгиза», 1954, с. 83.

„აფხაზების უახლოეს ნათესავებს – ჩერქეზთა ტომებს“[1] (ხაზგასმა ჩემია ა. ს.). არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ აფხაზი (აფსუა) ქალები წარსულში, ჩერქეზების მსგავსად, ხის ფეხსაცმელებს ატარებდნენ[2]. ბევრია საერთო აფხაზებისა (აფსუების) და ყაბარდოელების საქორწინო რიტუალშიც[3].

„აფხაზთა“ სოფელი ლიხნი XIX საუკუნის ბოლოს გაფანტული იყო მთელი 6-7 კილომეტრის მანძილზე ისე, როგორც იმერეთში. მათი სახლი უმეტეს შემთხვევაში ისლით ან გვიმრით დახურულ წნულ ფაცხას წარმოადგენდა. გვიმრითვე გვერდებშებურდული, სითბოსათვის, უიატაკო, უჭერო, უსარკმლო... სინათლე ასეთ ფაცხაში ჭუჭრუტანებიდან შედიოდა. ან იმ ორი კარიდან, რომელიც ერთი წინიდანა ჰქონდა და მეორეც – მის პირდაპირ, უკანიდან.

რაც უნდა ღარიბი ყოფილიყო „აფხაზი“, ასეთი ფაცხა ორი უნდა ჰქონოდა: ერთი სასტუმროდ, მეორე – საჯალაბოდ, და თავის საცხოვრებლად. მთელი ყურადღება აფხაზს

---

[1] **შ. ინალ-იფა**, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.
[2] **შ. ინალ-იფა**, დასახ. ნაშრომი, გვ. 109.
[3] იქვე, გვ. 118.

სასტუმრო ფაცხისაკენ ჰქონდა მიქცეული. მართალია, მორთულობით ვერ დაიკვეხნიდა. აქეთ-იქით ტახტები იდგა, ხშირად შიშველი; ეს ტახტები დასაჯდომიც იყო და დასაწოლიც. სამაგიეროდ, რამდენიმე ხელი ლოგინი მხოლოდ სტუმრისათვის იყო შეკერილი. აფხაზისათვის დიდი სირცხვილი იყო, თუ სტუმარს ვერ დაუხვდებოდა, ვერ გაუმასპინძლდებოდა და ღამეს ვერ გაათევინებდა[1]...

ზოგიერთი „აფხაზი“ თავის ვაჟს წინადაცვეთას უკეთებდა. არ ჭამდნენ ღორის ხორცს. ნათესავები ერთმანეთზე არ ქორწინდებოდნენ. იაკობ რაინეგსის ცნობით „სანამ ცოლს შვილი არ ეოყლება, კაცს არა აქვს უფლება სხვა ცოლი მოიყვანოს; მაგრამ თუ ქალი ოცდაათი წლისაა და უშვილო რჩება, ან კიდევ ხუთი წლის ქორწინების შემდეგ უშვილოდ არიან, მან (ქალმა ა. ს.) საწოლის უფლება დაუთმოს უფრო ახალგაზრდას და თვითონ სხვა საოჯახო საქმიანობას უნდა მოჰკიდოს ხელი.

მათ როგორც ჩაცმაში, ისე ქცევაში ბევრი აქვთ საერთო ჩერქეზებთან; თუმცა ისინი მეურნეები არიან და არა ჩერქზებივით მომთა-

[1] **თ. სახოკია,** მოგზაურობანი, გვ. 397.

ბარენი. ბევრი იქაური ჭაბუკი მიდის ეგვიპ-ტეში, მიეყიდებიან დიდებულებს მონებად, ხოლო ბედნიერი შემთხვევისას მთავრებიც კი ხდებიან“[1].

„აფხაზებში“ გაბატონებული იყო ზოგი-ერთი ძველი ჩვეულება. ასე მაგალითად, მკვლელს გარდაცვლილის ნათესავებისათვის სანაცვლოდ უნდა მიეცა 15 გლეხი და საუკე-თესოდ აღკაზმული ცხენი, ხმალი, თოფი და ორი დამბაჩა. თუ ამას ვერ შეძლებდა, მაშინ მოკლულის ნათესავები მას ჰკლავდნენ. სხვა სახის შურისძიება არ არსებობდა. მხოლოდ სისხლი სისხლის წილ.

ქურდობის შემთხვევაში მომპარავი დაზ-რალებულს უხდიდა ნაქურდალის ორმაგ სა-ფასურს. „ამავე დროს მმართველ მთავარს აძ-ლევდა კაცს“; თუკი მას გლეხი არ ჰყავდა, მაშინ თვითონ უნდა მომსახურებოდა, რო-გორც მონა[2]. საინტერესოა, რომ არქანჯელო ლამბერტი აფხაზებს „სახელგანთქმულ“ ქურ-დებად მიიჩნევს[3].

აფხაზეთში ბევრგან ამზადებდნენ თო-ფებს, ხმლებსა და ხანჯლებს თურქეთიდან

---

[1] **იაკობ რაინეგსი,** მოგზაურობა საქართველოში, გვ. 110.
[2] **ედუარდ აიხვალდი,** საქართველოს შესახებ, გვ. 219.
[3] **დონ არქანჯელო ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა, გვ. 127.

ან სოხუმ-კალედან შემოტანილი რკინისაგან. აფხაზები კარგ ფოლადს ადნობდნენ და იცოდნენ თოფების მოსავარაყებლად ვერცხლისა და ოქროს მოსავადება. ყოველ სახლში ამზადებდნენ სქელ, ნაცრისფერ და ყვითელ თავშალს, აგრეთვე ბეწვის პალტოს, ტილოს თუქრული ბამბისაგან და ა. შ.[1]

საქონლის უმეტესობა შემოქონდათ ბათუმისა და ტრაპეზუნტის ნავსადგურებიდან, მეტწილად რკინა, მარილი, ყოველნაირი იარაღი, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილები, საფიანი (ტარსიკონი), დენთი და სხვ. სამაგიეროდ „აფხაზები“ უცვლიდნენ თავის მხრივ სიმინდს, წიფლისა და ბზის ხეებს, თაფლს, ცვილს, აგრეთვე ხშირად ტყვეებსაც, რომლებსაც ნაწილობრივ სოხუმ-კალესთან რუსებს, ნაწილობრივ მეგრელებს სტაცებდნენ. მთავარი ვაჭრობა იმართებოდა კოდორის სამხრეთის ტოტის შესართავთან, სადაც ადრე თურქული ხომალდები მოადგებოდნენ ხოლმე.

1827 წლიდან აფსუებმა დაიწყეს სოხუმ-კალეს ბაზარზე ვაჭრობა. აქ ისინი ყიდულობდნენ რკინას, მარილს და სხვა საქო-

[1] **ედუარდ აიხვალდი,** საქართველოს შესახებ, გვ. 225.

ნელს, რომელიც შემოქონდათ სომხებს რე-
დუტ-კალედან.

აფსუებს არ ჰქონდათ საკუთარი მონეტე-
ბი. ისინი ხმარობდნენ უმეტესად ოქროსა და
ვერცხლის თურქულ ფულს. პარალელურად
ბრუნვაში შემოვიდა რუსული ვერცხლის ფუ-
ლიც[1].

უძველესი ქართული ეთნონიმიკისა და
ტოპონიმიკის სემანტიკას კავშირი აქვს რო-
გორც არქაულ მიწათმოქმედებასთან, ისე მე-
საქონლეობასთან. „აფხაზურს“ კი, რომელიც
მთიან მხარეშია წარმოქმნილი, მხოლოდ მე-
საქონლეობასთან[2]. საკუთრივ აფსუური, უმე-
ტესად მიკროტოპონიმები მთიან ნაწილშია
გავრცელებული. მაგალითად, სოფელ ბლა-
ბურხვაში (გუდაუთის რ-ნი) უბანს ეწოდება
ჩერქეზიხუ (ჩერქეზების გორაკი, ბექობი. ხუ
← ახუ „გორაკი“, „ბორცვი“, „ბექობი“); ანუხ-
ვა (სოფელი გუდაუთის რ-ში) – ანგხვა –
„სალოცავი“; და სხვ.[3]

აფსუა იქ ამუშავებდა მიწას, სადაც მოე-
წონებოდა. თანაც იმდენს, რამდენი მოწეული

---

[1] **ედუარდ აიხვალდი,** საქართველოს შესახებ, გვ. 225.
[2] **ს. ბახია-ოქრუაშვილი**, ზოგიერთი დაკვირვება აფხაზეთის ტოპონიმიკაზე, „კლიო“, თბ., №6, 1999, გვ. 135.
[3] იქვე, გვ. 140.

მოსავალიც ერთი წლის განმავლობაში ეყოფოდა. თესავდა სიმინდს (თურქულ ხორბალს), ცოტა ხორბალს, ქერი საერთოდ არ მოყავდა. სიმინდს ისინი უცვლიდნენ თურქ ვაჭრებს მარილზე.

აფხაზეთში, მხოლოდ ერთი წისქვილი იყო სოფელ **სოუკსში**? ყველა დანარჩენ სოფლებში მარცვლეულს ფქვავდნენ ხელის წისქვილით (ქვებით).

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ტანად პატარა, მაგრამ გამძლე ჯიშისა ჰყავდათ. სახნავად უმეტესად იყენებდნენ ხარებს ან კამეჩებს, თუმცა მათ მოშენებას ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას.

ტყეები აფხაზეთში იშვიათი სილამაზით გამოირჩეოდა. ვაზი და თუთა ველურად იზრდებოდა, თუმცა აფსუები მათ მთლიანად არ იყენებდნენ; პატარა, მაგრამ ტკბილი მტევნებიდან ამზადებდნენ მაგარ ღვინოს, ხოლო აქედან კი მაგარ და საკმაოდ სასიამოვნო არაყს[1].

საერთოდ, აფსუა ფიზიკურ შრომას გაურბოდა. თითქმის შუაგულ აფხაზეთში ერთადერთი მრეწველი მაქსიმოვი აწარმოებდა

---

[1] **ედუარდ აიხვალდი**, საქართველოს შესახებ, გვ. 224-225.

ხე-ტყის დამზადებას. ყოველწლობით მასთან 2000-მდე კაცი მუშაობდა. აქ ნახავდით სვანს, რაჭველს, ლეჩხუმელს, გურულს, მეგრელს, „აფხაზს“ კი – არც ერთს. აფხაზი ყოველივე ამას შორიდან უყურებდა სტუმარივით. არც ხელოსნობას მისდევდნენ.

ანალოგიური ვითარება იყო საქონლის მოვლა-მოშენების თვალსაზრისით. თუ ვინმე 5-10 თხას გაიჩენდა, დიდი საქმე იყო.

თ. სახოკიას დაკვირვებით, აფხაზს მხოლოდ ხეხილისა და ვენახის გაშენება უყვარდა. მოხუცი ეზოდან ისე არ გამოვიდოდა, ხელში წალდი არ დაეკავებინა. მყნობის დროს, სადაც პანტას ან მაჟალოს ნახავდა, აუცილებლად დაამყნობდა. ეს ჩვეულება მამიდან შვილზე გადადიოდა. ამით აიხსნებოდა ის გარემოება, რომ „სააფხაზოში“ თვით უდაბურ ტყეშიც კი ნახავდით მშვენიერი ღირსების შინაურ ხილს[1].

ხეხილის გარდა განთქმული იყო აფხაზეთის ვენახები და აფხაზური ღვინო. თავისებური და საამო საყურებელი იყო აქაური ვენახები: გზის ორივე მხარეს უსისტემოდ იყო ჩარიგებული ხურმისა და თხემლის ხე-

[1] **თ. სახოკია**, მოგზაურობანი, გვ. 399-400.

ებზე გადახვეული ვაზები! ამ ორი ჯიშის ხეს აქ „სავაზოდ“ ყველგან უპირატესობა ჰქონდა, რადგან ფოთლები წვრილი აქვთ, მზის სხივები ადვილად ატანს შიგ და ჩქარა ამწიფებს ყურძნის მტევნებს. შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი სოფელი მარტო ყურძნის მოსავლით ცხოვრობდა. ასეთები იყო: აჭანდარა, დურუპში, აბგარა, აცი, ლიხნი, ოთჰარა, ბარმიში, კალდახვარა, ბლაბურხვა და სხვ. ეს სოფლები ღვინის „ბაღდადებად“ ითვლებოდა. საუკეთესო ღვინო დგება ამილახუს ჯიშის ვაზისაგან, რომელიც, როგორც ამბობენ, მთავარს ქართლიდან, ამილახვრის მამულიდან მოუტანინებია. არის კიდევ სხვა ჯიშის ყურძენი. მაგალითად, აღბიში, რომლისგანაც ამილახუზე უკეთესი ღვინო დგება, მაგრამ თითქმის მოსპობილია. უფრო გავრცელებული ჯიშის ყურძნებია: კაჭიჭი (შავი), აპაპყვაჯა (შავი), ავასარხვა (ოქროს ფერი), აჩქიქ, აჟიჰვატა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში აფხაზეთში „ადესის“ ყურძნიც გავრცელდა. ადრე ღორებისათვის თუ ჩამობერტყავდნენ. შემდეგ საბაზრო ხასიათი მიიღო. აქაური ღვინო გაიცნეს ადლერში, შავჩეში (სოჭი), ნოვოროსიისკში, ფოთში, ბათუმში და ა. შ. მეგრელი

ვაჭრები აფხაზეთის სოფლებში ყიდულობ-
დნენ ვენახის მოსავალს. ყურძენს იქვე სწუ-
რავდნენ. დაწურული ღვინო კასრებით მიჰ-
ქონდათ გუდაუთამდე ურმებით, იქიდან გე-
მით ან ნავებით სხვადასხვა ადგილას[1].

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ
შუა საუკუნეების ავტორებისაგან ცნობილი
აფსუათა კულტურული ჩამორჩენილობა (XX
საუკუნემდე), რელიგიური წარმოდგენები,
ფოლკლორი, ზნე-ჩვეულებები ისტორიული
და თანამედროვე აფხაზების არაიდენტურო-
ბის ერთ-ერთი მკაფიო მაჩვენებელია. რუსი
ისტორიკოსი მ. სელეზნიოვი XIX საუკუნის
შუახანებში გაოცებას ვერ მალავდა, მისი აზ-
რით, ნიჭიერი „აფხაზების“ ჩამორჩენილობის
გამო. „საოცარია, – წერდა იგი, – რომ აფხა-
ზებმა, რომლებსაც მუდმივი ურთიერთობა
ჰქონდათ ბერძნებთან, რომაელებთან, ბოსფო-
რელებთან, გენუელებთან, არ გადმოიღეს
იმათგან არც სამოქალაქო მოწყობა, არც გა-
ნათლება, ან მიიღეს რა იგი, ვერ შეითვისეს
თავის ზნე-ჩვეულებებში“.

მ. სელეზნიოვი ვერ მიხვდა, რომ აფსუ-
ებს არასოდეს უნახავთ ბერძნები და რომაე-

[1] **თ. სახოკია**, მოგზაურობანი, გვ. 400-401.

ლები, არ ყოფილან ნაზიარები მათ ცივილიზაციას და შესაბამისად, ვერაფერს გადმოიღებდნენ ამ ხალხებისაგან[1].

აფხაზებს „ინტელიგენციაც არა ჰყავს – აღნიშნავდა თედო სახოკია – ოთხი-ხუთი განათლებული კაციც არ მოეძევა, რომ წინამძღვრობას უწევდეს თავის მოძმეთა, მათი ჭირისა და ლხინის გამომხატველი იყოს“.

1893 წელს სოხუმში პირველად დაარსდა ორკლასიანი რუსული სკოლა. მაგრამ „აფხაზთა“ ცხოვრებას ნირი არ შეუცვლია, არაფერი დატყობია. ხუთი წლის განმავლობაში შეძენილ რუსულ წერა-კითხვას სკოლიდან გამოსული შეგირდი ერთი წლის განმავლობაში თითქმის სრულიად ივიწყებდა. თუ ქალაქში რჩებოდა, მისი იდეალი იყო, სადმე მწერლად შეეყო თავი, ან „სადნიკის“ (ჩაფრის) ეპოლეტი დაეკერებია მხრებზე. ხოლო თუ სახლში ბრუნდებოდა, მოკლე ხნის განმავლობაში იმავე ხელობას იწყებდა, რასაც მეზობელთა შორის ხედავდა.

XIX საუკუნის ბოლოს მრავალ სოფელში გაიხსნა სამრევლო სკოლა. ეს სკოლები ყველაფერს ემსახურებოდნენ გარდა მთავარი

---

[1] **ჯ. გამახარია**, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

დანიშნულებისა – ყრმათა გონებრივი და ზნეობრივი გაწვრთნისა[1].

აკად. ს. ჯანაშიას ეკუთვნის განსაკუთრებული დამსახურება გ. შერვაშიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლაში, მისი კულტურულ-ისტორიული გარემოცვის, ასევე მხატვრული მემკვიდრეობის შეგროვებასა და გადმოცემაში.

გ. შერვაშიძე დაიბადა 1846 წელს სოფელ ლიხნში და გარდაიცვალა 1918 წლის 19 თებერვალს სოხუმში. ამ მართლაც გამორჩეულ პიროვნებას ცნობილი მეცნიერი ბუხუტი ბღაჟბა პირველ აფხაზ მწერლად მოიხსენიებს[2]. მაშინ სად არის აფხაზების ძველი ცივილიზაცია, თუ მათი პირველი მწერალი 1918 წელს გარდაიცვალა?

თავად აფსუების ხელისუფლება თვლიდა, რომ სხვა ეროვნებებთან შედარებით, დაბალი კულტურა ჰქონდათ. 1924 წლის 8 მაისს საქართველოს კპ (ბ) III ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას ნ. ლაკობა ანვითარებს თავის აზრს აფხაზეთის ე. წ. დამოუკიდებლობის შესახებ: „თუ ისტორიული თვალსაზრისით მივუდგებით აფხაზებს, რა თქმა უნ-

---

[1] **თ. სახოკია**, მოგზაურობანი, გვ. 397-398.

[2] **ზ. ბღაჟბა**, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

და, აფხაზეთს არავითარი როლის შესრულება არ შეეძლო კაცობრიობის წინაშე, თუ გინდა იმის გამო, რომ **ამ ხალხს არ გააჩნია არც თავისი ისტორია, არც დამწერლობა და ლიტერატურა**“[1] (ხაზგასმა ჩემია ა. ს.).

1930 წლის იანვარში საბჭოთა კავშირის ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე ტ. ჭანბა აღნიშნავდა, რომ აფხაზებს „**არა აქვთ თავისი კულტურა**“ (ხაზგასმა ჩემია ა. ს.), და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა გზა ეროვნული კულტურის განვითარებისთვის[2].

როგორც ვხედავთ, აფსუებს, რომლებიც უძველეს აფხაზებად თვლიან თავს, თურმე არ ჰქონდათ ეროვნული კულტურა. როგორ კონტექსტშიც არ უნდა იყოს ჭანბას ნათქვამი, ბუნებრივია, სიმართლეს შეეფერება.

თუ დღევანდელი აფხაზები ძირძველი მოსახლეობა და არაქართული ეთნოსია, ნუთუ ამ „უძველესმა ერმა“ საუკუნეთა მანძილზე კულტურის ელემენტებიც კი ვერ შექმნა? XX საუკუნემდე ისე მოსულან, რომ

---

[1] **ვ. ბენიძე**, აფხაზური სეპარატიზმი და მისი შედეგები, „საისტორიო ვერტიკალები“, №2, 2002, გვ. 44.
[2] **სუიცსა**, ფ. 607, ანაწ. 1, საქ. 2400, ფურც. 8ბ.

კვალიც ვერ დატოვეს. აბა რას მივაწეროთ XX საუკუნის მოღვაწე დიმიტრი გულიას აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძისეული შეფასება? მეცნიერი აღნიშნავდა: „დიმიტრი გულიამ შეუქმნა თავის ხალხს ეროვნული ანბანი, ეროვნული მწიგნობრობა, ეროვნული თეატრი, ეროვნული პრესა, ეროვნული მეცნიერება და ეროვნული მხატვრული ლიტერატურე. დიმიტრი გულიამ შეადგინა მისი ხალხის მეცნიერული ისტორია, გააშუქა მისი ენის საკითხები, შეკრიბა, შეისწავლა და მზის სინათლეზე გამოიტანა მისი მდიდარი ზეპირი სიტყვიერება. დიმიტრი გულია იყო აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი და მისი ცოცხალი კლასიკოსი... დიმიტრი გულია იყო წამომწყები და დამაგვირგვინებელი აფხაზური აღორძინებისა“[1].

ვფიქრობთ, ყოველგვარი კომენტარი „ძირძველი აფხაზური კულტურის“ შესახებ ზედმეტია. აფხაზური ანუ ქართული კულტურა კაცობრიობის ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილია. აფსუები ანუ დღეს აფხაზად მონათლული ეთნოსი ის ეროვნებაა, რომელმაც თავისი თვითშეგნება მხოლოდ საქარ-

[1] **ა. ბარამიძე**, ახლო წარსულიდან, თბ., 1983, გვ. 307-308.

თველოში ჩამოსახლების შემდეგ ჩამოაყალიბა, რასაც საკმაო დრო დასჭირდა. თვითშეგნება, რომელმაც სხვისი მიწის მითვისება მთავარ მსოფლმხედველობად აქცია.

დასკვნის მაგიერ

ჩვენ წლების მანძილზე ყურადღებას არ ვაქცევდით ეროვნული პრობლემების მეცნიერულ დონეზე გადაწყვეტას, ვერიდებოდით სიმართლის თქმას ჩვენს ტერიტორიაზე სხვა ხალხთა განსახლების ობიექტური მიზეზების შესახებ. ყველაფერს მხოლოდ და მხოლოდ „ინტერნაციონალიზმის“ პოზიციებიდან განვიხილავდით. ეს თითქმის ბოროტმოქმედების ტოლფასი გახდა და ფილოსოფოსის თქმისა არ იყოს, ერთმა ბოროტმოქმედებამ გზა გაუხსნა მეორეს. ჩვენვე შემოგვიბრუნდა ჩვენი წინაპრის შეგონებით გაუთავებლად ხელმძღვანელობა: „ჩემს მეზობლებთან მტრობასა ისევ მოთმენა ვარჩიე“. სწორედ ამ დათმობა-მოთმენამ, ჩვენდა სამწუხაროდ, კარგი ნაყოფი ვერ გამოიღო[1].

საერთოდ კი, სიკეთის მქმნელობის, სოლიდარობის, ზრუნვისა და დახმარების მიუხედავად, „სხვისი ჭირის“ გამზიარებელ ერს, ხშირად, ჯეროვნად როდი უფასდება სიკეთე, გაწეული ამაგი. ამიტომაც წერდა იაკობ გოგებაშვილი, რომ „...მადლს უმადურობა მოს-

[1] **ა. თოთაძე**, საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი. თბ., 1993, გვ. 84-85.

დევს ხშირად არა მარტო კერძო პირთა შორის, არამედ ერთა შორისაც; მაგრამ ქართველი კი ყოველთვის მოშორებული ყოფილა უმადურობასა და ყველა პატარა ერს მის მფარველობაში შეხიზნულს, ერთიათად გადაუხდიდა ხოლმე მცირეოდენ სიკეთესაც კი და ანიჭებდა მათ სრულ თანასწორობას თავისთანა. მიუხედავად ამისა, ბედი ჩვენ კი სხვანაირად მოგვეპყრო და დიდი სიკეთე უმადურობით გადაგვიხადა...“ ასე ხდებოდა წარსულში, ასე ხდება ამჟამადაც, რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ სიბრძნეს, რომ ისტორია ხალხის ჭკუის მასწავლებელია, იგი გათვალისწინებისათვის იწერება[1].

თავის დროზე მიხეილ ჯავახიშვილმა რელიეფურად აჩვენა, რომ კარს მოგადგება გუდამშიერი და უსახლკარო გადამთიელი. ლუკმა-პურსა და თავშესაფარს გთხოვთ, ერთგულ და მორჩილ მსახურად გიჩვენებთ თავს. გულუბრყვილობის, უნიათობის, უზრუნველობისა და უდარდელობის გამო კარს გაუღებ, ჭერსა და საზრდელს მისცემ. იგი მომძლავრდება, მოღონიერდება, გალაღდება და გათავხედდება. საკუთარი სახლიდან გა-

[1] **შ. ძიძიგური**, ქართული ენის თავგადასავალი, თბ., 1990, გვ. 42.

გაგდებს, შენს მამულს, საქონელს მიითვისებს რატომ და როდის ხდება ეს? როცა მოძალადის თავხედობას და შემოტევას უპირისპირდება ყალბად გაგებული კაცთმოყვარეობა[1].

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ჯაყოობა არის სხვისი ქონების, სიმდიდრის, მამულის, სახლ-კარის, პატივის, სახელის მიტაცება-მითვისება, ქლესაობა, პირფერობა, ორპირობა, ურცხვი უპრინციპობა, სრული უმეცრობა და უკანონობა“[2].

ათწლეულთა განმავლობაში საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში იქმნებოდა სიტუაცია, რომლის დროსაც ქართული მოსახლეობის დისკრიმინაცია – შევიწროების ხარჯზე ფომირდებოდა არაქართველი მოსახლეობის აშკარად პრივილეგიური მდგომარეობა. ამ იმპერიულ პოლიტიკას საბჭოური ინტერნაციონალიზმის დროშით სხვადასხვა დროის საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება დიდის გულმოდგინებით ახორციელებდა. ასეთი პოლიტიკის შედეგად, თითქმის ერთ საუკუნეში, რამდენიმე ქართული რეგიონი წმინდა არაქართულ რეგიონად იქცა და აქ-

---

[1] **ა. ბაქრაძე**, რწმენა, თბ., 1990, გვ. 241.
[2] იქვე, გვ. 235.

ტიურმა არაქართველმა მოსახლეობამ ქართველთა კანონიერი უფლებების აღდგენა საკუთარ უფლებათა შეზღუდვად აღიქვა.

ქართველი ერის ისტორიულ უბედურებად უნდა ჩაითვალოს მისი ინტერნაციონალური ბუნება იმ დამახინჯებული გაგებით, როგორადაც იგი ეპყრობოდა და ეპყრობა ყველა ჯურის გადამთიელს.

სხვა ერებისადმი დამოკიდებულების საკითხში ჩვენმა ზომაგადასულმა სათნოებამ, თვით საქართველოს მტრებისადმიც კი გულთბილმა მოპყრობამ და მათთვის ეროვნული კარის ფართოდ გაღებამ, – სტუმართმოყვარეობის ამ დამახინჯებულმა გაგებამ უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენს ერს[1].

ერთადერთი ქვეყანა ვართ მსოფლიოში, სადაც ნებისმიერი ლტოლვილი თავს მასპინძლად გრძნობს. თავის ენაზე ნათლდება, თავის ტაძარში ლოცულობს, თავის ტაძარში იღებს სულიერ საზრდოს, როცა მსგავსიც არაფერი შეუქმნია არც თავისუფლების სიმბოლოს – საფრანგეთს და არც ინტერნაციონალიზმის „მედროშეს“ რუსეთს.

---

[1] **მ. მჭედლიშვილი**, იმპერიის მარწუხებში, თბ., 1990, გვ. 28.

ჩვენი ტოლერანტული შემწყნარებლობის წყალობის გამო, ქართულ დაბა-სოფლებს ჩამოსახლებულმა უცხო ტომის შვილებმა ისეთი სახელები დაარქვეს ვერც კი მიხვდებით, რომ ეს დასახლებები საქართველოს ტერიტორიაზეა. თავად განსაჯეთ: ფილიპოვკა, მიასნიკიანი, კიროვაკანი (ბოგდანოვკის რ-ნი), ყაურმა, ყულალისი, ვლადიმიროვკა, გორელოვკა, ეფრემოვკა, ორლოვკა, სპასოვკა, ოროჯოლარი, ასფარა, როდიონოვკა (ბოგდანოვკის რ-ნი), მაგირლო, ჯაფარლო, ინჯაოღლი, ასახონჯალო, მუღანლო, ტაშტიკულარი, ქოშაქილისი, აჰმედლო, აბდალო, ყარათიქანი, ყარადაში (ბოლნისის რ-ნი), აღთაღალა, ყარათაღალი, ყარაჯალი, ნაზარლო, მუღანლო (გარდაბნის რ-ნი) და ა. შ.

XVI-XVII საუკუნეებში ჩრდილო კავკასიიდან მომთაბარეთა ჩამოსახლების პროცესი, რაც საქართველოში შექმნილი უმძიმესი ვითარების პირობებში მიმდინარეობდა, შედეგად იძლევა კახეთში – დაღესტნელი ტომების, შიდა ქართლში – ოსთა და დასავლეთ საქართველოში ჩერქეზულ-ადიღეური მოდგმის ხალხთა დასახლებას.

ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ აფსუა იგივე აბაზაა, ადიღეს ჯიშისაა, იგივე ჩერ-

ქეზ-ქაშაგია და ქართულ მიწებზე ისევე ხიზ-ნად არის შემოსული და საქართველოს ბე-დუკუღმართობის გამო აქ დამკვიდრებული, როგორც ყველა ეს ადიღე-ქაშაგ-ჩერქეზი[1].

დიდ სიყალბესა და დანაშაულს, უფრო მეტიც, შეგნებულ სისულელეს, რომ თითქოს აფსუებს აფხაზეთის გარდა სხვა სამშობლო არ გააჩნიათ – ბოლო უნდა მოეღოს. დღესაც აშკარად ჩანს აფსუათა ჭეშმარიტი ადგილ-მდებარეობა რუსეთის ფედერაციის ადმინის-ტრაციული დაყოფის კრებულში, რომელიც 1974 წელს არის გამოცემული მოსკოვში, სა-დაც შავით თეთრზე სწერია, რომ რსფსრ-ს ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში არის ადიღეჰაბლის რაიონი და მასში შედის რვა სასოფლო საბჭო, რომელთაგან ერთს ჰქვია აფსუას (Апсуанский сельсовет) სასფო-ლო საბჭო. ამგვარად, „აფსუანსკი“ და არა „აფხაზსკი“, ე. ი. იქ მათ საკუთარი სახელით იცნობენ, აქ კი მათ დაკარგეს ეს საკუთარი სახელი, რადგან შეერწყნენ კულტურულ ერს – ქართველობას და მიიღეს მისი ერთი კუთ-ხის, აფხაზეთის მკვიდრი ქართველის – აფ-ხაზის სახელწოდება[2].

---

[1] **ზ. რატიანი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.
[2] იქვე, გვ. 235.

ზემოთ მოყვანილი დაჟინებული მოწმობანი იმის შესახებ, რომ აფხაზები აგრე ჰგვანან კავკასიის მთიელ ხალხებს, ყოფაში, სარწმუნოებით, რომ ისინი ციხეებსა და ქალაქებში არ ცხოვრობენ, რომ, როგორც ჩანს, მეხორბლეობა ან სულ არა აქვთ, ან მეტად მცირე, რომ ისინი მეგრელებს არ ჰგვანან ყოფა-ცხოვრებით, – ყველაფერი ეს იმის მოწმობაა, რომ XVII საუკუნის აფხაზები მართლაც კავკასიანებია, საკმაოდ გვიან ჩამოსულნი ბარში. მათ ჯერ კიდევ ვერ აუთვისებიათ ბარი და მთიულურ ცხოვრებას განაგრძნობენ. **რა თქმა უნდა, ესენი არ არიან აბორიგენები**. მათ ვერ შეუთვისებიათ ქრისტიანობა, ისევე, როგორც ვერ შეუთვისებიათ ფეოდალური მეურნეობა (ამ ყოვლად უხვსა და ნოყიერ ქვეყანაში), ისევე როგორც ვერ შეუთვისებიათ ფეოდალური სოციალური წყობა და გორაკებზე გვარებით (ერთი გვარის ხალხი) დასახლებულნი ცხოვრობენ. თუ მათ მიწის საკუთრება აქვთ, ის უთუოდ ამ ინსტიტუტის დასაწყისი სტადია შეიძლება იყოს, რამდენადაც აფხაზები უმთავრესად მე-

ჯოგეობას მისდევენ და არა მიწისმოქმედეგბას[1]...

და, კვლავ აკად. ნ. ბერძენიშვილს მოუსმინოთ: „საკუთარ ისტორიას გაურბიან... აქვთ თუ არა **ისტორიული გადმოცემები**? თუ ესენი იმ აფხაზების გენეტიური მემკვიდრენი არიან, მათ ისტორიულ ფოლკლორში თამარი და სხვა ასეთები უნდა ჩანდეს... ნართების ეპოსი მთიელობაზე მიუთითებს“[2].

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთი არასდროს არ არსებოდა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ის ყოველთვის სხვადასხვა სტატუსით, საერისთავო, თუ სამთავრო, სახელშეკრულებო, თუ ავტონომიური უფლებით ქართულ სახელმწიფოში შედიოდა.

ამ რეგიონის უძველესი მოსახლეობა ქართველები იყვნენ, რომელნიც ყოველთვის მცხოვრებთა უდიდეს უმრავლესობას შეადგენდნენ. რაც შეეხება აფსუებს (ჩვენ რომ აფხაზებს ვუწოდებთ), რა დროიდანაც არ უნდა ცხოვრობდნენ აფხაზეთში და ვინც არ უნდა

---

[1] **ნ. ბერძენიშვილი**, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 614.

[2] იქვე, გვ. 618.

იყვნენ წარმოშობით, იქ ცხოვრების და საკუთარი კულტურის განვითარების უფლება აქვთ, მაგრამ არა აქვთ ამ რეგიონის საქართველოდან გამოყოფის უფლება[1].

[1] **მ. ლორთქიფანიძე**, აფხაზეთის სტატუსის საკითხისათვის საქართველოში, „ანალები“, №1, 2005, გვ. 10.

და ბოლოს, ჩემი ნაშრომი მინდა
დავასრულო ბატონი
ზაზა ქურთიშვილის სტრიქონებით:

„ო, აფხაზეთო – ტკივილო ჩემო,
ჩემო სოხუმო, გალო და გაგრა,
შენს ზღვას და ზეცას სატანა ჩემობს,
შენს მკვიდრს და პატრონს
მომხდური ჩაგრავს.
ვინც შენ გაგწირა, გაქცია ნაცრად,
სისხლი და გული არა ჰქონია,
დღეს აქ ჩიტების გალობის
ნაცვლად,
ისმის ტყვიების კაკაფონია.
ჩვენ – დაბრუნების, ბზიფის და
რიწის,
(რისი დაკარგვაც ძვირი დაგვიჯდა),
მათ საფლავებთან მივეცით ფიცი,
ვინაც გმირულად მოკვდა ტამიშთან.
მსურს გაიფანტოს სოხუმზე ნისლი
და როცა უკვე არ ეციება,
იქ დაცემული ბიჭების სისხლი
დასკდეს ვარდისფერ ჰორტენზიებად.
სტუმართმოყვარე ბიჭვინთას, გაგრას
სატანის ნებამ ეს დღე არგუნა,
ის ძველი სითბო სადღაცას გაჰქრა

და სიძულვილმა დაისადგურა.
თქვენ, აფხაზეთის ხალხო
ძირძველო,
თქვენ – ერთმანეთი ვისაც უყვარდა,
შენ – სტუმარო და შენც –
მასპინძელო,
მოდით, კვლავ ერთად დავსხდეთ
ბუხართან.
და გავიხსენოთ ჩვენი ფესვები,
ჩვენი ძმობა და ძუძუმტეობა,
მამა-პაპათა ადათ-წესები,
ერთად ქორწილი, ერთად დღეობა.
სანამ სისხლისგან გული დაცლილა,
ჩვენ ვართ სიამის ძმები, ტყუპები
და უცხო ხელმა თუ დაგვაცილა
აუცილებლად დავიღუპებით.
ბზიფი კამკამა, როგორც საფირი,
მთები, გაყრილი ცაში ისრებად,
გუდაუთა და ოქროს ნაპირი
მე მუდამ მახსოვს და მესიზმრება.
მკერდზე ვინ აღარ გადაგიარა,
სამოთხესავით კუთხე-ადგილო,
შენ – საქართველოს ღია იარავ,
თვალო ბეჭდიდან ამოვარდნილო“.

.

gamomcemloba `**universali~**

Tbilisi, 0179, i. WavWavaZis gamz. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge